


სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურული




IX

ნოემბერი

IX

1914 წ.



რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და აგენტებს ამ წლის
სენირი ფული უსათუოდ მოგვაწოდონ.

რედაქციისაგას დამოუკიდებელ მიზეზების გამო „განათლების“ ნოემბრის
ნომერი ჩვეულებრივს ღროჟე ვერ გამოვიდა.

შინაპრეზიდენტი: 1) სადი გული (ლირიკა ჭ. მაჟაშვილისა) — ვახტანგ კოტეტიშვილი. 2) ბუნება და სამეცნიალო მეცნიერება (წერილი მექენისე) — ილ. ალხაზიშვილი. 3) ეს-თეტიური გრძნობის აღზრდა ბავშვში, ოჯახში და სკოლაში — ი. სიხარულიძე. 4) სქესობრივი საკითხი ბედაგოგიაში — ფორელის თხზულებიდან — ლ. ცაგარელი. 5) ცოტა რამ საეკლესით სამრევლო სკოლებზე — კ. გ—ძელი. 6) ბავშვების სწავლება — გერასიმე. 7) აკაკის წერილი. 8) ორითდე სიტექა ბ. ალხაზიშვილის წერილის გამო — ეპისკოპოსი ლეონიდი. 9) იუდა — მიხ. ბოჭორიშვილი. 10) მსხვერპლი — ბაჩანა. 11) იმედს ლ. ძიძიგური. 12) ცრემლები — ალისტრო ჩხაიძე. 13) ნაწყვეტი — გელა. 14) ბეჭაბულებების — ილია გოგია. 15) ანდერი — ილია გოგია. 16) ოცნება და სინამდვილე — ი. გრიშაშვილი. 17) ლანდი — ლადო გეგეპერი. 18) სიუგარელის მისტერია — დ. თურდალესპირელი. 19) ცოტა რამ სოფლის მასწავლებელთა მოდგაწერაზე — არ. ფანცულაია. 20) შინაური მიმოსილე — კახაბერი. 21) ქართული ენა გურიის სახალხო სკოლებში — ლ. ა — ძე. 22) შცირე შენიშვნა — გ. ა — ნი. 23) უცხოეთი — რაშდენი ეძლევათ მასწავლებლებს მეთმარ სახელმწიფო ფლი — ლადო ბზვანელი. 24) ჩემი განმარტება — ზ. არჯევანიძე. 25) ბიბლიოგრაფია. 26) წერილები რედაქციის მიმართ.

დამატება: ხონის განვითარების 1913 წლის ანგარიში. სარევიზით კომისიის მოხსენება. გამგეობის მოხსენება საზოგადო კრებისადმი. განცხადება.

28 სექტემბრიდან გამოდის უოველ-დლიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„კაბლი ივერია“

(წელიწადი შირველი)

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით 4 აბაზი.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქუჩა სახლი თცხელისა.

უფლი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: კუთაის, რედაქცია

„АХАЛИ ИВЕРИА“

რედაქციის კანტორაში შირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 12—2 საათამდი და 6—8 საათამდი.

განათლება

(წელიწადი მემვიდე)

IX

ნოემბერი

1914 წ.

ურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარი წლით . . . 3 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ურნალი დაეთმობათ წლიურად
3 მან.

ცალკე ნომ-
რის ფასი
40 კაპ.

ხელის მოწერა შიილება ტფილისი წერა-
კითხების საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
ურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: თიფლის. დვორის გრუზინული
გიმნაზია. ლ. გ. ბოცვაძე.

საღი გული

(ლირიკა კ. მაყაშვილისა)

(დასასრული)

ჩვენი მწერლის პოეტური აღმაფრენა
მართლა რომ პოეტურია. მისი ლირიკა
სავსებით იმსახურებს ამ სახელს. იგი,
როგორც ნაზ-მგრძნობიარე ფირფიტა,
ჰაერის ტალღათა ყოველ რხევაზე, შესა-
ფერ თრთოლვას განიცდის, შესაფერ რე-
აქციას გამოსცემს, ყოველ მოვლენას ან-
გარიშს უწევს, პასუხს აძლევს. იგი არ
აწვალებს თავის ნიჭს. იგი მას არ ზღუ-
დავს, თავის შემოქმედებითი ველს ობეს
არ უწნავს, ჩარჩოში არ ათავსებს. იგი
პოეტია, და მთელ ქვეყანას გარს ევლება.
მისთვის არ არის უცხო რომელიმე კუთ-
ხე ადამიანის შინაგანი მხარისა. იგი, ყო-
ველივე ნაგრძნობს გამოსთვევას თამაბად,
არავითარ დოგმებს არ იკარებს, რადგან

პოეზია მათ გარეშე სდგას. დოგმა, ეს
იგივ ჩარჩო, რომელიც პოეზიას ფრთხებს
აკვეცს და მიწაზე ანართხებს. პოეზიის
ჩარჩოში მოთავსება, ეს იგივ სიკედილია
პოეზიისა; და ვინც პოეზიას დოგმას
უმორჩილებს, იგი მშვენიერების ჯალათია,
ჩვენი პოეტი კი შორსა სდგას ამ ჯალა-
თობაზე, რადგან თვით ქურუმია მშვენიე-
რების; იგი პოეტია, ამ სიტყვის სრული
მნიშვნელობით, და სწორედ ეს არის მი-
ზეზი მისი მრავალ-მხრივობისა. მას ტომები
არ დაუწერია, მაგრამ ამ პატარა წიგნშიაც
შესძლო მან ფრთხების გაშლა, განავარ-
დება, შესძლო შექმნა მრავალ-მხრივი
პოეზიისა.

მაყაშვილს ლირიკაში, სტრიქონებ შუა

ეროტიზმიც ეპარება. სატრუიალოდაც იმართება მისი ქარი, და აქაც ნამდვილ, სალ ხმებს გამოსცემს. მას ქალაქური, ან და ე. შ. ინტელიგენტურ ფორმაში ტრუიალი არ ეხერხება. აქ, ბევრი პრანქვა-გრეხაა საჭირო, აქ ბევრი არა ბუნებრივი შეჰვედება, ყალბად შეფერილ-შეზაღებული, სადაც მშვენიერება შელესილი იქნება, დათრგუნვილი, წამხდარი. აქ, თვით მშვენიერებაც გახრწილ-დაავადებული იქნება, რაღან თვით ხალხია იგადმყოფი, და სენს იქაც გადაიტანს. სულ სხვაა იქ, სოფულად, ბუნების კალთაში. იქ ლამაზია ყველაფერი, რაღან ყველაფერი შეულე-სავია, ბუნებრივი, სალი, და სალმა ხალხშა-ხომ ტრუიალიც სალი იცის. მათვის არ არის საჭირო ლექსის მჭექარე სიტყვები, დიდ-დიდი შედარებები, დაცული ზომა, ერთი სიტყვით კლასიური ტონი. არა. მათ სადაც იციან გამოთქმა, სადაც და გულ-მოსახვედრად. და ჩვენი ლირიკოსიც მათ ქულს იხურავს, იმათ ჰანგზე აწყობს ლირას, და უმღერს სატრუოს:

„უდანდ დამგალ გოგოჭან,
„მჭერდი გამიძე როდა,
„გული აღე საცელქოდ,
„გასატურცნ-გასაგრადა...
„მიგრაჟს გულია... სისხლი სდის...
„იქმარე მისი წევლება!..
„რა გინდ დატანჭო, მაინც შენ,
„მხოლოდ შენ გენაცვალებათ.

ხომ ხედავთ, რამდენი სისალეა გრძნობის, რამდენი სისალე და სიმარტივე. აქ იგი სავსებით უახლოვდება ხალხურ კილოს, ისე რომ, ეს ლექსი არ გაირჩევა ხალხურ სატრუიალო ლექსიდან. ეს კი დიდი ლირსებაა ჟღლექსისა. დიადი გრძნობის სადაც გამოთქმა, მჭექარე სიტყვების მოუხმარებლად, გულს რაღაც კარგადა ვხვდება. ან და რა საჭიროა პოეტის აზ-

რით, ეს მჭექარე სიტყვები? მხოლოდ სმენას გაგვიყრუებენ, თორებ აზრსა და შინაარსს ნაგრძნობისას ხომ მაინც სრულად ვერ გადმოგვცემენ. განა პოეტს კი არ უნდოდა, რომ ნაგრძნობი ეთქვა, მაგრამ...

„სად არა გძებნე სიტყვები,
„გრძნობის გამოთქმის მნატველი?
„უარ არის სიტყვა, არც საჭმე,
„ამ გრძნობის გამომხატველი!..

და აქ, პოეტი ერთი მოხდენილი ხაზ-მოსმით, გადმოგვცემს ტრაგედიას ყოველი ადამიანისას. ეს ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს ჯერაც ვერ შეუქმნია გრძნობის სიტყვა, გრძნობის გამომხატველი ენა. არსებული სიტყვა ადამიანისა სუსტია, მკრთალი, ან უხეში და ტლანქი. გრძნობა მისი კი ღრმაა, ძლიერი, ან და ნაზი, ჰაეროვანი. გრძნობის ცეცხლი სიტყვაში ცივდება, გრძნობას უსაზღვროს—სიტყვაში საზღვარი ედება, გრძნობის სირთულე, სიტყვით გამოუთქმელია. და რახან ასეა, ამბობს პოეტი, რახან ლექსიკონი ჩვენი სიტყვებისა სუსტია და ღარიბი, და რაღან როგორც უნდა იყვნენ იგინი შერჩეულნი, მაინც ვერ შესძლებენ ნაგრძნობის გამოთქმას, ამის-თვის პოეტიც მიმართავს მას:

„მთდი, მთმხვიე მჭლავები,
„უური ღაუბდე ამ წრუელ გულს,
„იგი უსიტყვა სიმღერით
„გაღმოგცემს მთფად ჩემს სიუგარუსზ.

ხოლო ამ ტრტობაში, პოეტს რაციონალური ელემენტიც შეაქვს, და ვნებას თავ-აშვებულს, საზღვარს უდებს. ეს კი სცვლის ტონს ტრუიალისას. გონებას მოაქვს თავისი სიტყვა. გონების თვალთსაზრისით ქალის სახეც იცვლება, და ქალი აქ არის უფრო მაღალი რამ არსება,

ვიდრე იარაღი. ადამიანში ფაფარ-აყრილ
მხეც-ვნების დასაცრობად.

ადამიანი რომ ცხოველია, ეს მგოსან-
მაც კარგად იცის, მაგრამ ადამიანი მარ-
ტო ცხოველი არ არის. იგი მიტომ არის
ადამიანიც, რომ ბრმა ინსტინქტებზე მაღ-
ლა მიღის, და თავ-მიშვებულ ვნების ლა-
გამსა სდებს. აქ, როგორც ვსთქვი, ქალ-
საც ეცვლება სახე, და გვევლინება არა
როგორც მხოლოდ შიშველი სხეული,
არამედ ადამიანი, მაღალ ღირსებათა შუ-
ქით გაბრწყინვებული. მხოლოდ ვნებათა
აღმძრებულ-დამაცხრობელი რამ კი არა,
არამედ სხვა უმაღლეს ემოციათა გამომ-
წვევიც, რომელნიც ვნებას პფარავენ, აცი-
ვებენ. აქ მგოსანს აინტერესებს არა ში-
შველი სხეული და მისი ნაწილები, რო-
გორც შესაფერ ვნებათა აღმძრებული და
შესაფერ მოძრაობათა გამომწვევნი, არა.
სხეულს შორის იგი სკვრეტს სულ სხვა
რამეს. მაგალითად: თუ პირველ მომენტ-
ში, როდესაც ვნება ლაპარაკობს, ე. ი.
მხეცი—ადამიანში, იქ, თვალები ეჩვენება
როგორც.

„ . . . დამჟღედ შავნი,
„ მოელვარენი, ცეცხლის შეგესავნი,
„ ენებისა ძალით მაძიებელნი,
„ მწეველ ნეტარების დამშირებელნი.

მეორე მომენტში კი სურათი იცვლება.
იქ უკვე გონებაც ერევა, ადამიანი მშვე-
ნიერების მაღალ საფეხურზე ასულა, და
სულ სხვა გვარად ამეტყველებულა:
„ მისი თვალები?.. ეს ხმე ცა არი,
„ ცა მოწმენდილი, დაუჭარდოვანი,
„ რომელის სივრცეში უდერს თქროს ქნარი
„ აპთლონისა ფერად ხმოვანი.
„ ეს წალგოტია წესაროვანი,
„ სადაც იზრდება, ჰევაზის აცნება,
„ სად იფურჩქნება სურნელოვანი
„ სიუგარულისა დიადი მცნება.

თუ ვნების სამეფოში, ვნებითვე დამ-
თვრალ ადამიანს, ქალის ტუჩები ეჩვენება
როგორც „ლბილნი, ცრემლნი, დასაკო-
ცნელნი და დამათრობელნი“, აქ, მეორე
მომენტში, ეს ბაგენი წყაროა მშვენიერე-
რების, „ბუნების ხელით ქანდაკებულნი,
ყვავილთ წყაროში ამოვლებული“; თუ
ვნების მონობის დროს,

„ ბრთლაფიქალი შეერდი ღვთაური
„ თვით უინულშიაც ცეცხლს აკვესებს!
„ თვით სიკვდილს ნდომა ამ ქვეენიური
„ სისხლს აუდუდებს და ააკვესებს,

მეორე მომენტში, გონების სამეფოში,
იგივ გულ-მკერდი

„ ზამთრის თოვლით თეთრ-მშვენიური,
„ შეერდი გრინისთ მკვებავის დედის,
„ წაზი და ქორფა, შასთან ძლიერია!..

ხოლო მთლად ეს სხეული, ეს უცხო
ქმნილება მძლავრი შემოქმედების უბრა-
წყინვალესი გვირგვინი, ქვეყნად მოსული
სინარნარე და მშვენიერება, ტკბილი ოც-
ნება, ლამაზი გრძნობა, „აღთროთოვანების
უშრეტი წყარო“, „სიკვდილის რგოლში
სიცოცხლის ღიმი“, რომელშიაც მოქ-
ცეულია მთელი სამყარო, და რომელიც
არის პირველი სიმი ღვთაებრივობისა. და
იქ, საღაც ვნების მონა ადამიანი, ვნების
მიერ გონება დაბნელებული, ამ მშვენიერ
ქმნილებას მიჰმართავს, რომ

„ ერთი ნახტომი...
„ და ვითა ქურციკს შშიერი ღამი,
„ ჩაგვიდებ ბრწყალებს, ამ რეინის ხელებს
„ ჩაგივრავ შაგრად მღელვარე გულში,
„ და შაგ სხეულში...
„ მაცდელ წესელში
„ ჩაგვილავ სურვილს,
„ დიუგრას წესელში...

აქ, მეორე მომენტში, როდესაც ადა-
მიანი გაბრწყინვებულია გონების შარა-

ვანდელით, აქ უკვე, იგივ ადამიანშა, მხოლოდ

„გულ-განწმენდილმა, ამაღლებულმა
„უნების ბურუსი გადაიყარა,
„და იმ ქალის წინ აღტაცებულმა
„ლოცვით, კურთხევით მუხლთ მოიყარა.
(„შიშველი სხეული“)

აქ, პოეტმა სიყვარულს შემოაცალა ჩარჩო, მხოლოდ ხორციელი, და იგი სულის საუჯველაც აღიარა, და თითქმის მთლად ამ უკანასკნელს მიაკუთვნა. აქ იგი გვაგონებს საშუალო საუკუნოების მწერალს, იმ საუკუნის, როდესაც სულიერი დასაბამი იყო აღსარებული ერთად-ერთ ღირებულებად, როდესაც სხეულში მხოლოდ იდეას ხედავდნენ, და ქალს კი, ზე-ქვეყნიურ გაღმერთებით, ლვთაებრივ შარავანდედს აფენდნენ. ჩვენ პოეტსაც აღარა სურს, რომ ქალის თვალებში ამ ქვეყნიური გრძნობა დაინახოს, ეხლა მის თვალში ქალი რაღაც ოცნებაა ხორც-შესხმული, „ლვთაებრივობის პირველი სიმი“. აქაც თითქოს ის სიყვარული გვა-გონდება, ბოლონის და ახალ ფლორენ-ციის სკოლებმა რომ შექმნეს, — ე. ი. პლატონიური. ასე იყო მაგალითად შექმნილი ლვთაებრივი სახე ბეატრიჩესი. მაგრამ ეს მხოლოდ წააგავს, ნამდვილად კი საქმე სხვა გვარ მოვლენასთანა გვაქვს. ჩვენმა პოეტმა ის კი არა სთქვა, რომ სი-ყვარული მხოლოდ ამგვარი უნდა იყვე-სო, იდეალური, საოცნებო, არა. მას ჩვენთვის სიყვარულის ტრაქტატი არ დაუ-წერია. მან მხოლოდ ამ გრძნობის გასა-ფაქიზებლად კონტრასტი შექმნა. ერთ უკიდურესობას, მეორე დაუპირისპირა, და ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ ქალი—სქესობრივი სახეა, სქესი, ვნებათა აღმძვ-რელი, იგი იმავე დროს აღამიანიც არის, სხვა თვისებებით აღსავსე, რომელთ წინ

ჩვენ მუხლის მოყრაც კი გვჭირიაო. ე. ი. ქალის ღირებულება, როგორც ადამია-ნის—აღიარა.

* * *

შენ ევის აკადემიის პროფესორი ამიელი, თავის დღიურში ასე ახასიათებს ადამიანს და მის ცხოვრებას: „პატარა ჰაერის ბურ-თი სისხლში, ერთი წვეთი წყალი ტვინში, და ადამიანიც ისპობა, მისი მანქანა იმ-სხვრევა, აზრი ჰქონება, და მასთან ერთად ჰქონება ქვეყანაც, როგორც სიზმარი აღი-ონზე. როგორ წვრილ ქსელზე დაკიდუ-ლი ჩვენი პირადი სიცოცხლე. იგი ხომ შეხლოდ საპნის ბუშტია, ჩალაზე ჩამო-კიდებული: იგი ჩნდება, ფერადდება ცი-სარტყელის საუკეთესო ფერებით; იგი ხან მიმზიდველობითი კანონსა აღარ ემორ-ჩილება; მაგრამ მალე მასზევე ჩნდება შა-ვი წერტილი, და ოქროსი და ლალის ფერი ბურთი ჰქონება სივრცეში, და იქ-ცვა კუჭყიანი სითხის უბრალო წვეთა-დო“. — დიახ, ასეთია ტრაგედია ადამია-ნის არსებობისა. მაგრამ მიუხედავად ამი-სა, აღამიანში მაინც მძლეობა სცემს ძარ-ლვი სიამაყისა, ინსტიქტი სიღიადისა. მას-ში მაინც არ ჩამქრალა უმაღლესი მომენ-ტები ძიებისა, აზროვნებისა. მასში, ანა-ტომო-ფიზიოლოგიურ სხეულის გარდა, მოსხანს ის აღამიანური ელემენტი, რო-მელსაც უკმაყოფილება ეწოდება. მასში, ანტროპომორფიულ მაიმუნის გარდა, მო-აზრე ადამიანიცა მეტყველებს, რომელიც უკიდურეს ძიების მომენტებში, თვით ლმერთსაც კი ჰგმობს, და იწვევს საერთა-შორისო ბრძოლაში თავის ინდივიდუა-ლობის შესანახად, დასაცავად. იგი, რო-გორც მოაზრე და დაკვირვებული ადამია-ნი, ფხიზლად იხედება აქეთ იქით, და ამჩნევს იმ მოვლენას, რომ მას გარშემო,

სამარადისო და მრანჯველი პრობლემები შემოჰქმდებია, და ამათ გვერდით კი ისეთი უსუსურობა, ისეთი უსრულობა დამკვიდრებულა, რომ ადამიანს შიში იკურობს. ეშინიან ადამიანს თავისი სიცოცხლის, რომელსაც შავ არშიაღ შემოვლებია სიკვდილი, ეს „უმაღლესი სიმბოლო, ქვეყნად გამეფებულ უაზრობისა“. (მეტერლინკი) „,აერ, დასეირნობს ხალხი, ამაყი, სალი. უცბად რაიმე ბრმა შემთხვევა, და რამდენიმე კვირის შემდეგ წაიყვანს ვინ იცის საითქმ“. („სიკვდილი“—შნიცლერისა.)

ასეთია ტრაგედია ადამიანის სიცოცხლისა, რომელსაც ტანჯვის ჩრდილი შავად გადაპირენია. დიახ, სიკვდილი, განა ეს ის წყეული პრობლემა არ არის, რომელიც ათრთოლებს ადამიანს, ვინც უნდა იყვეს იგი. და გასაგებია შნიცლერის სასტური და მწარე კილო მსჯელობისა, როდესაც იგი ფელიქს („სიკვდილში“) შემდეგ მწარე სინამდვილეს ათქმევინებს:— „,თვით საბრალო ბოროტ-მოძქმედი, რომელიც მიდის საჯალათოსკენ, დიადი ბრძენიც, რომელიც სთხზავს აფორიზმებს მას შემდეგ, რაც გამოსცალა ფიალა შხამით სავსე, ის გმირიც, რომელიც მიიღო ტვის თავისუფლებისკენ, რომელიც ლიმილით უშერს თოვებს, მის მკერდისკენ მიშვერილებს, — ყველა ესენი ფლიდობენ, და ვიცი რატომაც; ეს თავდაჭრა მათი, ეს ლიმი, — ყველა ეს სისულელეა, რადგან ყველა ისინი გრძნობენ შიშს, საზიდარ შიშს სიკვდილისას, რომელიც „ისევე ბუნებრივია, როგორც თვით სიკვდილიო“. ასევე მწარედ შემოვესმის კნუტ ჰამსუნის სიტყვები:— „,სამართლე, ეს ბრმა მხეცია. იგი შურს იძიებს განურჩევლად... იგი დგას მოთხინებით, და უცქერის, თუ რომ ჰქმნის ხალხი ბოროტებას... მაგრამ

აგერ იგი სწრაფად ეშვება დაბლა, და სჯის სიკვდილითაო“ და განა აუარებელი ამგვარი ადგილების ამოწერა არ შეიძლებოდა, რომელნიც სულ შავად ლებავენ სიცოცხლეს ადამიანისას. გაუგებრობა, და ტანჯვა ამ გაუგებრობით, აი ხვედრი ადამიანისა, რომელიც სდგას უფსკრულის პირად, და მარად ესმის მკვეთრი ხმა ბრანდისა, მისკენ და მთელი კაცობრიობისკენ მიმართული: „ჰეი! ფთხილად! ერთ ნაბიჯზედა ხართ უფსკრულიდანო“. („ბრანდი“—იბსენისა.)... და აქ, დიდი წყაროა ხელოვანისთვის, და მით უმეტეს ლირიკოსისთვის. ეს არის წარმტაცი სამეფო ხელოვნებისა, და ვისაც შესწევს უნარი, აქ შეუძლიან მოიქსოვოს დიადემა დიდებისა. აქ არის დაგუბებული წყარო, მთელ იმ ემოციათა გამომწვევი, რომელნიც უხვად არიან დაგუბებულნი ყოველ ადამიანის შინაგან სტრუქტური. ამ გზას ვერ ასცდება ვერც ერთი ხელოვანი, თუ იგი რაიმე დოგმით არ არის შებორკილი, თუ იგი უხეშ კანტროლ ქვეშ არ იმყოფება, რომელიც მხოლოდ წალასა და მაზუთს ათავსებს ხელოვნების სამეფოში. ამ გზას ვერ ასცდა ჩვენი მწერალიც. იმისი ლირა ამ „,წყეულ პრობლემებმაც“ ათრთოლეს, თუმც უფრო სუსტად, და გამოიწვიეს შემოქმედებისაკენ. აერ, გვესმის „,ადამიანის სიმღრა“, რომელიც გოდებაა უკმაყოფილო ადამიანს შუა, გამოუცნობლობის ბურუსით რომ არის გარშემოხვეული:

„დღენი შინაგანი... დღენი შიჭქრიან... „უკვე მოსჩანან ჩემი საზღვრები!.. „სიცოცხლის ბუნების ფესვებსა და დღნიან, „აგი თაგვები, გაუშაძრები!.. აქ ადამიანი უკვე გრძნობს გარკვეულად სუნთქვას სიკვდილისას, უკვე განიცდის ხალას დროის ულმობელ კვერთხი-

სას, რომელიც სჩაგრავს მას, და არ აძლევს შეძლებას, რომ წუთით მაინც თავისუფლად ამოისუნოვანს; რომელიც ყოველ აღამიანს გვერდში ამოსტუზვია, ვით ჯალათი მახვილ მომარჯვებული, და ასე ამწარებს ისედაც მწარე და გატანჯულ არსებობას აღამიანისას. მაგრამ აღამიანი ხომ გულ-გრილად ვერ უმზერს ამ თავის უსუსურობას. იგი მაინც ჰქონდავს, და ზეცას შემდეგ კითხვებს უყვნებს: „რის-თვის“ და „რათაო“, იმ კითხვებს, რომელნიც კაცობრიობის ისტორიას ყოველ წუთს თანა სდევენ.

„დღენი მიჰქერიან... საით და რათა?“

„მათთვის მე რა ვარ, ან კი ვარ რაშე?“

და აქ, ამ „საით და რათას?“ გარდა, უკვე წამოყენებულია პრობლემა პიროვნების, ინდივიდუალური ლირებულობის, პრობლემა, რომელიც მთელი თავისი სიმძლავრით და სიჩქარით წამოყენებულია ყოველი აღამიანის წინაშე. ეს არის საკითხი არა მხოლოდ ფილოსოფიური, არამედ ყოველ-დღიურიც. აღამიანი მოაზროვნე, ყოველ წუთს კრძალვითა სდგას ამ კითხვის წინ, და კითხვათა ჯაჭვი კი წინ მიიკლავნება, — და „თუს“ და „რათას“? — საზღვარი აღარ ედება. პოეტი განაგრძობს:

„თუ სინათლე რამ თან ახდავს მათა,

„რათ გამიმევეს მე გულში დამე!“

„რათ მაჩვენებენ ცრემლსა მდუღარეს?“

„ტანჯვის კოცნეზე ადსა მგზნებარეს?“

„თხერასა მწარეს, რისხვას მქუსარეს,“

„სულის ღმერთს მოკლულს, პირქვე მდებარეს?“

„რათ მიმაღავნ მზესა ელვარეს,“

„სითბოს-სინათლის დროსა მდინარეს?“

„სიუვარულს, ალერს, ტკბილ მონარჩეს,“

„სახე-მშევნეოენს, პირ-მოცინარეს?“

„შასუხი?.. ვისგან?.. ღრთინ მიჰქერიანო...“

პოეტი პასუხს ეშურება... და აი მეო-

რე ლექსი: „იღეალის საფლავთან“ — უკვე იცის, თუ ვის მიმართოს ამ პასუხისთვის. —

„რისთვის და რათა? — ცას ვეკითხები...“

„თვალები სიტუვების თან მისტირიან!“

„აჭ გერ სწოდებიან დეთის ტახტის კითხები...“

„ვით ასრულიდი შურდულის ქვები,“

„ისევ შიწაზე მძიმედ სცვივიანო!..“

აქ, იგივე ბარათაშვილის კითხვაა: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთი სოფელიო“, ეს იგივე ანათემას „მითხარ!“ ია — ეს ბალმონტის სევდიანი ძალილია „რისთვის? — რისთვისო?“ — რომელნიც

მსოფლო სფინქსს ეხეოქებიან, და უკუცვივიან, რომელნიც გამოუცნობლობის ულრან ტყეში უგზო-უკულოდ იფარტებიან,

იკარგებიან, და აქ კი კვლავ „ამაოება ლესავს თვის ბრჭყალებს“. და პოეტიც აქ უკვე აღელვებულია. იგი ბობოქრობს, რადგან მასში დაგუბებული ენერგია შეჩერების ნებას არ აძლევს. იგი „ველურ სტიქიონთ“ აძლევს თავის ქნარს, თავის ხმას უკრთებს, „მრისხანე ზლვის ზვირთთა გრიალს, „ქარიშხალის საზარ გოდებას“, „კექა-კუხილს“, „მძვინვარე გრიგალს“ და „ჯოჯონხეთის გულ-საკლავ ხარხარს“:

„ამ ხმათა გაშმაში მჭიდროდ ჩართული

„იმის ხმა ისმის უკეკ მძლავრათა,“

„ისმის მრისხანე ცად მიშართული,“

„იგივე შეგითხვა: „რისთვის და რათა?..“

ამ კითხვებზე არამც თუ პოეტი, მთელი ქვეყანა ითხოვს პასუხს, რადგან იგიც ამავე წყლულით იტანჯება. ხოლო პოეტი კი არ შეჰდალალებს ზეცას, კი არა სთხოვს, არამედ მოითხოვს, და წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრება კიდევ:

„და თუ სიტუმეს ცა არ დაარდვევს,“

„ქვეუანა ესურის მას მწარე გმობას,“

„დაიჰქის თავის სასისხლე ძარღვებს,“

„და თავში ახლის... თვის არსებობას!..“

ასეთია მთავარი მომენტები კოტე მა-
ყაშვილის შემოქმედებაში.—ეს შინაარსის
მხრივ, მაგრამ შარტო შინაარსი კიდევ
არაფერი, თუ იგი ჯეროვან ლამაზ ფორ-
მაში არ ჩამოისხა. პოეზიაში აზრი ძალიან
ძირიად არ ფასობს, თუ იმ აზრს ჩარჩო
არ უვარება, რადგან აქ, მთავარი უყრად-
ლება ექცევა არა იმას, თუ რას ამბობს,
არამედ იმას თუ, როგორ ამბობს. აქ,
პოეზიის სამეუფოში, ჯერ სახეა საჭირო,
ფორმა, რომ მისმა სილამაზებ მოვცხიბ-
ლოს, და შევვიტყუოს იდეათა სამეფოში.
აქ ფორმა მეტყველობს, თორემ აზრის
მეტყველებისთვის პოეზია აღარ იყო სა-
ჭირო. აზრი მაშინ თავის ლოლიკურ სქე-
მებში მოთავსებული, ფილისოფიის გარედ
არ გამოჰყოფდა თავს. რომ არ გამოვე-
კიდოთ იმის განხილვას, თუ რა არის
ფორმა ხელოვნებაში, რა არის იდეა, და
როგორია მათ შორისი დამოკიდებულება,
საჭიროა აქ იმის აღნიშვნა, რომ პოეზია,
ეს გამოხატულებაა აღამიანის შინაგანი
სტიქის, მხატვრულ ფორმათა საშუალე-
ბით, რომ პოეზია, ეს არ არის თქმა ლო-
ლიკური სილლოგიზმებით, არამედ თქმაა
მხატვრული ფორმით, მხატვრული სახე-
ებით, და როგორც ასეთი, იგი უმთავ-
რესად სახეზეა დამყარებული, ფორმაზეა
დაყრდნობილი. ხოლო აქ ისუც უნდა
აღვნიშნოთ, რომ „ყოველ მხატვარს,
როგორც იძახის ცნობილი იპოლიტ ტე-
ნი, აქვს თავისი სტილი, რომლითაც
ირჩევიან მისი ნაწარმოებნი. თუ იგი ფე-
რადებით მხატვარია, იმას აქვს თავისი
კოლორიტი, ნათელ-მდიდარი, ან მკრთა-
ლი, ბინდ-მოცული. მასა ჰყავს საყვარე-
ლი ტიპები, კეთილშობილნი, ან და მდა-
ბალნი, აქვს თავისი მდგომარეობანი, თა-
ვისი სახე, და თვით თავისი საკუთარი
ტექნიკა-გრუნტი, საკუთარი ფერადები,

და მათი ხმარება. თუ იგი მწერალია,
იმას ჰყავს თავისი გმირები, —ან ძალა-
დობის მოტრფიალენი, ან და მშვიდინი,
წყნარნი; აქვს თავის ნასკვი, —ან საღა,
ან რთული, თავისი ხსნა ნასკვის, ან ტრა-
გიკული, ან კომიკური, თავისებური ეფე-
ქტები, თავისი პერიოდები, და თვით სა-
კუთარი ლექსიკონიც. ეს იმდენად მარ-
თალია, რომ თქვენ თუ აჩვენებთ მცოდ-
ნე კაცს ნაწარმოებს ცოტად გამოჩენილ
ხელოვანისას, გვარ მოუწერლად, იგი
თითქმის შეუცდომლად მიხვდება, თუ ვინ
არის მისი შემქმნელი. და არამც თუ მიხვ-
დება, იგი იმასაც კი იტყვის, თუ მას გა-
მოცდილება და მგრძნობიარეობა თან ახ-
ლავს, თუ ხელოვანის ცხოვრების როგორ
ეპოქას ეკუთვნის ესა თუ ის ნაწარმოე-
ბიო“. (ი. ტენი. ფილოსოფია ხელოვნე-
ბისა.) ასე მაგ. შოთას აქვს თავისი ენა—
სტილი, და სულაც არ არის გვარის თქმა,
რომ როგორიმე ტაეპის წამკითხველი მიხვ-
დება, თუ ვინ არის მისი შემქმნელი. ან
აიღო „გურამიანი“ — და იქაც საკუთარ
სტილს აღმოაჩენთ. ილია — აკაკი — ვაჟა-
მაც შექმნეს თავიანთი სტილი. ახლებში
კი ყველაზე უკეთესად გრიშაშვილმა. კო-
ტე შავაშვილმაც საკუთარ ენაზე მოისურ-
ვა გამობაასება, და შექმნა საკუთარი
სტილი. დიახ, მას აქვს საკუთარი ენა,
ნათელი, ტკბილი და საამური სასმენი,
ბუნებრივად მომდინარე, და არა ძალით
შექმნილი, ხელოვნურად გამოკვეთილი.
მას აქვს ძლიერი სიტყვა, მგზნებარე სახე.
ლექსი მისი ყალიბ-მიღებულია, ძრავალ-
ფერი, შეზავებული. ბევრი მისი ლექსი,
ვით ტკბილი მუსიკა ტკბილადვე შემო-
გვესმის და გვატკბობს. აი მაგ.:

„სტირთდა, ცრემშდა სდითდა,
„დაწვეპზე ჩამოსდითდა,
„ქორფა გუდ-შეკრდზე, თეთრ-ბროდზედ...“

„მარგალიტებათ სცენიდა...
„ოხვარა შესმიდა... ჰევენსოდა...
„გულში ლაზარი მესმდა... და სხ...
ან კიდევ: „დამია... სძინავს ბუნებას ცხოველს,
„უგელგან დაფრინავს,
„უგელას და ურველს,
„ისურებს გულში
„გრძნეული ძილი...
„ნარნარი... ლბილი...
„ზღაპრებას მთქმელი...
„ვით კლცნა ტებილი
„ნავი ნელი...
„არსევს ხის ფოთლებს,
„ცელქბბს და ხუმრქბს...
„ართობს მწირ-ობლებს,
„მათ ცრემლებს უშრობს და სხ...
მას სულ თავისებური რითმაცა აქვს
ზოგიერთ ლექსებში. ასე მაგალითად სა-
უცხოვო ლექსით-წყობით აქვს დაწერილი
ლექსი: „დაკარგული სამშობლო.“.

„შევედი რაძარში... ნატებენსა და დაგულს,
„დღისას სახლი მიმირჩენ სევდიან გულს?
„სამშობლოს დავეძებ, დავეძებ დაკარგულს,
„შეძებ მის სხეულსა და იმის სულს!..
„ხუცესთა ბაგეზე ლოცვები დნებოდნენ...
„ბრწყინავდნენ სანთლები შიგ...
„მაგრამა ლოცვები სულს ვერა სწვდებოდნენ...
„გერც ვპოვე სამშობლო იქ!.. და სხ...
ხოლო აზრი და ფორმა ისე ლამაზად
არიან შეთანხმებულ-შეზავებულნი, რომ
ლექსის გრძნობას ზომიერად აცხოველე-
ბენ, რომელიც გარს გვევლება სასიამოვ-
ნო მუსიკად, და გულის სილრმეში გვექ-
სოვება. ასეთია შემოქმედება კოტე მაყა-
შვილისა. და თუ მკითხავენ, აქვს თუ არა
აღილი ჩემს პანტეონში კოტე მაყაშვილს,
ჩემი პასუხი იქნება: დიახ, აქვს, და ძა-
ლიან პატივ-სადებიც. იგი—ტალანტია...
ვახტანგ კოტელიშვილი.

ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

(წერილი მემჭვევა)

გეგმავი მეცნიერი ლურ პასტერი და თვალთ უხილავი არსებანი

III

თუმცა პასტერის მეცნიერები ბიო და
დიუმა ან უჩევდნენ მას ბუშეს წინააღმდეგ
გალაშქრებას, მაგრამ მეცნიერულის იდეით
გატაცებული პასტერი არც პრემიას ხარბდე-
ბოდა და არც თუ მეცნიერის ბუშეს დამარ-
ცხება ახალისებდა, — პასტერი პრინციპიალუ-
რად, მეცნიერების სასახლოდ უტევურ საბუ-
თებით ჰსურდ ერთხელ და სამუდამოდ და-
ერდებია რაღაც „თვით ჩასახის“ ცრუ მო-
ძღვრება.

სამეცნიერო აკადემიაში წარდგენილი პუშეს
მონისენება და მისი თეორია აი რაში მდგრა-
შარებდა: „როცა არგანიული რაში სხეული
დუღლება (იხტენება) ანუ ლჴება, ამ დროს შიგ
წნდება სიცოცხლე თვით ჩასახვით. ეს
ახალი არსებანი, თვალთ უხილავი არგანიზ-
მონი, თავის სხეულს აშენებენ, ხოცუშესხმულ
ხდებიან იმ შევდარ არგანიზმოთა ნივთიერე-
ბიდგანათ, რომელშიაც ჩაისახენ და სხვ... მე
ბევრჯელ ვცალე, განაგრძობს მეცნიერი პუშე,
საცდელად ავიღებდი ხთლმე რომელსამე სით-
ხეს, ჯერ ვაღულებდი, არც ბუზებს გაჭარებდი,

შერე ჰირდაცულს შექაში ვინახავდი. თოლის შევხედავდი და შეგ აურებელი მიყრთორგანიზმონი ფუთფუთობდნენ. აგერ ერთი ამისთანა შექა თქვენთვის წარმოშილდებია საბუთად, დევ თქვენმა ბეზნირმა თვალმაც ახილს „თვით ჩასახვის პროცესით“...

შასტრერშა გასცა პასუხი მოკლედ, სადად და ცხადად: „რასაც ბრძანებთ, ბატონი ჩემთ, უკველივე ჭეშმარიტება გახსლავსთ, ეგ სრულებით ბუნებრივი მოვლენაა და მაგრეც უნდა მოხდეს. თქვენ მხოლოდ ერთი რამ არ მიიღილათ სისქიში, ანგარიშში, სახელმობრ ის, რომ ჭაერში აუარებელი თვალთ უხილავი არსებანი ფუთფუთობენ და მათი სპრენტიც (თესლი) ურიცხვით დაცურაობენ, მუშავიგით ირევიან. თვითონ ჩვენ თავით ფეხებამდე გაგანგლულები ვართ ბაქტერიებში, რადგან ჭაერში ისე დაცურაობთ როგორც თვეზე წევალში. მაშასდამე თქვენი ცდა, ბატონი შეშე, არ იურ შეცნიერულ პრინციპებზე დამუარებული“...

შასტრერმა განაცრი: აბა საცდელად აიდეთ თუ გინდ რძე. მდუღარე წევალით გამორეცხეთ სუფთა უხმარი ბოთლები, მერე ჩაასხით შეგ პირთამდე მდუღარე რძე და წაშივე დაუცეთ მდუღარეში გავლებული სუფთა პრიცები და ზევიდან პირს მოაკარით მდუღარეში გავლებული პერგამენტის ქადაღდი ანუ სარის ბუშტი. შემოდგით ქვაბით წევალი და ამ გვარად რძით სავსე ეს ბოთლები ჩააწევეთ ან ჩადგით ქვაბში. მერე შეგვეთეთ ცეცხლი ქვაბში წევალი და ბოთლებში მული კვლავ აღუდებოდები და არც კვლავ აღუდებოდეს. აი ასე მომზადებული რძე თუ გინდ ათა წლიდით შეინახება. რძე არც აიჭრება ბოთლში, არც დამშავდება და არც გემოს და თვისებას ჭეარგავს და ამის ჭევიან სტრილიზაცია, ბაქტერიების დახოცვა. კარგი და შატონსანი. ეს უოვლად უტესარი საბუთი ხო ხელთა გვაქვს, აბა ახლა ბოთლში შენახულ ამ გვარ

სად რძეს თუ გინდ ერთი წლის შემდეგ პის ახადეთ და ისევ სახეართო პირს დაუცეთ — მეორე ღლესვე ბოთლში დაიწუებენ ფუთფუთის მიყრთორგანიზმები, ცოცხალი ასებანი და შეიძლება ისე ააღვდონ რძე რომ ბოთლიც გა გახეთქონ. — რად მოხდა ეს? რით აიხსნება ეს მოვლენა? იმითი, რომ ბოთლში სტრენილიზაცია ნაჭმნარ რძეს, პრობკა ახადეთ თუ არა, წაშივე ჭაერი მოხვდა და ჭაერი კი როგორც მოგახსენეთ სავსეა აუარებელ ბაქტერიებით და მათი სპრენტით (თესლით)...

შემუშავებული შეცნიერთა გრებულის წინაშე: „ემაგრე სავსე რო იურს ჭაერი მიკროორგანიზმებით, როგორც შასტრერს ჭირნა, მაშინ ხო ჭაერი თაფლზედაც უსტელესი იქნებოდათ და სხვ...“

გამარჯვებულმა ლუ შასტრერმა ამ პასუხს უურაღება არც კი მიაქცია, აინუში არ ჩააგდო და განაცრი: „მე ხშირად მომსვლა ფიქრად, — ღმერთო კი მეგოლე და, ხირუბები (დოსტერქარი) აპერაციის დროს უსუფთად იარაღის და შესახვევ მსალის გამო შეიძლება ჭირის რამ ბაქტერია შექცერინ, უნებლივით გადაჭეილონ აფაღმიუფლეს — უის გავეურე და ვაის შეგვეურე — როგორც ბრანჩებს საჭხის სიბრძნე. შასტრერის ეს სიტემები ელვის სისწრაფით მოედო მთელს განათლებულ შსთოლის. მას მერე ინგლისელი გამონენილი მეცნიერი ხირუბი ლისტერი შეუდგა შასტრერის დებულების თანახმად ანტისეპტიკას. ხოლო დღეს შასტრერის წევალით ხირუბიაში და მედიცინაში პირველი ადგილი უჭირავს ანტისეპტიკას (სასტრო სისუფთავეს, ბაქტერიების გარეშე მუშაობას). მაგალითად, თვითონ ღოვრითს შეუძლიან აპერაციის დროს ჭირის ბაქტერია რამ ჩააგდოს გაჭრილ იარაში. საიდან? როგორ თუ საიდან: წევერულვაშიდან, თმიდან, ტანისამოსალან, უსუფთად ხელებიდან, ფრჩხილებიდან და სხვა. ჯერ ღლესაც ჩვენში უფაველ წლივ ასრიბით

ეშიბიარე ესალმება წეთი სოფელს. რათა? რათა და იმიტომ რომ ბებია-აკუშერება უსუფუ-
თა ხელებს აპოლინებდა, ბებიის ფრჩხილე-
ბის ქვეშე ჭუჭეში ჭირის ბაქტერია ბუღდბდა
და აქედან ბაქტერიები მშობიარეს გვამში (სა-
შეიძლისნოს) შეესივნენ, მისცა მშობიარეს სა-
შინელი სიცხე (Родицьная горячка) და თა-
ნაც გადაიტანა. დიალ დღეს მთელი უურალ-
ლება შეცნიერთა სასტრი სისუფთავეზე მიქ-
ცეული—გამეფებულია ქირურგაში ასეპტიკა
და სტერილურზაცია. ცივბ-ტეხლების და სხვა
ავადმუშაფლის წინააღმდეგ დღეს ძლიერ არის
გაურცელებული წამლით აცრა. ჭო და უსუფ-
თა ნებით თუ აუცილო და თუ თვითონ იმ
ადგილას კანს ეთერით ან სპირტით არ გაუ-
სუფთავებთ, მაშინ ხომ ადგილად შეგიძლიანთ
ჭირის ბაქტერიები შელალოთ ავადმუშაფის
სისტემი და წეთისოფელს გამოასალოთ—
განა კი ცოტა უოფილა ამისთანა შემთხვევა.
აი და ამ ათიდე წლის წინეთ ერთმა ჩენმა
მწიგნობარმა რესულით სთარგმნა საექიმო
ბროშერა და უნებლივთ შეცდომაში შთავარდა,
ოთვორც არა სტერილური საქმისა. წარმო-
იდგინეთ რო ძნებებს, ძნებიძებულას ურჩევს
არის, წელულის შესახვევად!..

ბოლოს „თვით ჩასახვის“ თეორია ჰასტერ-
მა სამუდაშოდ დასამრა. ჰასტერის ასწინით,
საკითხის გამორკვევით უველანი კმაყოფილია
დარჩნენ უწმიუნო თომასთვისაც-კი აშკარა
იყო. ახლა მხოლოდ ჰასტერს უნდა ის დაემ-
ტევიცებინა, რომ ჰასტერში მართლაც და ირეგიან
აუარებელი ბაქტერიები და შათი სპირტი
(თესლი). ამისთვის შეცნიერთა მთელი კამია-
სია დანიშნეს. ჰასტერმა დაამზადა საგანგებო
შეშები (ბოლოები), ჩაასხა შივ ბაქტერიების
საუფარელი სითხე-სანთხაბე და უველა ადგი-
ლას გამოსცადა (უშეშ და მისთა თანამთაზ-
რეთ უარი განაცხადეს კამისიაში მონაწილეო-

ბაზე). ადმინისტრა, რომ დაბლობს და ნოტიო
ადგილებში აუარებელი შიკრორგნიზმონი
ფუთფუთობები, რომლისამე მთის შეს წელზე
ძლიერ ნაკლები ირევან ჭარში ბაქტერიები, ხოლო
მთის მწვერფალზე, სადაც საზოგადო
ორგანიზაციი სიცოცხლებული ძლიერ ნაკლები სწარ-
მონას, იქ ბაქტერიები ჭარში თითქმის რო
არ აღმოჩნდნენ. ჰასტერი შეცნი მონბლა-
ნის მთაზედაც კი ავილა საცდელად.—

ერთის სიტუაცით ჰასტერმა დადებულად
გაიმარჯვა. მთელი ასალი ხანა შექმა, როგორც
შეცნიერებში, ისე თუ შრეწველობაში და პრაქ-
ტიკულ ცხოვრებაშიც.

IV

ჰასტერი ძლიერ ბევრს შრომობდა—შეც-
ნიერი და მიკროსკოპი გაუურელი იყვნენ.
გატაცებული იგვლევდა თვალთ უჩინარ არგა-
ნიზმოთა ცხოვრებას, მათს სასიათს, ძალას
და უნარს. იმასც კი იგვლევდა, თუ ბაქტე-
რიებს რა აამებათ და რა სწუინთა.

1863—67 წლებში ჰასტერი გეოლოგიის
და ქიმიის დეპტომენტის კითხულობდა Ecole de
Beaux—Astrs-ში, ხოლო 1867—75 წლებ-
ში ეპაზ ქიმიის კაცელრა ჰარიზის ფაზულ-
ტეტში, შეტის შეტად ნაუთფიერი იყო ჰას-
ტერის შეცნიერელი შრომა უფრო იშით, რომ
შეცნიერელი, თეორიული მსარე რაიმე საკი-
თხისა წასვე ჰასტერიკულს სასარგებლო შე-
დეგს მიიღებდა ხოლმე.—

კერ ხო იყო და ზედმიწევნით შეისწავლა
მიზეზები რისკანაც და გისკანაც სდედს მა-
გრარი და სხვ... ხოლო როგორსაც საშარადისად
დააკანისა „თვით ჩასახვის“ უაზრობა, შემ-
დებ მიჟეო ხელი ჰასტერიკულს, მოწველობა-
ში უსაჭიროეს კითხვების გამორკვევას. აღ-
მოჩანსა მიზეზი რაიცა ქმნის ძმარს—იპოვ-
ნა ბაქტერია Mycoderma acetii, რომელიც
ქიმიურად ამზადებს ძმარს. ამ ბაქტერიის,

მიკოდერმა აცეტის, შეტად დიდი ფერმერტი-ული ძალა და უნარი აღმოაჩნდა. დიდის სის-წრაფით ხარის და მრავლდება ფვინის ზედა პირზე, რაიდა გამოიწვევს ხოლმე ფვინის სწრაფ დაძმარებას. ეს ბაქტერია ხის ნახერ-ხიდანაც კი აზიანებს ძმას. განთქმული ქი-მიკისი ლიბისი თავისებურ თეორით ხსნდა ამ პროცესს. ვიდრე პასტერმა არ ჩახედა მიკროსკოპში და ახლოდ არ გააცნო ძმის პაქტერია მიკოდერმა აცეტი...

მას მერე პასტერი შეუდგა კელავ ახალ გა-მოკელევას — რად ავაღმულობას ხოლმე დაი-ნოთ? აქაც იგივე მიზეზი, ცოცხალი ბაქტე-რიები აღმოაჩინა, რომელიც საშინელს ზა-რალს ამჟღვდნენ ხოლმე მთელს საფრანგეთს, როგორც ფვინის მწარმოებელ ქვეყნას. დღეს პასტერიზაციის წყალთან და აღუ-დებენ ბოთლებში, ბოჩქებში და სხვ. ასევე ექცევას ღუდს (შიგოს). ე. ი. ცეცხლზე ღუდილის ღრის, 100—120° გრადუსის სი-ცხეში ხოცვენ ბაქტერიებს) უველავ, ფვინის ხელის მცდლებმ, მას მერე თავიდან აიცილა საშინელი ზარალი. ეს საგანგებო ბაქტერია, ფვინის ავაღმულობას გამოწვევით, თურმე სცხოვრის და საზღვრობს დანართის რომელიმე შემაღებ ნაწილით. ამიტომაც არ თუ აბრუ-ნებს ფვინოს, გემთსა და სურნელებასაც კი (ბუკეტის) სრულებით უფრქვებს.

—

1865 წელს პასტერი შეაგულანა მისმა შეგრძანმა დიუშმარ რათა გამოიერება მიზე-ზი აბრეშების ჭიდას ავაღდობისა. 1849 წლი-დან საშინელი სიდარიბე ჩამოვარდა ხალხში, რადგან საფრანგეთში 15 წელიწადი მეტი ჭიდას სენი მძვინვარებდა და აუარებელი ზა-რალი მოჭერდა აბრეშების მრეწველობაში. პასტერი ჩვეულებრივი ხალისით და დიდის ენერგიათ შეუდგა ამ ახალ საქმეს, კვლევა-ძების.

1865—1867 წელში პასტერი უდევლ ზაფხულის გამიგზავნებოდა ხოლმე აღლენში, სადაც ერთი პარარა სახლი მოწერილი ჭერნ-და აბრეშების ჭიდას გამოისზღდება, აქ იგვა-ლევდა მიზეზის რითაც ჭია ავაღდობდა. მუშაო-ბაში მას შეელოდა თავის ჯალაბობა — ცოდი და ქალი და აგრეთვე Ecol Normal-ს სტუ-დენტები: დიუკლო, უერნე, მალიო და როლენი.

პასტერმა დაამტკიცა, რომ ის რატაც „ნამ-ცეცანი“, რომელიც წინეთ მეცნიერთ აღმოა-ჩინეს ავაღმულოვ ჭიდას სხევლში, არან ბაქ-ტერიები, ჭირის ნაშევრილი მიზეზი. ამ ბაქ-ტერიების უწოდეს სახელად პეპრინი. ამათვან გამოწვეული სენი არამ თუ გადასადება, თურ-მე მემკვიდრეობითაც კი გადადის... გარდა ამისა პასტერმა ისიც დასაბუთა, რომ პეპრი-ნის ჭირის გარდა ჭია ავაღდობს აგრეთვე დითარგის ბაქტერიითაც. პასტერმა გამოის-თქვა თავის აზრი, რომ პეპრინის ამოსაგდე-ბად საჭიროა საგანგებოდ არჩევა სადი ჭიდას გრენისა (თესლისა), ხოლო დითარგის (სა-დათის ძილი) ავაღდობას უნდა ვებრძოლოთ ჰიგიენურ ზომებითათ.

ამის შერე იმპერატორმა ნაპოლეონმა III პასტერი მიიწვია თავის მამულში ტრიესტის ახლოს, სადაც პასტერმა მთელი თავის ცოდ-ნა მოახმარა ჭიდას გაჭანსადებას. აქაც ღი-დებულად გაიმარჯვა თავის მთგონილ კულ-ტერის საშუალებით და სეთოდით.

1871 წ. პასტერმა თავის მოწაფის დიუკლის დაბარატორიაში დასაბუთა ახალი აღმოჩე-ნა Mucor mucosid-ს (პრევს სკო) შესახებ. ეს ბაქტერია ღუდს (შიგო) აფუტებს (აღუ-დებს).

ბოლოს პასტერი იმ დასკვნას დააღდგა და დააგანვინა, რომ თვალთ უხილავ არსებათა მიერ გამოწვეული დუღილი არის სიცოც-ხლე, რომელიც უჭაეროდ სწარმონიშვილის კ.

აღმოჩენა აღმოჩენას მოჰუვა, აზრის აზრი;

ერთს სკიოთხს რო გააშექმდა, ასწინდა, მას შეარცე მოსდევდა. ამ ხნაში პასტერს ასეთი ბეღნიერი აზრი დაეძადა: თუ კი დღეს ჩვენს ხელთა უაჭის ჭიას მთვარითო ჭირი—რა-ლაცა ბაქტერია, ისიც შეგვიძლია, რომ ლუდი დავითაროთ ავალობისაგან, იმ რაღაც მუქო მუცელისაგან, ნე თუ უფლება არ გვაშეს ისიც ვითივქოთ, რომ მეცნიერების ძიებით შე-გვიძლია იმ საშეალებასაც მივაგნოთ, რომ კაცობრითა დავიხსნათ იმ ღვთის რისხა გა-ლამდებ ჭირთაგან, რომელიც მუსსი ადენენ აუკარებელ სალსაც. „შე მწამეს, რომ დადგე-ბა ის ღრუც, როდესაც, მაგალითად, უვითელი ცივებ-ცეცლება სენეგალში და მდინარე მისი-სიშის ხეობაში ანუ ბებონიანი ჩემა (შეი ჭი-რი) მდ. ვოლგის ნაპირებზე, ადვილი მოსა-გერებელი და მოსასპები შეიქმნებიან ჩვეუ-ლებრივი ჰიგიენური ზომებით და სხვა ხე-სით.

ამ გვრად ჰასტერშა ლუდის ბაქტერიის შესახებ მუშაობა დამთავრა თუ არა, ახლა ლამინდა მთელი კაცობრითის დახსნას ჭი-რისა და ბაცილისაგან.—პასტერი აღტაცებუ-ლი შეუდგა ადამიანის გამანადგურებელ სხვა და სხვა შესახარ ჭირის მიზეზთა გამოყენე-ბას. ამ სფეროში კვლევა ძიების ღრცე პას-ტერშა საფუძვლიანად შეისწავლა უფლებივე, რაიც კი მის წინეთ მეცნიერებას შეექმნა. მაგრამ მაშინდელ მეცნიერთა აზრი და მოძღვრება, რასაკირველია, გენის პასტერის კონებას გერ დაკმაყოფილებდა. ბოლოს პასტერშა გა-დამდებ ჭირთა შესახებ თავის ფორმება შე-იძებავა. არსებითი დადგენილება პასტერისა დაურღვეველ საბუთებზეა დამარცხებული. პას-ტერშა გადაჭრით გამოაქვეყნა შემდეგი მოძ-ღვრება: „ნორმალურ პირობებში ცოცხალი არსება უფლების უმიზეზთა უთარდება და ხარბას, ვინაიდგან თავის სისხლს და ხორცი არ შეიცავს არავითარ პარაზიტებს. მაგრამ როდესაც პირობები იცვლება, შეიძლება იგივე

სისხლი და ხორცი ესე იგი ქსელი და ლორ-წი შეიქმნეს საცნობო კულტურად რომელიმე პარაზიტი მიკრობის ასაღილძინებლად. რადა, თქმა უნდა პარაზიტი ხარჯის, იკვებება, ვი-თარდება, მრავლდება, ხოლო ადამიანის ჯანი კი იწამლება, იშვამება. ჭირი მძღავრობს და თუ რომ ჯანმა ბრძოლაში თავი გერ გაიტანა, მტერი პარაზიტი ვერ შეჰქლა, მაშინ თვით ჯანი მარცხდება, ადამიანი კვდება“.

ამ ღვთის რისხა პარაზიტების თავიდან ასაცილებლად პასტერშა გამოაქვეყნა გზა და ხელი, რომლითაც შეიძლება ჭირის უგელა ბაქტერია (პარაზიტი) ცალკე კულტურად მო-შენდეს და მერე მათი ცოცხალი შეამის სა-სიათი მეცნიერულად გამოვიკვლიოთ, თანაც ამ შეამის უნარი და ძალა ჩვენდა სასურველად შევცვალოთ.

მას მერე მეცნიერებში გამეფდა ის აზრი, რომ მიზეზი უველა გაღამდებ ჭირისა მოკ-რობები არიან. ეს ღებულება საფუძვლად დაუ-დო მედიცინის და ჰიგიენის სწავლა-მოძღვრე-ბას. ამ არჩეულ სამედიც გზით იძრვის დღეს მეცნიერება კაცობრითის ჯანმრთელებისა და კეთილდღეობისთვის...

პირველ უოლისა პასტერშა მიაქცია უურად-ღება ცომბირის ჭირის (1876 წ.). სწორედ ამ ღრცე შეცნიერმა დავენმაც უკეე გამო-აქვეყნა, რომ ამ საშინელი ჭირის მიზეზი არის ბაქტერია-პარაზიტი (Bacterium anthracis), ხოლო მეცნიერმა რობერტ კოხმა ის იურ დაბეჭდა კიდეც სტატია ამ ბაქტე-რიათა სპორის (თესლის) შესახებ...

პასტერი აღტაცებული იყო, რომ მისგან გაშუქებულ გზით მეცნიერება უკეე ღილის ბიჯით წინ მიღის. —პასტერშა თავის მხრივაც გულის-უურიანად შეისწავლა იგი ცომბირის ჭირის ბაქტერია და შედეგად გამოაქვეყნა, რომ ეს ბაქტერია ცხოველის ჯანში აჩნი-ერთ გვარს შეამს, რომელსაც პასტერშა უწო-და ცომესინი. თურმე ეს შეამი აწებებს ცხო-

კვლის სისხლის წითელ ბირთვებს, რის გამოც სხეული გნისაცდელში გარდება და უფრო ხშირ ბრძოლას ვეღარ უძლებს და კვდება.

V

შეტის-შეტი შრომით პასტერს ჯანი მოედა და 1869 წ. აპრეშემის ჭიის სენის ძიება-კვდევის დროს დაზებულ მეცნიერს დამბლა (წევთი) დაეცა და ნახევარი სხეული-სა პარიზისაგან დაუსახირდა.

ამ მოუღლონებმა უბეღურებაში მოედ მის დანარჩენ სიცოცხლეზე დიდი გავლენა იქნია. ბედმა ეს არ აკარა. თან დაერთო 1870 წ. გერმანელთა მიერ საფრანგეთის დამარცხება. ამან უფრო თავზარ დასცა კაციბრიბის მხსნელს გენის მეცნიერს. დადებულმა მამულიშვილმა პასტერმა ვერ აიტანა საუგარელ სამშობლის დამცირება, შეურაცხოფა. თბის შემდეგაც პასტერმა დიდხანს ვერ დაიშვილა გვლი-სხელი ვეღარ მოჰკიდა თავის საუგარელს სამეცნიერო შრომას... ბოლოს გადაჭრილი უარი განუცხადა ბონის უნივერსიტეტის ფაკულტეტსაც, მიუხედავად იმისა, რომ ამავე ფაკულტეტმა რამდენიმე წლის წინეთ, დიდად დამსახურებულ მეცნიერს და პასტერს პარიზი სცა და გით ახალ სწავლა-მოძღვრების დამფუძნებელს მიუსაჭა მედიცინის დოქტორიბის დიპლომი Honoris causa.

1874 წ. საფრანგეთის დეპუტატთა პალარი დადად დააფასა დისკუსი მამულიშვილის პასტერის უაღრესი კეთილმოქანა წერბა. სამშობლის საბედნიეროდ და მეცნიერების სადიდებლად. პენსიად პასტერს დაენიშნა სასხლიწითა საზინდან უოველ წლივ 12,000 ფრანკი, ხოლო 1883 წ. ეს პენსია ერთი არა და აკციეს—თვეში 800 მანეთამდე კმლება და ვიღრე სცოცხლიდა.

მსოფლიო მეცნიერს პასტერს სიცოცხლე-შეე როგორის დიდად პარიზი სცა აგრეთვე და გითის დიდად პარიზი სცა აგრეთვე

ლონდონის სამეცნოერო საზოგადოებაში. ჯერ იულ და 1856 წ. ხო მიუსაჭა თქოს მედალი, ახლა ხელ-მეორედ 1874 წ. კვლავ თქოს მედლით დააჯილდოვა კაცობრიბის მხსნელი, ასალ მეცნიერების მმართვარი და პასტერი. ხოლო საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიაში, როგორც უგვევისით, მიუსაჭა დიდი პრემია „თვითხასახების“ საკითხის მეცნიერულად გამორკვევისათვის და სხვ.

კაცობრიბის საპერნიეროდ 1879 წ. პასტერი კვლავ შეუდგა მეცნიერულ შრომას. უკვლებმა მეცნიერმა განიზრას საბოლოოდ გამოეკვლა ჭირის ბაქტერიიების ვითარება. კვლავ აღმოაჩინა ვიბრინი სეპტიცემიისა (ბაცილა ავი სიმისინისა); შეიძინა ამ ვიბრინის ხსიათი და სიცოცხლის პირობები. ამ დროს პასტერმა გამოსთხვა ის აზრიც, რომ ბევრს შემთხვევაში უფლებულია თვით ექიმებ-პარუგებმა აპერაციის ღრის თავის და უნებურად ახალი ჭირი რამ გადაჭიდონ ავადმყოფსათ. ეს დადებული სიტყვები კვლავ დააკანონეს მედიცინაში, კვლავ გაუმჯობესეს ხირურიაში ახალი მეთოდები. შეიქმნა ახალი ხანა ასეპტიურ ქირურიისა, რომელიც ღიას იდეალურ სიწმინდები არის მიღწეული. ღიას ღია აპერაციების ღრის თვით ხირური და შისი თანაშემწენი არამცულებების და ფარინგის და თავისი და თავის იდანენ საგანგებო სუფთა ტანსაცმელს იცმენ და მერე ისე შეუდგებან ხოლო წმიდა მოვალეობას იარაღებით, რისთვისაც იარაღს ღრის ტრაქარისას და შესახვევ მასალას (შარლა, ბინტი და სხვ.) ეგელა ამათ სტერილიზაციის ქარცეცხლში არარებენ—ას გრადუსიან თრთქლში აწრობენ ხოლო. ამოდენი სიცოცხლის სულმთლად იმისეა მიმართება, რომ აპერაციის ღრის გაჭრილ აღგოლში ჭირის რამ პასტერია არ

ჩაგდონ, რამე ჭირს არ გადაჲეთდონ ავად-
მუთხო.

1879 წ. პასტერნა სცადა ქათმის სთლე-
რის აცრა. ქათმის სთლერა გადამდები ეპილე-
მიური ჭირია, მთარელია, ოომელიც ანად-
გურებს, ულერს ქათმებს და სხვა შინაურ
ფრინველებს, რითაც დიდი ზარალი მოსდის
ხაჯეს ეკონომიურ ცხროებაში. ჭირის მიზე-
ზიც აღმოჩნდა ბაქტერია, ოომელის კულტუ-
რაც აღვილი მოსამენებელია, მაგალითად ქათ-
მის ბულიონში (სადა წევნი) შევენიურად
სცხოვობს და გითარდება. პასტერნა დაასა-
ბუთა ამ ბაქტერიის ჭირი და მისგან გამონა-
დენი შეამიცო, ცოქსინი.

ერთს ზაფხულსაც მოხდა, ოომ ამ ბაქტე-
რიათა ახალ შენი (კულტურა) განიკულების
დროს პასტერნა დაგეტილმი დასტოვა თავის
ლაბარატორიაში. თურმე წუ ბრძანებთ, რამ-
დენისამე თუში ქათმის სთლერის ჭირის ბაქ-
ტერიიები იქმიდე დასუსტდნენ, რომ პასტერნა
ოომელ ქათმისაც კი აუცრა ეს ჭირი, არც
ერთი არ მოჰვდა. ამ მოულოდნელმა უბრალო
შემთხვევამ პასტერნს დიდებული აზრი დაუბა-
და. საცდელად გააჩინა ახალი კულტურა (ქათ-
მის ჭირი ქათმის წევნი) და ახლად ნაბარ-
ტური, ახალგაზდა ძლიერი ბაქტერიიები აუცრა
სწორედ იმავე ქათმებს, წინეთ რო აცრილნი
იუვნენ იმ დასუსტებული ბაქტერიიებით. იმავე
დროს ათითდე ქათმისაც სულ პირველად აუც-
რა ის ძლიერი ბაქტერიები.

პასტერნი ისხარელით ცალ ეწია—დიდებული
შედეგი მიიღო: იმ ორჯელ აცრილმა ქათმებ-
მა (ჯერ სუსტით და მერე ძლიერით) შევე-
ნიორად აიტანეს ძლიერი ბაქტერიიებიც, სთლი
იმ ქათმებს, ოომელთაც პირდაპირ ძლიერი
ბაქტერიიები აუცრა, ჭირმა დარია ხელი და
უველავი დაულიტა.—აი ეს უბრალო, მაგრამ
დიდებული აღმოჩნდა საფუძვლად დაედო ჭი-

რის კულტერის მომზადებას და მათი დასუს-
ტებული შრატით აცრას.

პასტერნი აღტაცებით შეუდგა სხვა ჭირის
ბაქტერიების შრატის მომზადებას და აცრას.
ბევრი ეწვალა ციმბირის ჭირის საწინააღმ-
დებო შრატის მომზადებაზე, მაგრამ ბოლოს
მარც შესანიშნავად გაიძირვება. წინეთ თუ მი-
ლითნობით იყლიტებოდა შინაური საქონელი,
დღეს ციმბირის ჭირისაგან ასში 5—10 თუ
გვდება. უანგარიშთა ის სარგებელი, ოომელიც
დღეს პასტერნის გამოგრძებას მოაქვს სოფულის
შეურნებაში, საქონლის მოშენებაში.

1881 წ. ღიასეული მამელისშეიძლი და
მითვლით მეცნიერი პასტერნი ჩარიცხეს უკვ-
დავთა შროვის—აირჩიეს საფრანგეთის სამე-
ცნიერო ავადამიის წევრათ, გარდაცვალებულ
შეცნიერის დატრინეს ადგილზე.

მართლაც და ბოლოს და ბოლოს პასტერნი
შეიქმნა მთელი მითვლითს მხსნელი, მისი
სახელი უკვდავ იქმნა მარადის უკუნისამდე,
პასტერნის გენატისტია იქმიდე მიაღწია, ოომ
კაცთა ნათესავი იხსნა იმ საშინელ ჭირისაგა-
ნაც, ოომელსაც ცოფი ჰქვიან. მარტოდენ
ცოფიანა აღამინის წარმოდგენაც კი დღეს
წევნოვის მეტად შესაზარია, თავზარდაშეცემი
საშინელებაა. უწინ კი მთელ დედამიწის ზურგ-
ზე აღამინის შეიძლი (მეუფე ბუნებისა) ათ-
ათასიბით ცოფიანდებოდა, აუწერელ ტანჯვა-
ვაებაში იღუპებოდა.

ცოფის წინააღმდეგ საბოროლველად არაეი-
თარი საშუალება ხელთ არ ჰქონდა მეცნიერე-
ბას. ამ სენის შეწავლა უფრო ძნელი აღ-
მოჩნდა ვიდრე ციმბირის ჭირისა. ჯერ ერთი
რო მეტად სანგრელივი ინკუბაციის*) პე-

*) ინკუბაცია ლათ. ჭირის შეყრიდან ჭირის
გამოჩნდამდე კარგა ხანი გადის, აი ამ დროსა და
ხანას ეძახიან ინკუბაციურ პერიოდს. მაგ-ლითად

რითდი აქვს და თანაც მისი შიგობი ჯერ დღესაც არ არის აღმოჩენილი. ინკუბაციის პერიოდის შემოგვლება მაინც შესერხდა: ძაღლისთვის 14 დღით. მაგალითად მეცნიერმა რუმ ცოტის შესმი ტენიში აუცრა ძაღლს (ტვინის კოლოფის ძაღლი ფრჩხილის თვენა ადგილი აჭისადა (ტრეპანატა)). ამ გვარივე ხერხით ცაცალოს (თეთრკურდღელს, კრალივს) ტვინში რო აუცრეს, ინკუბაცია შემოგვლება ეჭვსი დღით. ამის შემდეგ არ რა აღმოჩნდა: ცოტისაგან მოკლულ ცაცალოს (კროლივი) ხერხემშის ტვინი ჭავრში რომ დავტოვოთ, მაშინ მოწამელული ტვინი (ქსელი) რამდენად მეტად გახდება, იმდენად თანდათანიბით ცოტის შესმიც ძაღლას ჭყარგეს, სუსტდება. ამ გვარად მეცნიერთა ხელთაა—რა ძალის შეამიც სასურველია იმისთვის ამზადებენ, ხმარობენ.

ნერვების ქსელი ცოტის შესმის კულტურისთვის ისეთივე ბალდადი აღმოჩნდა, როგორც ქათმის ბულითნი (წევნი) ციმბირის ჭირის ჩირებისთვის.

ცოტის ჭირის კულტურა 14 დღეში სრულებით ჭყარგეს თავის შესმის ძაღლას. ჭო და ჩვენც ამ ორ კვირის განმავლობაში რა ღრისის და ძაღლის შესმიც დაგბრიდება, იმას გასმართ ასაცრელად. აცრილ ცხველსაც შისძაგვარი იმუნიტეტის პერიოდი მიეცემა. რა ცხველსაც აუცრეს, უველგან ბრწყინვალე შედეგი მიიღეს.

კვლევ გამარჯვებულია შასტერი იმ დასკვნასაც დააღვა, რომ ამ გვარ აცრით არამთეუ შეიძლება ცხველი დავიტებათ და წინათვე დავითერთ ცოტის ჭირისაგან, არამედ შეგვიძ

ცოტისაგან მეცნიერმა აღმოჩნდი დაგლიჯა. დაკბენის დღიდან ვიდრე აღმოჩნდი გაცოციანდებოდეს, თვეზე მეტი ღრია გადის. ყველა ჭირს და მოარულს სხვა და სხვა ინკუბაცია აქვს—ხოლორას და დიუტერიტს (ყელჭირვებას) სულ რამდენიმე საათი, ყვავილს 2—3 დღე და სხვ...

და უკვე გაცოციანებული გადავარჩინთ ამ საშინელ ჭირისაგნაც.

ასეა ჯერი მიღდა აღმიანზე. აღმოჩნდა რომ ცოტიან ცხველისაგან დაგბენილ დაშემულ აღამიანის ინკუბაციის პერიოდი გრძელდება მთელი ერთი თვე და ზოგჯერაც უფრთ მეტიც—ორ თვემდე. ამ სწორედ ამ ღრის, ვიღრე ცოტი გამოაჩნდებოდეს, ამ პერიოდით შეიძლება ვისაც გებლით და ცოტის წამადი (შრატი) აუცრათ აღამიანს, ცოტისაგან დაკბენილს.

1885 წ. თბილთვეში მეცნიერების ისტორიაში დიდებული სასწაული მთხდა კაცობრიობის შარად საკეთილდღედ. შასტერში სულ ჰირველად აუცრა აღამიანს ცოცის საწინაღმდეგო შრატი თავისივე გამოგონილ მეთოდით. ის ჰირველი აცრილი აღამიანი ისტორიაში ჩაიტარა, იგი იურ ცხრა წლის ბავშვი ელზასული იოსებ მეისტერი. შასტერის მეთოდმა აქაც საიმედოთ გაიმარჯვა.

VI

1889 წ. შასტერში მეცნიერმა დაანება თავი სხვა უოველსავე თანამდებობას და დიდის ხალისით შეუძგა თავისივე სახელობის ინსტროტუტის უფრთ უკეთ მოწეობა—ორგანიზაციას და ბოლოს მართვა-გამგებასაც.

შასტერის სახელობის ინსტროტუტი შარიზში დიდებული რამ დაწესებულებაა. ეს არის წმ. ტაძარი მეცნიერებისა, აღამიანის ჭირების სიძლიერისა, გამარჯვებისა. ეს არის ძეგლი უდიდებულეს მეცნიერისა, რომელიც უკვდავ ჭერის ისეც უკვდავს აურ შასტერის შარადის უკუნისამდე.

1892 წ. მთლიან განათლებულმა კაცობრიობამ დიდებულად დიდის ზეიმით იდლესასწაულა მსოფლიო მეცნიერის შასტერის დაბადების დღე, სამოცდათი (70) წლის თავი. ხლო სამი წლის შემდეგ სახელდღის 1895 წ.

28 სექტემბერს, კაციბრიობის შესწელმა, გვინისმა ადამიანმა დასტყვა ეს საწუთო, მაგრამ მისი საღმერთებელი სახელი და ხსენება უკვდავ არ აწერდის და უკუნითა უკუნისამდე...

VII პასტორის ინსტიტუტი

პასტორის სახელის ინსტიტუტი პარიზში დაარსდა 14 ნოემბერს 1888 წ. Raphaël Dutol, 25, უზარშაზარი შედეანი უკიდავს, თერთმეტ ათასი თოხუთხი ადლის სიყრცე. ანსტიტუტის დაასების აზრი და მიზანი იყო გადამდებ ჭირთა (ბაქტერიების) წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიზნის მისაღწევად ხერხისა და საშუალების გამონახვა. — მეტადრე მას შემდეგ, როდესაც პასტორმა ცოლებისაგან გადაარჩინა ის ელზასელი ბავშვი, ინსტიტუტმაც დაბა სახელი მითხვებს და ხალხის დაღი სიმპატია დაისახურა. მაგალითად, 1888 წელს ინსტიტუტის სასარგებლობდ ხელის მოწერით ხალხმა შესწირა სამ მილიონამდე ფრანკი.

დამჯუბნებელი დაბარატორიებისა და პირველი ხელმძღვანელი შეცნიერულ შრომისა, რასაკვირეელია, თვით პასტორი, იუ. მისი სახელის ინსტიტუტი შეიტანა დღეს ექვს განულებისას. ამაში უგელაზედ უდიდესია ის დაბარატორია, სადაც ცოლის საწინააღმდეგო კულტურას აშენებენ და აქედან ამზადებენ ასაცრელ სითხეს ანუ შრატის. აქებე ამ განულებისაში უთველ ცისმარე დღე ასამდე კაცის უცრიან, ცოლიან ცხოველთაგან დაკბენილებს.

ამ განულების დირექტორად 1897 წ. იუ. გრანშე ბავშვთა კლინიკს პროფესორი შედიცინის ფაკულტეტისა; თანამშრომლობენ თხით ასისტენტი და აგრეთვე ნორმალურ სკოლის თრი მოწავეებ დაცოლიანებულთა მისაღებად, უკრნალის საწარმოებლად. — თვით

ინსტიტუტის დირექტორად დადგებულ შამა-მთავრის პასტორის შემდეგ არჩეული იყო პროფესორი დიუკლო, ლინკეული მოწავე პასტორისა.

მოორე განულების პასტორის ინსტი-ტუტისა შეიცავს საზოგადო ბაქტერიოლოგიას. აქ მსოფლი მარტოდ მარტოდ შეცნიერული გამოკვლევანი სწარმობს, აგრეთვე გადამდებ ჭირთა წინააღმდეგ საშუალებათა ძიებაში არიან. აქებე გადმიირანეს სტრანიდან კათედრა ბიოლოგიურ ქიმიისა, ბაქტერიათა საკუთეუ-სოდ შესასწავლად. ამის შერე უფრო შეცნიე-რულ ნიადაგზე დამუარდა ბაქტერიათა ფორ-მის, ხასიათის და მათი ცხოველების კვლევა-ძება. აქ იყვნებენ, სცდიან ჭირის ბაქტე-რიებს რა გავლენა და ძალაც აქეთ ადამიანის სხეულზე და სხვ... .

ეს საზოგადო ბაქტერიოლოგია შეს-დგება სამ განულებისაგან. არის აქ მო-თავსებული:

- 1) მედიცინური ბაქტერიოლოგია.
- 2) მორფოლოგიური ბაქტერიოლოგია.
- 3) ბაქტერიოლოგია ჰიგიენურ მიზნის დამხმატებელი. —

სამჯურნალ ანუ მედიცინურ განულებით თრი დაბარატორია არის: 1) მეთოდური და 2) კვლევა-ძებისა. მეთოდურ დაბარატო-რიაში უმთავრესი უურალდება არის მაქტერიული ჭირის ბაქტერიათა წინააღმდეგ საბრძოლებელ საშუალებათა გამონახვას. მაგალითად რა სა-შუალებით შეიძლება ავიციდინთ თავიდან ტუ-ბერკულოზი (ჭლევების ბაქტერიები), დიფ-ტერიოფი (უალთმას ანუ უელჭირვების ბაქტე-რიები), კუნთრუშა და სხვ... .

კვლევა-ძების დაბარატორიაში სწარმობს მსოფლი და მარტოდ წმინდა შეცნიერული, სპეციალური მუშაობა.

მორფოლოგიურ ბაქტერიოლოგიას სათა-

ვეში სდგას განთქმული შეცნიერი რესი იღია მეჩნიერები. ამ განუოფილების შეცნიერები შრომა განისაზღვრება მიკრობითა ბუნებრივი ისტორიის შესწავლაში.

აქ არის კიდევ ერთი განუოფილებაც, რომელიც შეფერდებულია საზოგადო და კურო ჭიგენიასთან. ამ ლაპარატორიაში შეცნადინებუნ უკეთესად მოაწეონ და შეისწავლონ აცრის საქმე. აქ გამოყენეული დებულება საფუძვლად დაედება ხოლმე ჭირის ბაქტერიების წინააღმდეგ საშუალებას — წინასწარ მოყარებულ აცრით (შრატით) და სხვ. ეპიდემიის (გადამდებ ჭირთა) წინააღმდეგ საბრძოლებელად დიდი უკრადებას აქცევენ ჭაერის და საჭმელ-სასმელ, სანოგაბეს ავ-გარგიანობას, აგრეთვე ტანთსაცმელს და სხვ... ერთი სიტუაცით უგელანი იმ საგნების კვლევა-ძიებაში არიან, რომელიც ადგილად ავრცელებენ ხალხში ჭირს, ერთმანეთს გადასდებენ ხოლმე მთარულს. ამ განუოფილებას განაცემს ცნობილი შეცნიერი რუ.

შასტერის ინსტრიტუტის მიხედულობით ამ ტიპის შაგვარი ბაქტერიოლოგიური ინსტრუმები დაანსდა სხვა და სხვა სახელით ეფრთხაში, აშერიკაში და რუსეთშიაც. მაგალითად შეტრაგრადში დაარსებულია ინსტრიტუტი ექსპერი-

მენტალურ მედიცინისა. აგრეთვე ბევრს ქალა-ქებში გახსნეს ბაქტერიოლოგიური სტანციები (საღვურები): მოსკოვს, ვარშავას, თელავი, კიევს, თბილისში, სამარაში, კაზანს, ხარკოვში და სხვ.

ამ აქ, შასტერის ამ სტანციებში უცრიან ცოვის წინააღმდეგ წამალს. უგელ წლივ აუარებული ხალხი აწყდება შასტერის სტანციებს. ცოვიან ძალლისაგან ანუ ნაღორისაგან დაბლეჭილ-დაბენილი. სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ ხალხის ნდობაც უგელ წლივ მატულობს. მაგალითად მარტო თბილისის სტანცია რო ავილოთ, დაარსების შირველ წელს ვე (1888) აუცრეს 31 კაცს, ამათში უგელა გადარჩა, არ გაცოციანდა. 1889 აუცრეს 88 კაცს, ამათში მხოლოდ სამი გა-ცოვიანდა და მოკვდა. 1990 წ. აუცრეს 94 კაცს, ამათში გაგრიშა და მოკვდა მხოლოდ ხუთი და ასე და ამგვარად.

თვით შასტერის ინსტრიტუტში, შარიზში უგელ წლივ უცრიან ცოვის საწინააღმდეგო წამალს სამი ათასმდე (3000) კაცს. ათასში შეიძლება 5—6 კაცი ვერ გადაარჩინონ ცო-ვით ტანჯვას, სიკვდილს, თორებ დანარჩენები სრულებით იკურნებან შეცნიერების სსა-ხელოდ და შასტერის სადიდებლად, სამარა-დისო სათავანებლად.

ილ. ალხაზიშვილი.



ესთეტიური გრძნობის აღზრდა ბავშვები, ოჯახში და სკოლაში

უანამ შეუდგებოდე ბავშვში ესთეტიური გრძნობის ასაღზრდელ საშუალებათა ჩამოთვლას, საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ განვმარტო, თუ რა არის ესთეტიური გრძნობა და რა იწვევს მას ჩვენში. ესთეტიური გრძნობა—ანუ განცდა ყოველგვარ სილამაზე-მშვენიერებისა არის გრძნობა, რომელიც იფეთქებს ჩვენში ბუნების სხვა და სხვა სილამაზის ხილვისა და ხელოვნების ნაწარმოების განხილვა-მოსმენის დროს, მაგალითად: პოეტური ნაწარმოების კითხვის, მუსიკის მოსმენის, ქანდაკების და ხელოვნებით შესრულებული სურათის ხილვის დროს. ეს გრძნობა განუსაზღვრელ სიამოვნებით და აღტაცებით აღავსებს ჩვენს არსებას. ეხლა განვიხილოთ ყველა ადამიანს აქვს ეს გრძნობა თუ არა. ყველა ადამიანს შეუძლიან განიცალოს ესთეტიური გრძნობა იმ საგნებისაგან, რომელნიც მას მიაჩნია ღამაზად და მოსწონს, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს გრძნობა ადამიანს ბუნებისაგან აქვს მომადლებული და არა ერთნაირად ყველას. არ შეიძლება იყოს ისეთი ადამიანიც, რომელსაც სულ არ ჰქონდეს ეს გრძნობა, რომელსაც არ იზიდავდეს სიმშვენიერე-სილამაზე, მაგრამ ზოგში ეს გრძნობა ისეთი სუსტია, რომ ის ვერ ამჩნევს ამ გრძნობას თავის თავში და ვერ იჩენს მას მაშინ, როდესაც უნდა გამოეჩინა. ავიღოთ მაგალითისთვის ორი კაცი: ილია და ილარიონი, პირველი ვსთქვათ, ესთეტიკოსია, მეორე კი-არა. ვსთქვათ, ლია და ილარიონი ავიდა ერთხელ წარმ-

ტაცი ტყით შემოსილ მთაზე, რომელიც სავსეა წყარო-ჩანჩქერ-ნაკადულებით, სადაც გაისმის ფრინველთა სამური მუსიკა და ფოთოლთა ცელქი შრიალი; ილიას აღტაცებას ამ დროს საზღვარი არა აქვს, ილარიონიც ხარობს; ვსთქვათ, ილია ამბობს: „ვიშ, ნეტარებავ, რა მშვენიერი, გულის წარმტაცი ტყეა, რა საამურია ფრინველთა სტვენა და ფოთოლთ შრიალი“... ილარიონი მიუგებს:—მართლაც რომ კარგი ტყეა, სულ კაცხვებით, თელათი და წაბლით არის საესე, რომელნიც ფიცრებათ გამოდგება და კარგი სახლი აშენდება იმათგან; წყარო და ჩანჩქერი მართლაც შესამჩნევია, მთის ძირში თითეული მათგანი წისქვილს აბრუნებს, ფრინველებითაც მდიდარია ეს ტყე. უფრო საინტერესოა აქ შაშვები, რომელებიც ზამთარში ძლიერ მსუქნებია და მათზე ნადირობა— სახეირავ; ვსთქვათ კიდევ, ამავე პირებმა იხილეს მშვენიერი დილა; ილია აღტაცებაში მოდის, როდესაც ხედავს აღმოსავლეთს კეცხლის ფრად აზვირთებულს და ოქროს ფერ სხივთა ყვავილების ფრქვევას; ველზე ნამის ვერცხლის ფრად ცქრიალს და ისმენს ფრინველთა კისკას გალობას; ილარიონიც ილიმება და ამბობს: „დალოცვილშა ღმერთმა მოგვხედა, დადგა კარგი დარი, საწყალ მუშა კაცს აწ აღარა უშავს“... და სხვა. ამ ორი ადამიანის მიერ ბუნების დაფასება ორნაირია, პირველი აფასებს ტყეს, დილას ესთეტიური თვალთა ხედვის ისრით, მეორე კი—მატერიალურის, სარ-

გებლობის მიხედვით; კარგი ტყე, დილა პირველსაც ახარებს და მეორესაც, მხოლოდ ეს სიხარული თვითეულისა განირჩევა ერთი მეორისაგან და არ შეიძლება ისინი შევადაროთ ერთი მეორეს. რომელი გრძნობს მეტს აღტაცებას, სიხარულს, სიამოვნებას, ილია, თუ ილარიონი?!?.. რასაკვირველია ილია მეტს გრძნობს ვინემ ილარიონი. პირველის აღტაცება-სიხარული განუსაზღვრელია და არ შეეძრება მეორეს, თუნდაც იმ შემთხვევაშიაც, ტყე რო შეადგენდეს მის საკუთრებას და შეეძლოს მით სარგებლობა. მას თუ უხარიან ტყის ხილვა, იმიტომ რომ სასარგებლო რამე ნახა, ის ტყისაგან სარგებლობას ითხოვს მატერიალურს; ხოლო ილია თუ აღტაცებაში მოდის იმიტომ, რომ მას ძლიერ მოეწონა ტყის სიმშვერიერე და ტყისგან ის ამ დროს არაფერს ითხოვს, გარდა უბრალო ცქერისა. აქედან სჩანს, მეორეს, ილარიონს არ შეუძლიან განიცადოს ისეთი ძლიერი, სიცოცხლის მომნიჭებელი აღტაცება-სიხარული, რომელიც იფეთქებს ილიას არსებაში წარმტაცი ტყის ხილვით. თუ ბუნების ლამაზი სურათის ხილვა იწვევს პირველში ასეთ აღტაცებას, ამავე დროს იმავე ბუნების სილამაზის განადგურება-დამახინჯება განუსაზღვრელ მწუხარებაში აგდებს მას.

ვსთქვათ, ხსენებული ილია და ილარიონი რამოდენისამე ხნის შეძლევ მოხვდნენ ერთად ამავე ტყეში; აღმოჩნდა, რომ ილარიონს ეს ტყე შეუძენია, მიუღწევია მისი მიზნისთვის, გაუკაფავს კიდევ და იმავ ალაგას სიმინდი დაუთესია; ილიას მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც განადგურებული ტყე ნახა; ის უსაყველურებს ილარიონს, მაგრამ ის უპასუხებს: „დამერწმუნეთ, რომ კარგად მოვიქეცი; აი, ბევრი ფიცარი დაგამზადე, მალე სახლ-

საც წამოვჭიმავ, ბევრ ფიცარსაც გავყიდი, აქ სიმინდს ვაკეთებ და წლის სარჩის მოვიწევ... და მართალიც არის ილარიონი, თავის გონიერით მან სასარგებლო რამე ჰქმნა და არც კი ესმის, თუ ილიას რატომ სწყენია... ყველა თქმულიდან სჩანს, როგორ აფასებს სხვა და სხვა აღმიანი ბუნების სილამაზეს და სიმღიდრეს. ეხლა ვიკითხოთ, რატომ პირველი ასე აფასებს ბუნების სილამაზეს და რატომ მეორე სხვაფერ? იმიტომ, რომ პირველი, ილია ესთეტიკოსია, მეორე—ილარიონი კი—არა. ილარიონს ეს გრძნობა, როგორც სჩანს, სრულებით არა აქვს; რასაკვირველია, არიან საგნები, რომელნიც მას მოსწონს, მაგრამ მოსწონს იმავე სარგებლობის მოტანის მხრით, და ამას ხომ ვერ ვუწოდებთ ესთეტიკურ გრძნობას. მაშასადამე, არიან აღამიანები, რომელთაც სრულებით არა აქვთ ეს გრძნობა და ან თუ აქვთ, ისეთი სუსტია მისი ჩანასახი მათში, რომ მათთვისაც და ყველასთვისაც შეუმჩნეველია, ამას ხომ მაინც არ ქონება ჰქვიან ამ გრძნობისა. როგორც ვსთქვით, ეს გრძნობა ყველას ერთნაირი არა აქვს, არამედ მეტ ნაკლები; ეს დამოკიდებულია მის ბუნებრივ ინდივიდუალობაზედ და ამ გრძნობის აღზრდაზედაც. როგორც სჩანს, შესაძლებელია ამ გრძნობის აღზრდა, შესაძლებელია უკუღმართი პირობების მეოხებით კიდევაც გავაქარწყლოთ სრულებით ის ადამიანში. რაც შეეხება ამ გრძნობის აღზრდას აღამიანში, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვს ჩაგაყენებთ სასურველ პირობებში და ამასთანავე ბუნებიდანაც თუ აქვს თანდაყოლილი ამ გრძნობის ჩანასახი; წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება აღამიანში აღვზარდოდ დიდი შრომით, მხოლოდ ბუნების სილა-

მაზის შედარება-განსხვავება ერთი მეორი-საგან და არა ესთეტიური გრძნობა; ძალად აღამიანს, რომელიც სრულებით მოკლებულია ამ გრძნობის ჩანასახს, ვერ დავასწავლით, ვერ ავლზრდით მასში იმ სიხარულის, აღტაცების განცდას ისე, როგორც არ შეიძლება აღამიანს დავას წავლოთ მგოსნობა. ესევე ითქმის არა მარტო ბუნების სილამაზის განხილვა და მით ესთეტიურად განცდის ღროს, არამედ ხელოვნების ყოველგვარ ნაწარმოების განცდა-განსჭრეტის ღროსაც. ხშირად შეხვდებით ბევრ ინტელიგენტებს, (არა თუ გაუნათლებელი) რომელთაგანაც გაიგონებთ: „კირივით მეზარება ლექსების კითხვა და არც ვკითხულობ, უბრალო პროზა ათასწილად მირჩევნია“, ანდა—რა სანტიმერტალობაა, ზოგიერთი შეხედავს კას, მინდორს ან ტყეს, წყარო-ჩანჩქერს და რაღაც სიამოვნებით ილიმება, თითქოს მართლაც რაიმე სასიხარულო ეპოვოსო“. მართალია, ზოგიერთი ლექსის კითხვა საზარელია, მაგრამ ისინი ამას არა ამ მოსაზრებით ამბობენ, არა, იმათ მართლა არ იზიდავს, არ ახალისებს არავითარი პოეტური ნაწარმოები და არც ბუნების სიმშევნიერე; რაღა მათი გულახდილობაა საჭირო, რომ დაუკვირდე, თითონაც შეამჩნევ, რომ ეს სიმპატიური და ძვირფასი გრძნობა მასში გაქარწყლებულია. ეხლა ვათავებ ამით ესთეტიური გრძნობის განხილვა-განმარტებას და გადავდივარ საშუალებების აღნიშვნაზე ამ გრძნობის ასაზზრდელად, რომელნიც ხელო აქვთ ჩვენს სოფლის ოჯახებს თავის შეილების ასაღზრდელად.

ესთეტიური გრძნობის აღზრდა-განვითარება იწყება ოჯახიდან; პირველი საფეხური ამ აღზრდისა არის სისუფთავე; პატარა ბავშვი უნდა მივაჩიოთ სისუფთავეს ჯერ კიდევ იქიდან, როდესაც მას არავი-

თარი წარმოდგენა არა აქვს სისუფთავეზე, მივაჩიოთ უნდა მისდა შეუგნებლად. ამ მიზანს ჩვენ მივაღწევთ მაშინ, როდესაც წრე, რომელშიაც ბავშვი იბადება და იზრდება სისუფთავეს დაჩვეულია. ხედავს რა თვის გარშემო სისუფთავეს, ბავშვი ძალაუნებურად ეჩვევა მას, და სისუფთავე ეს უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს ბავშვის და მის გარშემო მყოფ ადამიანთა ტანსაცმელთა და ტანის სისუფთავეში; გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ოჯახში, საღაც ბავშვი იზრდება, ცველაფერი წესრიგზე დაწყობილი, დასუფთავებული და მილაგებული, ოჯახის წევრები მწყობრად შრომობენ; ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიზნისათვის. წესრიგი უნდა დაიკოს ბავშვმა ყოველგვარ თავის მოქმედებაში. თამაშობის ღროს ის არ უნდა ფანტავდეს სათამაშოებს უწესრიგოდ, არ უნდა ამტრრევდეს თვისი უბრალო ჭირვეულობისა გამო. რა გინდ ღარიბი იყოს ოჯახი, მას ყოველთვის შეუძლიან დაიკიროს სისუფთავე და წესრიგი ყოველგან და ცველაფერში; შეიძლება ადამიანს ღარიბულად ეცვას, მაგრამ სუფთად და დაკერძებული, და არა დაფლეთილ-გაჭუჭყაინებული; ყველას შეუძლიან თავისი სახლი, ქოხი სუფთად დაგავოს, მიალაგოს, ტანსაცმელი და ტანი სუფთად იქონიოს.

ზოგიერთ ოჯახში რო შეხვიდე სოფელში, სწორედ თვალი გაგინათლდება, ისე ლამაზად და წესრიგზე აქვთ დასუფთავებული და მილაგებული ყველაფერი. ამ გვარ ოჯახში აღზრდილი ბავშვი არასოდეს არ ითმენს ჭუჭყს თავის ტანზე და გარშემო, ყოველთვის სუფთად და კობტად არის ჩატული, რაც უნდა ღარიბულად ეცვას, უცვარს წესრიგი ყველაფერში. ღამტკიცებულია ფსიქოლოგიურად,

რომ ვინც ითმექს ჭუჭყს თავის ტანზე და
მის ირგვლივ, ის სულის დაჭუჭყიანებასაც
ადვილად ურიგდება; თუკი ბავშვი ისეთ
ოჯახში იზრდება, სადაც სისუფთავე და
წესრიგი უყვართ, ადვილი განსავითარე-
ბელია მაშინ მასში ეს გრძნობა, უმეტე-
სად სოფელში, სადაც სოფლის უხვი და
მრავალ-ფეროვანი ბუნება ძლიერ უწყობს
ხელს ამას. ოჯახში სისუფთავეს და წეს-
რიგს დაჩვეული ბავშვი ოჯახს გარედაც —
ბუნებაშიაც გაღმოიტანს ამ ჩვეულებას;
(ის აქაც იცავს სისუფთავეს და წესრიგს)
ამჩნევს ბუნებაში სილამაზეს, წესრიგს;
ის არასოდეს არ დაგლევს, არ მილეწ-
მოლეწავს ცავილ-მცენარეებს, არ აწვა-
ლებს ცხოველებს და ფრინველებს, რო-
გორც ამას სჩაღიან ბევრი ჩვენი ბავშვე-
ბი, არამედ ზრუნავს მათ კეთილდღეო-
ბაზე *). ნამეტან კარგს სამსახურს გაუწევს
გალობის სწავლება ამ გრძნობის ასაღზრ-
დელად და განსავითარებლად. არიან ოჯა-
ხები, სადაც თითქმის ყველა ოჯახის წევრს
შეუძლიან სიმღერა; მღერიან სხვა და სხვა
ხალხურ სიმღერებს, ზოგ ოჯახში კი საე-
კლესიო გალობაც აქვთ შესწავლილი.
ასეთ ოჯახში ბავშვი თავისთავად შეის-
წავლის სიმღერა-გალობას, მისთვის არა-
ვითარი მასწავლებელი არ არის საჭირო,
მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა გვხსოვ-
დეს ორი რამ: ბევრს ოჯახში, უმეტესად
სოფლებში, ხალხურ სიმღერებში ხმარო-
ბენ ორ გვარ ლექსებს, პირველ გვარი
ლექსებია ეროვნული, რომელებშიც გამო-
ხატულია ერის თავგადასავალი, წარსული,
აწმყო და მომავლის იმედები, ასეთი ლექ-
სები მართლა ნამდვილი პოეტურია, თუ
არ მივიღება მხედველობაში გამონაკლისს

*) იხ. „განათლება“ № 5 ჩემი წერილი.

მათში; ამას გარდა ხმარობენ კიდევ ლექ-
სებს, რომლებშიც გამოხატულია ცხოვ-
რების სხვა და სხვა სიბრძნე-თქმულება;
ამგვარი ლექსები, ძლიერ სასარგებლოა,
თუ კი ის ბავშვის გონებისათვის ხელმი-
საწლომია; თუ ბავშვის სუსტი გონება
მათ შინაარს ვერ ჩასწვდება, ვერ შეითვი-
სებს შეგნებულად, უმჯობესია არ ვამღე-
როთ ბავშვები ასეთ სიმღერებს, —რადგა-
ნაც ყოველივე შეუგნებლად შესწავლილი
ბავშვის გონებას ჩლუნგავს და აჩვევს მას
თუთიყუშობას; მეორე ნაირი ლექსებია —
პარნოგრაფიული, რაიც ძლიერ გავრცე-
ლებულია სოფლებში, უმეტესად ახალ
გაზრდა ბიჭები ხმარობენ სიმღერებში
ასეთ ლექსებს; პარნოგრაფიული —უწმა-
წური სიტყვებით შეზავებული, ანუ უცენ-
ზურო, როგორც ამას სოფლებში უწო-
დებენ, ძლიერ მავნებელია ბავშვისათვის,
ის აჭუჭყიანებს მის ფაქიზ გულს და უჩ-
ლუნგავს ესთეტიურ გრძნობას; ბავშვის
ნაზი გული ხარბად იზიდავს ყოველ გვარ
ახალს, უფრო ეტანება ამ გვარ სიტყვას,
ლექსებს; ეს ითქმის არა მარტო სასიმ-
ღერო ლექსებზე, არამედ სხვაზეც: ჩვენ-
ში, და ყოველგან, ჩვეულებად აქვთ და-
ასწავლონ ბავშვებს ლექსები, დააზეპირებინე-
ბენ და წარმოათქმევინებენ შეკრებულო-
ბაში; ხშირად, უმეტეს შემთხვევაში სო-
ფელში შეხვდებით, პარნოგრაფიული —უწმაწუ-
რი სიტყვებით შედგენილი ლექსები თა-
ვის „პედაგოგ“ მშობლების მეოხებით,
ამ გვარ ლექსებში არის გამოთქმული
სქესობრივი დამოკიდებულება ქალის და
კაცის და ბევრი სხვა ასეთები, რის ჩა-
ვი მოაქვთ, რომ მისმა ბავშვმა ლექსები

შეისწავლა მათი მეოხებით, ახალისებენ ბავშვს, აქებენ, აძლევენ საჩუქარს, ტკბილეულობას და ფულსაც. ოს, რო იცოდეს ამ „პედაგოგებმა“ როგორ რყვნიან ბავშვის ფაქიზ, სპეტაკ-ნაზ გრძნობას; როგორ აჭუჭყიანებენ მის წმინდა, ინკარა მთის წყაროსავით მორაკრაკე ენას და როგორ აშავებენ ბინძურ სიტყვებით ბავშვის სპეტაკ სულს. ეს ვაჟბატონები დათვურ სამსახურს უწევენ თავის შვილებს; ხშირად შეხვდები სოფელში და ქალაქებურიაც, საბრალო, გონიერა და ბული დედა ყურში ჩაღლურტულებს თავის ბავშვს სხვა და სხვა ვითომდა საალერსო სიტყვებს, შეზავებულს პარნოგრაფიულ ეპიტეტებით; ასწავლიან ბავშვს უწმაწურ ლაპარაკს, სხვის შეგინებას და ლანძღვას და ეს მათ კი ახარებს; ბავშვთან უფროსებიც ხშირად უწმაწური სიტყვებით ლაპარაკობენ; რო უსაყველურო, თუ რატომ სჩალიან ამას, გიპასუხებენ: „ბავშვი რას გაიგებს ჩვენს ნალაპარაკს, ან და, როცა გაიზრდება, შერცხვება და კი არ იტყვის ამგვარ ლექსებს, კი არ ილაპარაკებს ასეო“, მაგრამ ძლიერ სცდებიან ჩვენი „პედაგოგები“; უბედურებაც ის არის, რომ ბავშვი შეუგნებლად ითვისებს ყველა ამაებს, ბავშვის ნაზ-მგრძნობიერ გულში ღრმად იდგამს ფეხს ასეთი სიტყვები და შემდეგ აღარ ამოითხევება იქიდგან. მას არც კი ჰვინია, თუ რასმეს უწესოს ლაპარაკობს, უბედურებაც ეს არის!

ყოველივე ამას უნდა ერიდოს ყველა ჭკვაში მყოფი მშობლები და ნორჩი ბავშვის ირგვლივ მყოფი თუ არ უნდა ბავშვის გული გააბინძუროს, გააჭუჭყიანოს, ნურც ბავშვებს მისცემენ საშუალებას შეისწავლონ ასეთი სიტყვა—ლექსები; და ნურც თითონ ილაპარაკებენ ბავშვებთან უწმაწურად; თუ ისე დაჩილუნგებულია მათი

ესთეტიური გრძნობა, რომ ყოველსავე ბინძურს სიტყვა-პასუხს ეტრფის, ბავშვებთან მაინც დაიჭირონ თავი ზრდილობიანად, რათა მათაც არ დაუჩლუნგონ ეს გრძნობა და არ მიაჩვიონ ისინი უზრდელობას; უზრდელობა—სიტყვა, თუ ჩავუკვირდებით მის შინაარს არის ესთეტიური გრძნობის წარყვნა, ან და მისი არქონება; უზრდელი კაცი, ან ქალი ყოველთვის ისეთ რასმე იტყვის ან მოიმოქმედებს, რაც არ შეეფერება ესთეტიურად განვითარებულ კაცს.

ამნაირად, ვათავებ, რა საშუალებების ჩამოთვლას ესთეტიური გრძნობის ასაღზრდელად ოჯახში, დავსძენ: დავითაროთ ბავშვის გული და სული გაჭუჭყიანებისაგან, გავათავიზოთ, გავსწმინდოთ იგი და შევაჩვიოთ თავიდანვე ბავშვი ტანის და სულის სისუფთავეს, ხოლო, თვალი მისი კი ყოველგვარ სილამაზით დატკბობას მივაჩვიოთ.

გადავიდეთ სკოლაში. როგორც ნათეჭვამიდან სჩანს, სოფლებში ბავშვის აღზრდა არა სასურველ პირობებში სწარმოებს; მათ ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე ძლიერ ცოტას ზრუნავენ, და თუ ფიზიკურად სოფლები უფრო ჯანსაღი არიან, ვიდრე ქალაქელები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ ფიზიკურ აღზრდას მეტ უურადღებით ეკიდებოდნენ; სოფლების ფიზიკურ აღზრდაზე თვით სოფლის უხვი ბუნება ზრუნავს და ამჩნევს თავის დაღს; ხოლო რაც შეეხება ზნეობრივს და ესთეტიურ აღზრდაზე კი ნაკლებად ზრუნავენ სოფლებები; ამისთვის მათ არც შესაფერი ცოდნა აქვთ და არც დრო. ვინ უნდა იზრუნოს მათ ზნეობრივ ესთეტიურ აღზრდაზე სოფელში? — რასაკვირველია მასწავლებელმა. ყველა ამ გვარ პირობებში აღზრდილი ბავშვი სასკოლო

ასაკობას მიაღწევს თუ არა, სკოლაში იყრის თავს მასწავლებელთან.

რაღანაც ჩემი წერილის საგანი მხოლოდ ესთეტიკური აღზრდაა, შევეხები ამ საკითხს ამ მხრით. რა საშუალება აქვს მასწავლებელს სკოლაში ამ გრძნობის ასაღზრდელად და რა უნდა იღონოს მიზნის მისაღწევათ. თავდაპირველად უნდა გაიწმინდოს ბავშვის გული, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყველა იმ ცუდ ზნეჩევულებათაგან, რაიც აფერხებს ესთეტიკურ აღზრდას; ამისათვის კი საჭიროა მასწავლებელმა იცოდეს, რომელ მოწაფეს რა ცუდი ჩვეულება, ან მიღრეკილება აქვს, ესე იგი გაეცნოს მის ინდივიდუალობას. მოესველმა უნდა იცოდეს მის საყნე მიწაზე რა უვარესი ბალახებია, რომელიც უნდა მოისპოს, რათა ახალი თესლი არ დაახშოს და არ შეუშალოს ამოსვლა, ნაყოფის მოტანა. მასწავლებელს სკოლიდანაც აქვს საშუალება გაეცნოს თვითეული მოწაფის ინდივიდუალობას, წრეს, ოჯახს, სადაც მოწაფე იზრდებოდა და იზრდება.

ამისათვის არ არის არც საჭირო და არც ხელსაყრელი მისთვის ჩამოიაროს ყველა ოჯახი და გაეცნოს მას. ამისთვის საჭიროა სკოლაში ახლად შემოსულ მოწაფეებთან ამხანაგური საუბარი-გამოკითხვა, რაიც უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: მასწავლებელმა სკოლაში ახლად შემოსულ მოწაფეთ პირველ დღესავე არ უნდა დაუწყოს ჩიჩინი, როგორც ჩვენში იციან: ადექი, დაჯექი, პირჯვარი დაიწერე, ეს რა არის, მე ვინ ვარ, შენ ვინ ხარ და სხვა ასეთები; მოწაფეს არ უნდა ავრძნობინო, რომ სკოლის და ოჯახური ცხოვრების შუა დიდი განსხვავებაა, არამედ ერთ კვირის განმავლობაში ისე უნდა ეპურობოდე, რომ ახალმა, ნორჩმა მოწაფემ

უნდა იფიქროს, რომ სკოლის ცხოვრება იგივე ოჯახური ცხოვრება ყოფილა ან და გაგრძელება მისიო; ბავშვს ერთ კვირის განმავლობაში ამ გვარ შემთხვევაში ისეთ კითხვებს უნდა ვაძლევდეთ, რომელიც ტრიალობენ მისი ოჯახის და ბავშვურ ცხოვრების მოთხოვნილება ინტერესების ფარგალთა შორის. ასე ბავშვი ჩვენ გულუბრყვილოთ გადაგვიშლის თავის ნორჩ გულს, რა შეგვატყობს, რომ ყოველივე მათ ნათქვამს ლმობიერად და ყურადღებით ვეპყრობით, და არა სასტიკად, რასაც ბევრი ჩვენთაგანი სჩადის. ეს კი საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ადვილად ბავშვის ინდივიდუალობას და შემდეგ ამის და შესაფერად შევეცადოთ ბავშვში ცუდი ზნეჩევულებათა აღმოფხვრას და კარგის ჩათვესა. ეს საჭიროა, არა მარტო ესთეტიკური გრძნობის აღსაზრდელად მასში, არამედ ყველა სამოსწავლო საგნის საფუძვლიანად სწავლება შეთვისებისათვისაც. ამას გარდა, კიდევ, ასეთი მოპყრობა პირველად მოწაფეთაღმი უქარწყოლებს მათ იმ ყალბ შიშს, (ზოგიერთ შემთხვევაში კი მართალს) თითქოს მასწავლებელი ვინმე დესპოტი იყვეს, რომელიც სცემს და აწვალებს მოწაფეებს; ამ შიშის გამო სოფლებში ხშირად მინახავს, მშობლებს სკოლაში უნდა შეიყვანოს ბავშვი და ის კი არ მიდის, ამბობს: „სკოლაში არ წავალ, იქ, მე მასწავლებელი მცემსო“ და სხვა: ამაში თვით მშობლებიც დიდი დამნაშავე არიან, ისინი ხშირად, თავისი ჭირვეული ბავშვი როდაწყნარონ, ეუბნებიან, ან დაანახვებენ მასწავლებელს და ეტყვიან: „გაჩერდი, დაწყნარდი, თორემ მასწავლებელს გავალახვინებ შენს თავსო.“; ამ დროს, ზოგიერთი ჩვენი პედაგოგებიც უდასტურებენ მშობლებს და ბავშვს თითის ქნევით

ეტყვიან: „გაჩუმდი ბიძი, თორემ ყურს
მოგჭრიო“ . აი, ამის შედევი ის არის,
რომ ზოგ ბავშვს სკოლისკენ პირს ვერ
აქნევინებთ. თუმცალა ეს ჩვენი წერილის
პირდაპირ კითხვას არ ეხება, მაგრამ ამ
მოვლენის უყურადღებოდ დატვება არ
შეიძლება. ეხლა გადავალ პირდაპირ სა-
განზე. როგორც ვსოჭვი, უპირველეს ყოვ-
ლისა სკოლაში მაწავლებელი უნდა შე-
ეცადოს ცუდი ზნე-ჩვეულებები აღმოფხვ-
რას მოწაფეებში, რაიც უშლის ამ გრძნო-
ბის აღზრდა-განვითარებას: განვიხილოთ
ეხლა, რა ცუდი ზნე-ჩვეულებებია ეს,
რომელნიც უნდა აღმოიფხვრას მოწაფე-
ებში: სკოლაში ხშირად მოდიან მოწაფე-
ები პირდაუბანელი, დაუვარცხნელი, და-
ფლეთილი, დახეული, დასვრილი; ავდარი
თუ არის ფეხით შემოაქვთ ტალახი სკო-
ლაში, არ იშენდენ ფეხებს და სხვ.

როცა ბავშვი სკოლაში პირდაუბანელი
მოვა, მასწავლებელმა უნდა შენიშნოს ეს
და მოწაფეს მაშინვე პირი უნდა დააბას-
ნინოს და თავი დაავარცხნინოს, ამისათვის.
მას სკოლაში უნდა ჰქონდეს მოწყობილი
პირსაბანი, რაც ძეირად არ დაჯდება;
მასწავლებელმა უნდა აღევნოს ფხიზლად
თვალ-ყური მოწაფის ნივთების, ტანსა-
ცმელის და ყოველივე მათ გარშემო საგ-
ნების სისუფთავე —წესრიგს. შეიძლება
ბავშვს ეცვეს ღარიბულად, მაგრამ სუფ-
თად დაკერძობული, მოწაფე უნდა გადავა-
ჩიოთ წიგნებზე და რვეულებზე უსაფუძვ-
ლო ჯლაბნას, მივაჩიოთ უნდა ტანისა
და ტანსაცმლის სისუფთავეს, მოწაფეებ-
მა იციან დაფის და სკამების წმენდა ხში-
რად ხელით, სახელობით, ბაშლაყით და
წიგნ-რვეულებითაც. მოწაფეს ამ ჩვეულე-
ბის გადასაჩვევად უნდა მოვატანინოთ
ჩვარი თითეულს, რომლითაც მან უნდა
სწორდოს სკამები და ყოველივე დამტვე-

რიანებული ნივთები და არა ხელით, ამ სახელობით. ბავშვს კარგად უნდა ჩაგონი ტანის და ყოველგვარ ნივთების სისუფთავე; ამას ის ადვილად მაშინ შეისისხლორცებს, როდესაც ხედავს თვის გარშემო სისუფთავეს; ამის ცოცხალ მაგალითს კი მასწავლებელი უნდა აძლევდეს ყველაფერში. მოწაფეებს უნდა ჰქონდეთ ამას გარდა უბრალო — იაფ ფასიანი ცხვირსახოცი, რომ გადავიჩიოთ ხელით ცხვირის მოხოცვას და ტანზე ხელის შემურალებას, ან იატაზე განერჩყვას; მოწაფეებს უნდა მივუჩინოთ სკოლაში საფურთხეობელი, რაიც ძვირი არ დაჯდება და საქმისთვის კარგია. ყველა ამ არასასურველ ჩვეულებებს ბავშვი უნდა გადავაჩიოთ თანდათანობით და ნელ-ნელა, რაიც მოითხოვს მასწავლებლის ენერგიას და ხასიათის სიმტკიცეს. შეიძლება ყველა ეს ვისმე გადაჭარბებულად და წვრილმანად ეწვენოს, მაგრამ თუ ჩავუკავირდებით, ესთეტიკურ გრძნობის ასაღზრდელად დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ მოქმედებას სკოლაში და სკოლის გარედაც; სისუფთავე ყველაფერში და წესრიგი ყოველ გვარ მოქმედებაში, აი ნიშნობლივი თვისება ესთეტიკურად განვითარებული კაცისა. უწმაწური სიტყვების ხმარებას მოწაფეების გადახევა არც ისე ძნელია, როგორც ეს ჰვონია ზოგიერთებს, საჭიროა იკოდეს მასწავლებელმა, რომელი მოწაფე ხმარობს ასეთ სიტყვებს, რის შემდგომ შეუძლიან იმოქმედოს მასზე ჩაგონებით, აუხსნას ამ ჩვეულების ცუდი მხარე და შედეგიც, რაიც მოპყვება მას.

მოვიყვან მაგალითს ჩემი სკოლიდან; ერთი მოწაფე ისე იყო დაწევული დედის გინებას, რო გაკვეთილზეც არ შეეძლო თავის დაჭრა და გაკვეთილზე აგინებდა დედას თავის ამხანაგებს და იგიც ხმამალ-

ლა; ეს იყო პირველ წელს, (შარუბან) ჩემი მასწავლებლობისა, მე ჩაგავონე მას ამ გვარი ჩვეულების ცუდი მხარე და ამხანა-გურად ვსთხოვე დაეტოვებინა ეს ცუდი ჩვეულება. მან პატიოსანი სიტყვა მომტა, მაგრამ ხანდისხან მასდა უნებურად, ჩვეუ-ლების ძალით წამოსცდებოდა გინება; რო-ცა შეენიშნავდი, ის დარცხვენილი მიპა-სუხებდა: „რავქნა ბატონო, ძლიერ მინ-და არ წამომცდეს ასეთი სიტყვები, მაგ-რამ უცბათ ვერ მივატოვეო“, მაგრამ ერ-ყობა, ძლიერ ცდილობდა ამ ჩვეულების მოშლას, და მართლაც, სამ თვის განმავ-ლობაში ისე გასწორდა ეს ყმაწვილი, რომ ეხლა სამაგალითოდ ითვლება ზნეო-ბის მხრით ჩემს სკოლაში; მხოლოდ ჩა-გონებით და ლმობიერებით შეგვიძლიან მოვაშლევინოთ ბავშვს ცუდი ზნე-ჩვეუ-ლება და არა სიმკაცრით და დასჯით.

უწმაწური სიტყვების მოშლას ძლიერ უწყობს ხელს შერეული სკოლა; ამის მაგალითი ყველას თვალწინ აქვს, ვინც კი შერეული სკოლაში მუშაობს. როდე-საც ყმაწვილები თავის ამხანაგ ქალებთან გრძნობენ თავს, ისინი ერიდებიან ყოველ-გვარ უწმაწურ სიტყვას და უმსგავსო მო-ქმედებას, და თანდათანობით სტოვებენ მას.

ამნაირად, ჯერ უნდა გავსწმინდოთ ბავშვის გული ყოვლისავე ცუდი ზნე-ჩვეულებებისაგან, შემდეგ კი შეგვიძლიან გავაძნიოთ განწმენდილ გულის ველზე ახალი თესლი ხსენებულ გრძნობის ასაღ-ზრდელად, ისე, როგორც მთესველი, ჯერ გასწმენდს საყანეს ნარ-ეკლებისაგან, მერმეთ კი გააბნევს შიგ ახალს თესლს დაიმედებული, რომ ნარ-ეკლები იღარ დააშთობს ახალ ნაყოფს.

რა საშუალება აქვს მასწავლებელს სკო-

ლაში ამ გრძნობის ასაღზრდელად? — აი, ეს საშუალებანი:

1) პოეტური ნაწარმოების საფუძვლია-ნად შესწავლა — კითხვა და წარმოთქმა გრძნობით და გამომეტყველებით.

2) გალობის შესწავლა.

3) ხატვა-ხაზვა და სუფთა-ლამაზი წერა (კალიგრაფია).

პოეტური ნაწარმოების შესწავლა მაშინ განავითარებს ესთეტიურ გრძნობას, რო-დესაც ის ისწავლება უწინ სამშობლო-გასაგებ ენაზე; ქართული ენის შევიწრო-ვება ჩვენში, როგორიც იყო წინად ძლიერ აფერხებს პოეტიურ ნაწარმოების სა-ფუძვლიანად შესწავლას.

ცხადია, უცხო ენაზე შესწავლილ ბავშვის გონება ისე ღრმად ვერ ჩასწვდე-ბა და ვერ შეითვისებს, როგორ სამშობ-ლო ენაზე შესწავლილს. ამით მე ის არ მინდა ვსოდე, რომ სხვა ენაზე არაფერი შევასწავლოთ მოწაფეთ მეთქი, პირ-იქით, უნდა შევასწავლოთ, მხოლოდ მა-შინ, როცა სამშობლო ენაზეც სიკმაოდ ვავარჯიშებთ ბავშვს პოეტურ ნაწარმოებ-თა შესწავლა-განცდაში. ჩვენში ასს სკო-ლაში შეიძლება ათი ნახოთ ისეთი, საღაც მოწაფენი ლექსის (გინდ ქართული იყოს და გინდ რუსული) გრძნობით და გამო-მეტყველებით კითხულობდენ. მიზეზი ამი-სა ის არის, რომ ლექსი უცხო ენაზე, ის რაც უნდა კარგი ლირსების იყოს, უფრო ძნელი შესასწავლია, ვინემ სამშო-ბლო ენაზე; სამშობლო ენაზე შესწავლი-ლი ლექსი ბავშვის გულს ღრმად ჩასწვდე-ბა, ბავშვს შეუძლიან განიცადოს ის გრ-ძნობები სრულად, რაიც გამოთქმულია ლექსში, ეს კი ძლიერ უწყობს ხელს ეს-თეტიურ გრძნობის განვითარებას. დღეს ჩვენს სკოლებში პოეტური ნაწარმოების შესწავლა არათუ რუსულ ენაზე, ქართულ

ენაზე თითქმის უფრო კოჭლობს; ბევრ ჩვენს მასწავლებელს არც კი ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს პოეტური ნაწარმოების საფუძვლიანად შესწავლის, ლექსების და სხვა პოეტურ ნაწარმოებთა სწავლება ჩვენს სკოლების უმრავლეს ნაწილში ცწარმოებს რაღაცა მშრალად, იძულებით ხასიათს ატარებს; ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ჩვენც, მასწავლებლებიც ამგვარ პირობებში ვართ აღზრდილნი... ლექსის ან რომელისამე პოეტური ნაწყვეტების შესწავლის დროს კარგია, სანამ აუხსნიდეთ ლექსს, სანიმუშოდ ზეპირად წარმოვსთქვათ გრძნობით და გამომეტყველებით შესასწავლი მასალა; ეს ძლიერ უწყობს ხელს შთაბეჭდილების გაძლიერებას და სრულ განცდას ლექსის შინაარსისა; შემდეგ ამისა თვალსაჩინოდ, ცოცხალი—მხატვრული ენით უნდა აუხსნათ შინაარსი და გადაუშალოთ მათ თვალწინ საშუალო ენის სიტურულე, სიკეკლუცე-სილამაზე; ბოლოს კარგია, ლექსის გრძნობით კითხვის შესწავლისათვის გუნდ-გუნდათ ვაკითხოთ მოწაფეებს; მხოლოდ თუ კარგად ვერ ვაწარმოვებთ ამას, უმჯობესია გუნდათ არ ვაკითხოთ; ვებრძოლოთ უნდა მოწაფეების სიჩქარეს ლექსის კითხვის და წარმოთქმის დროს, რაც მოწაფეთ ღირსებად მიაჩნიათ. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საექლესიო და ხალხური სიმღერების სწავლებას სკოლაში ესთეტიური გრძნობის ასაზრდელად. გალობასიმღერის, მოთხოვნილება ყველა ადამიანს აქვს, თუ გინდ ის სრულებით შოკლებული იყოს სიმღერის ნიჭი; ყრუმუნჯი, რომელსაც არც ესმის და არც ლაპარაკობს, ისიც კი მღერის თავისებურად; თუ სასწავლებელში საექლესიო გალობა არ ისწავლება, ხალხური სიმღერები აუკილებლად უნდა ისწავლებოდეს.

მიუტოვებელი შეცდომა და დანაშაული მიუძღვის იმ მასწავლებელს თავის მოწაფეთა წინაშე, რომელსაც შეუძლია გალობის სწავლება და არ ასწავლის მათ. გალობის შესწავლის შესახებ იგივე ითქმის, რაც ვსთქვით პოეტურ ნაწარმოებთა შესწავლის შესახებ, მხოლოდ აქვე უნდა დავსძინო, რომ ესთეტიური გრძნობის აღსაზრდელად უფრო ძლიერი იარალია სამშობლო ენაზე გალობა და სიმღერა, უმეტესად ხალხური, ეროვნული სიმღერები. სამშობლო ენაზე გამოთქმული სიტყვების ხმარება სიმღერებში უფრო ძლიერებს მის სიწარმტაცეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხატვას; უმთავრესად ბუნებიდან საგნების გაღმოხატვას თავისუფლად. ეს მოწაფეს უვითარებს დაკვირვებითი ნიჭაც და ძალა უნებურად შესასწავლის საგნის ამა თუ იმ გარეგან ფორმას, რაც საჭიროა, რომ ადამიანმა საგნისაგან მთლიანი შთაბეჭდილება მიიღოს. ხაზვაზეც იგივე ითქმის, ამ გრძნობის გასავითარებლად, რაც წმინდა—სუფთა და ლამაზ წერაზე; ორივე ამ გვარ შემთხვევაში ხელი ეჩვევა სუფთად და კოქტად მოქმედებას. ყველას გამოგვიცდია ის აღტაცება და სიამოვნება, როდესაც კარგს სუფთა და ლამაზ ნაწერს და ნახაზეს ვხედავთ; ეს სიამოვნების განცდა მით უფრო მეტია, როდესაც ჩვენვე შეგვიძლია სუფთად-ლამაზად ვხაზოთ და ვწეროთ. სკოლის გარედაც ბევრი საშუალება აქვს მასწავლებელს ესთეტიური გრძნობის ასაზრდელად. ბუნების მეტყველების შესწავლის დროს, უმთავრესად ბოტანიკა-მინერალოგიის გავლის დროს არ არის საკმარისი მარტო სკოლაში მოტანილი თვალსაჩინოება ამ სასაგანთა შესასწავლად, არამედ უნდა მოვაწყოთ ექსკურსიები—ამ მიზნისათვის სხვა

და სხვა მხარეს, ეს კი საშუალებას მოგვ-
ცემს გავეცნოთ პირადათ ბუნების მრავალ
ფერ სილამაზეს; სხვა და სხვა ყვავილებს,
მცენარეებს, ტყეს, მთებს, წყარო-ჩანჩქერ
ნაკადულებს, სხვა და სხვა მაღნებს; მას-
წავლებელს უნდა შეეძლოს აუხსნას მო-
წაფეთ ყველაფერი საჭირო, რაც შეხვდე-
ბა ამ ექსკურსის დროს, უნდა —ჩახედოს
თითეული მოწაფე ბუნების მრავალფერ
სილამაზე ში და შეაყვაროს იგი; კარგია
ექსკურსია მზის ამოსვლის და ჩასვლის
საყურებლად, სადაც ეს მოსახერხებელია,
საჭიროა ელემენტარულად ავუხსნათ მო-
წაფებს ბუნების სხვა და სხვა მოვლენა,
რათა ისინი ამგვარ მოვლენებში ხედავდენ
ბუნების სიდიადეს და არა შიშის, რაიც
ხშირად გამოწვეულია ცრუ-მორწმუნოე-
ბით და ბუნების მოვლენებზე ყალბ შე-
ხედულებებით. კარგია, აგრეთვე სკოლას
ჰქონდეს დეკორატიული ან ხეხილიანი
ბალი, სადაც მოწაფეთ შეეძლება იზრუ-
ნონ მცენარეებზე და ესთეტიკური გრძნო-
ბა განვითარონ ლამაზი ბალის შემწეო-
ბით და გაეცნონ მცენარეთა ცხოვრებას.
ყველა ეს ადვილი მისაღწევია მაშინ, თუ
კი მასწავლებელი არის ესთეტიკურად გან-

ვითარებული ადამიანი, თუ კი მასაც უყა-
რს ბუნება...

აღვნიშნოთ მოკლეთ ეხლა ესთეტიკური
გრძნობის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვ-
რებაში. ამ გრძნობის განვითარება ხელს
უწყობს ადამიანის განკეთილშობილებას;
ასეთი ადამიანი ძალაუნებურად ისწრაფის
ყოველგვარ სიმშვენიერე —სილამაზისაკენ
და ზურგს აქცევს ყოველგვარ უმგვანო
და კაცის ღირსების წამბილწველ საქმეს.
მისი მგრძნობიარე, ფაქიზი გული კერ
იკარებს კერავითარ ჭუპებს; ყოველივე მის
მოქმედებას ემჩნევა კვალი ამ გრძნობი-
სა. გარდა ამისა მისი სული ხშირად აღ-
წევს თავს მძიმე წუთებს ცხოვრებისას და
ისვენებს, რათა ახალი ძალობრივი შეებრ-
ძოლოს ცხოვრების უკუღმართობას; ეს-
თეტიკურად განუვითარებელი კაცი ხშირად
ხდება მსხვერპლი ცხოვრების მძიმე წუ-
თებისა, რადგანაც არ შელძლიან მას და-
ახწიოს თავი მძიმე წუთებს და ბუნების
სიმშვენიერეში ეძიოს მოსვენება სულის,
ის ამ დროს ან სხვას სჩაგრავს, არბევს,
ჰკლავს, ან თავს იკლივს, ორივე შემთხვე-
ვაში ის უმწეოა.

ი. სიხარულიძე.

სქესობრივი საკითხი პედაგოგიაში ფორელის თხზულებიდგან

ქოგელ ადამიანის სქესობრივი შეგრძნება-
ნი და სქესობრივი წადალი თრი ჯგუფის
ელემენტებისაგან შესდგება: ა) ჩამომავლო-
ბითებიდგან ანუ მიღრეკილების სახით, დაბა-
დებასთან ერთად ქვეუნად მოტანილ ფილოგუ-
ნეტურ ელემენტებისაგან (ჩამომავლობითი
მნება) და ბ) იმისთანებისაგან, რომლებიც

ცხოვრებაში გარეშე გადიზიანებათა, ჩვეულე-
ბათა და ფარჯიშობათა წეალიბით შეიძინების.
შირველებით თავიდგან, როგორც ჩასხულია
ენერგიები ანუ შიდრეკილებანი, ადამიანში
მთვლემავებია და მის სასიათს ეკუთვნის.
შხოლოდ ასაკში შესვლის შემდეგ ხდება იმათ-
თაგან შომეტებულ ნაწილის ფაქტიური გა-

მომზურება, მეტი განვითარება გარეშე გა-
ღიზიანებათა საფუძველზე და პიროვნებისაგან
და მის ნებისაგან, ე. ი. თავის ტვინისაგან,
ამ გაღიზიანებათა გადამუშაბის შესაფერისად.
მეორები კიდევ ნაუთვია ეროტიულ (სასი-
გვარულო) გაღიზიანებათა და ჩვეულების ანუ
გარჯოშების გაფლენებისა. პირველებში შედა-
გობის არაფრის შეცვლა არ შეეძლია; ისი-
ნი უკვე აღრევა შექმნილი და შედაგვირ
სელფონებისთვის საფუძველს შეადგენ. მა-
ჟსადამე შედაგვირ სელფონების მიზანი
მსოფლიო იმპაშია, რომ მოხსენებული ჩამო-
მავლობითი სქესობრივი მიღრეკილებანი, რამ-
დენადაც კი შეაძლება, მიზანშეწინილ, კარგ
და საღ მონიშვი (კალაპოტში) ჩააეჭის. თუ
სრულიად მასინჯი მიღრეკილებანი ასებობენ,
ცხადად გამოხატულ გომოსექსუალურ წადა-
ლების, საღიზმის და სხ. მაგრანი, მაშინ
ეთიურ აღზრდას შეეძლია, სულ ბევრი-ბევ-
რი, ცოტა თაშ გააკეთოს ხასიათისთვის და
ძრძოლა გამოუცხადოს იმას, რაც სქესობრივ
წაღილს აღიზიანებს. მისი ღიასების შეცვლის-
თვის კი მას ძალა უკ შესწევს. ამ მხრივ
ტურულუბრალოდ მივეცემით იღუზიებს. პირ-
იქით, უვეგონ, სადაც კი ბუნებრივი საშუა-
ლო მიღრეკილებანი ასექსობენ, ავადმყოფურ
მასინჯი სქესობრივ საქციელთა და ჩვეულებათა
მისასიანილად, წადალის ბუნებრივ განვითარე-
ბისთვის და მის ბუნებრივ გზაზე შეეგნების-
თვის, აღზრდას ბევრი რისამე გაგეთება შე-
უძლიან.

ჩვენ დავინახუთ, განსაკუთრებით მე-VII
თავში, რომ ზოგიერთ გრძნობების შთაბეჭ-
დილებებთან მიჩვევა თან და თან ასუსტებს
მათ ერთტიულ ზედგავლენას, გარდა ამისა,
ეროტიზმი, libido sexualis, განსაკუთრებით
უზვეს ხედვით და სხვაგვარ შთაბეჭდილებით
და წარმოდგენებით აღიგზნება, რომელიც
მეორე სქესს შეეხება ხთლები. შვილების აღზრ-
დის ღრცეს აღაშიანი შედამ ერთსა და იმავე

შეცდომის ჩაიდენს, სახელდობრ—თავის გრ-
ძნობებს (მოზრდილის გრძნობებს) შეუგნებ-
ლად ბავშვებს ახვევს ხთლები თავზე. ის, რაც
მოზრდილის სქესობრივ წაღილს აღძრავს,
სრულიად გულგრილად სტოკებს ბავშვს, რო-
მელიც ჭერ ასაგში არ შესულა. ამიტომ ძლი-
ერ კარგად შეიძლება მასთან ზოგიერთ საგ-
ნებზე ვილაპარაკოთ და გაეცნოთ ისინი მას
ისე, რომ სქესობრივი შერივ არ ავადულ-
ვოთ. პირიქით, იმის გამო, რომ ბავშვი მიუ-
ჩვევა სქესობრივი დამტკიდებულებანი და საგ-
ნები ბუნებრივ რამებად ჩასთვალის, მისი
ცნობის მოვეგარება და ეროტიზმი შემდეგში
გაცილებით ნაჯებად გადაზიანდება ამებით,
რადგანაც სიახლის სიმშევნიერე არ ექნებათ.
თუ ბავშვი მოზრდილთა ტიტოველს სხეულის
სანახაობას მიჩვეულია, მაშინ იგი მათ სქე-
სობრივ ასევეში არავითარ განსაკუთრებას არა
ჰქედავს, და მაგალითად, სრულიად ბუნებრი-
ვად ჩასთვლის, როცა განსაკუთრულ ხანში
სასქესო ნაწილებზე იმასაც დაუწეუბს თმა
ზრდას. პირიქით, გარდამეტებულ ცრუ მორ-
ცხვობაში და სქესობრივ საგნების სრულ უცო-
დინრთაბაში აღზრდილი ბავშვები საშინლად
დელდებით და მორცხვობენ იმის გამო, რომ
მათ თმების ზრდა ეწევათ, და ამისთანავე
ეროტიულ აღგზნებას განიცდიან ხთლები. ეს
უფრო მეტად ქალწულების პირველ თვითურის
მოსელზე და ვაჟების პირველ თვისლის წა-
მოცეცებზე ემჩნევა. საიდუმლოება, რომლი-
თაც უველა ეს საგნება გარემოცული, და
საერთოდ უველა ის, რაც სქესობრივ მოქმე-
დებასთან არის დაკავშირებული, ბევრი ბავშვი-
სათვის არამც თუ შიშის, ბორგვის (მოჟსვენ-
ობის) საგნად ხდება, არაშედ მათ ცნობის
მოუვარებას და დაწუებულ ეროტიზმისაც აღ-
ძრავს; ისე რომ ბიწინერ აღაშიანების და გა-
ფუტებულ ბავშვების საშუალებით, ცხოველთა
მიღდომების დაკვირვებით, უწმაწურ წიგნების
კითხვით და სხვ. ისინი მოქმედებულ შემთხვე-

ვაში სრულიად შეუსაბამო წესით (იღეთთ) და შეტან დიდ ბიწიერების მხრივ გნევითარდებან. უველაზე ცუდი ის არის, რომ ეს განვითარება ჩვეულებრივ ჩინურ თანხმას, ან სქესობრივ სხვა მახინჯ საქციელებს, ან რასკიპთა ნახულობას უქაშირდება ხოლმე. უმანკუფას, როგორც მას უწოდებენ, ე. ი. ასაში შემსვლელ ბავშვის გულუბრუებილო უმეცრება, განსაკუთრებითს სიმშევინერეს წარმოადგენს თოთვე სქესის აჭრობრივთა თვალში, რომელიც ამისთანა არსების გარევნაში გაწვდილიადებულ სიამოვნებს ჭრიულობენ. სამწუხაროდ შეიძლება იშვიათად შეიგნებენ თავიანთ უურადღებობის მნიშვნელობას, რომა სქესობრივ საგნებზე ბავშვების გულუბრუებილო კითხვებზე თავს უარით, მიგიბგ-მოყიბვით და სიცრუით დაიხსნან ხოლმე. სასისარულო ჩემთვის ოჯახის განათლებულ დედის ქალაბრონ შმი-დეგრის აზრის მოუგანა აქ (De l'education sociale de nos feilles, Lausanne, Maison du peuple, 1904), რომელსაც სრულიად ვეთანხმები. ქვემოთ სტრიქონებში მის მისაზრებებს გადამიტომთ.

უველა ან, მაინცა და მაინც, თითქმის უველა დედები თავიანთ ქალიშვილებს ქორწინებისთვის აღზრდიან: შეიძლება იმის მტკიცება, რომ ისინი რამდენადაც კი სასურველია, იმდენად კარგად მომზადებენ მათ? ჰაი, ჰაი, არა; ჯერ ეხლაც კიდევ უურადღებოთ სტრუებენ ელემენტარულ ცოდნებს, რომელებსაც მომსვალი ცოდნი და დედა უნდა ჭრილობდეს; საუკუნეთა გამშვილობაში ახალგაზდა ქალწულები თავიანთ ბუნებრივ ფუნქციების და მოვალეობათა თითქმის სრული უცოდინარი მისდევები. მართალია, მათ ხშირად ასწავლას, კურსებს და მომსახურებას მოითხოვს. იგი ამზობს, რომ კაცებს კუნთების გარჯოშიბისთვის სამხედრო სამსახური აქვთ; საჭირო უველა ჯანმთელ ქალწულებისთვის, რომელთაც შროვებისაც ამის ასრულებას არ უშლის, სამხედრო სამსახურის მაგიერ, 18 წლის შესრულების შემდეგ, დავაწესოთ ერთი წლის სამსახური ჭრის მიზანებში, თავშესაფრებში, ქალთა კლინიკებში, სინდახორებში ან სახალხო სკოლებში. ამ რიგად ქალები სოციალურად სასარგებლო განათლებას მიიღებენ, და მოხსენებული დაწესებულება საჭირო ძალებით იქნება შეტევრებილი. მარტო კაცები რათ უნდა ასრულებდნენ სავალდებულო სიციალურ სამსახურს?

ასეთი რევოლუციონური იდეა ცხადია დიდ გაწერომას და თბილიცას გამოიწვევს. უწინარეს უფლისა, თავის წმინდათა-წმინდა გრძნობებში ნაგენნი ბურუუზიული დედები განაცხადებენ, რომ იმათ არ შეუძლიანთ დასთანხმდნენ შეთმა ქალიშვილებმა გაიგონონ და

ასეთი რევოლუციონური იდეა ცხადია დიდ გაწერომას და თბილიცას გამოიწვევს. უწინარეს უფლისა, თავის წმინდათა-წმინდა გრძნობებში ნაგენნი ბურუუზიული დედები განაცხადებენ, რომ იმათ არ შეუძლიანთ დასთანხმდნენ შეთმა ქალიშვილებმა გაიგონონ და

დაინახონ ისეთი საგნები, რომელიც ზედაც გათხოვებაშის არაფერი უნდა იცოდნენ. ჭით, წმინდა გულუბრუვილობაა! მერე, რატომ არ უნდა იცოდნენ? განა უფრო ლოდივერი არ იქნებოდა ჩვენი ქალიშვილები ქორწილისთვის მოგვემზადებინა, ქორწილის შინაარი აგვესნა, გვეთქვა რას მოსთხოვს იგი და რას ავალებს. თუმც შეუგნებელი, მაგრამ ნამდვილი დანაშაულებაა მშობლების და ჰელაგოგების მხრივ ეგრედ წოდებულ ახსნის მოვალეობიდგნ თავის ძერენა. ჯიელმა კაცებმა უპერ იციან, რასა შერებინ, როცა ჯვარს იწერენ. პირიქით, ზნეში, იმდენადეს შეაცრები, რამდენაა დაც ბუნების საწინააღმდეგონი, ჩვენ ახალგაზდა ქალებიდგნ სრულ უკიდობას მოითხოვს, რაიც მთელ მათ მომავლისთვის ხშირად მეტის-მეტად სახითვათოა ხოლმე. ვინ გაავრცელა პირველმა სასაცილო და უაზრო იდეა, რომ უმანეო ქალწულმა იმ წამებამდი, რომ ლებიდგანაც იგი უპერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში საყალებელო სქესობრივ მოგალეობათა აღსრულებას შეუდეგბა, სრულიად არაფერი უნდა იცოდეს მათ ბუნებრივ როლზე და მათ შესაფერ მოვალეობებზე? სისხლის სამართალი სჭირო იმათ, რომლებიც არწმუნებენ სხვებს მიიღონ თავზე რამე მოგალეობანი და ამავე დროს მათ ნამდვილ ბუნებას და შედეგებს კი განძრის უმაღვეს. განა საჭირო არ არის ამგვარადეს დავსაჭირო ის მშობლები, რომელიც თავიანთ უცოდინარ ქალების მითხოვნების მითხოვნების შემთხვევაში გაცემს რომ მათ შესახებ არ იქნებოდა ამ შერივ ხელი გაგებზე და თავის დროზე გაგებულობის ისინი? ბევრი მშობლები დაუჭერებულ გულგრილობით ჰეზავნიან თავიანთ ქალიშვილების ადგილებზე, და იმას კი არ ფიქრობენ, როგორ ადვილად შეიძლება ესენი უგულო და უსინდისო ღონისულის შესერჩებად გახდნენ, თუ კი მათ უცოდინარებს და გულუბრუვილოდ მიმდინალებს გაისტუმრებენ შინიდგნ. ჩვენ ვლაპარაკობთ აქ იმ მახებზე, რომლებსაც მატუკები დაუგებენ უველგან (იხ. თავი XI). ამის გარდა, სქესობრივობის მსრივ გრძნათლებულ ქალწულს ბევრი ქალური გარამის გაქარება შეეძლო თავის გარშემო. იმის მაგივრად, რომ ქედმილურ ზიზვით ან მხდალი შიშით

არიან გამოწვეული, ქარგები და სადები არიან, მაგრამ ასეთი არ არიან ფრთხოსტრიური ზმანებანი, რომელიც სინამდვილესთან შეაცრი წინააღმდეგობაში არიან, ისე რომ მათ ჩერი გაცემება მოსდევდეს. ვინც თვით ქორწილამდის ემშირებებში (ზესკრელი, საიდგანაც ცის შესთხობის ჩამოდიან) დაქვრინავს, იგი ჩვეულებრივ საფრთხეში ღრმა შერუევის განცდის მხრივ. უფრო მართებული, სქესობრივ დამოკიდებულებათა ახსნასთან შეერთებული ადგილდა მეტად მინდობილ ხასიათის ქალებს არამც თუ დაისხიდა მოულოდნელ და შეკრი გაცემებებიდგან, არამედ, ამავე დროს ქრმების ეთიურ მდგომარეობასაც აასალებდა. თუ მომავალმა ცოლმა მტკამცედ იცის, რას შევბა, როცა თხოვდება, მაშინ იგი მომავალის უფრო სამედო თავდებს მოსთხოვს ქმარს, და აკრეთვე წარსულის ანგარიშესაც.

მაგრამ ამ სფეროში ახალ შეხედულობების უფერი თბილიც უსარგებლო გამოდგება. ჩვენი ახალგაზდა ქალწულები უკვე ეხლაც კი ნებას აღარ აძლევენ თავიანთ თავს ისე თვალებ ახალგაზდა მოიკრინენ ხოლმე; ისინი თვითონ მიისწავლიან უმეტესს და უმეტესს განთავისუფლებიაკენ. განა უპერესი არ იქნებოდა ამ შერივ ხელი გაგებზე და თავის დროზე გაგებულობის ისინი? ბევრი მშობლები დაუჭერებულ გულგრილობით ჰეზავნიან თავიანთ ქალიშვილების ადგილებზე, და იმას კი არ ფიქრობენ, როგორ ადვილად შეიძლება ესენი უგულო და უსინდისო ღონისულის შესერჩებად გახდნენ, თუ კი მათ უცოდინარებს და გულუბრუვილოდ მიმდინალებს გაისტუმრებენ შინიდგნ. ჩვენ ვლაპარაკობთ აქ იმ მახებზე, რომლებსაც მატუკები დაუგებენ უველგან (იხ. თავი XI). ამის გარდა, სქესობრივობის მსრივ გრძნათლებულ ქალწულს ბევრი ქალური გარამის გაქარება შეეძლო თავის გარშემო. იმის მაგივრად, რომ ქედმილურ ზიზვით ან მხდალი შიშით

ეურნა დაუქორწილებელ დედებისთვის და ამ-
გვარ უბედურებისთვის, იგი გრჩივრელ ნუ-
გეშის ცემით და დახმარებით მიწმართავდა
მათ; ცხვრებაში ილიუზიებით შესვლის მა-
გივრად, იგი პეთილშემილურ სოციალურ
მისწრაფებებით მძაფრ სინამდვილის გადა-
ბას შეეცდებოდა.

საიდგან და როდის დავიწყოთ? ჭაი, ჭაი,
არა სწორედ ქორწილ წინ, არამედ რამდენა-
დაც კი შეიძლება ბოვშვობიდგან. თეორიაში
სთანხესდებიან, რომ ბავშვებს არ უნდა ვატ-
ეუებდეთ, და ჭირო, რომ ბავშვები შეერ-
ევებ ნდობით იუნენ დედმაშისადმი გამსტეა-
ლული და თვითონაც სიმართლეს დაპარაკობ-
დნენ. თავის თავად იგულისხმება, რომ შეუ-
ძლებელია ბავშვები სქესობრივ საკითხის უკეთა
წერილმანებში აეხსნას, მაგრამ შეიძლება მას
კითხვებზე სიმართლე მიუგდოთ ხთლები წლ-
ვანობის მიხედვით, და თუ ბავშვმა იცის,
რომ მას ასე ემტევიან, მაშინ საჭირო ღრცე-
შეუძლიან ასეთ პასუხისმართაც დაკმაყოფილდეს:
„შენ ჯერ შეტად ჰატარა ხარ, ჯერ ვერ გა-
გდი: ამას აგიხსნით მაშინ, როცა ცოტა წა-
მოიზრდებით“.

უკველი ვაგშვი როდისშე ჭერითხავს თავის
დედას, თუ იგი ჭვედავს მასთან გულახდით
დაპარაკეს, როგორ ჩნდებიან ბავშვები ქვეუნად.
ამაზე დედას მით უფრო ადგილად შეუძლიან
უსსურს, რომ ბავშვები თვითონ ჭერიან შემ-
თხვევა დაჭირვილებიურ ამას ცხოველებში,
მწერებში და სხ. დედამ რატომ უნდა დაუმა-
ლოს მას, რომ ადამიანთა ბავშვებიც ქვეუნად
ისევე, ან თითქმის ისევე, იძალებიან, რო-
გორც ცხოველთა შვილები? აქ არავთარი
ცუდი ბიწიერი აზრები არ მითოვება, რომ
უებსაც შემდეგში ჩვენი ერთობიზემი ამ სავანს
უკავშირების. ბავშვები გაცილებით უჭრო და-
გვირვებული არიან, ვიღრე ჩვენ ვფიქრობთ.
ერთმა ჰატარა გოგონამ, რომელსაც ბავშვების
მომტკიცების წეროების სისაცილო ისტორიაში

უმასპინძლდებოდნენ, ერთხელ თავის დედას
უთხრა: „დედიკო, შე ისე გახარებული ვარ,
რომ ბების უსათუოდ ჰატარა ბავშვი ეუფლე-
ბა“. დედა განცემითდა. „უსათუოდ, —გააგრ-
ძელა პატიამ—იმას ისეთივე დიდი შეცელი
აქვს, როგორც ჩვენ გატას, როცა იგი მაღა-
კნუტებ დასაურელია ხთლები“. ქ-ნი შემიღტია
თავდებია ამ ჰატარა ისტორიის სინამდვილი-
სა. იგი დაუმატებს, რომ იმან ერთ სკოლის
მეგობრიდგან ჯერ კიდევ ათი წლისამ გაიგა,
რომ მასი, ამ ცოტა ხანში დაბადებული, და
წერისაგან კი არ არის მოტანილი, არამედ
დედისაგან დაიბადა. ეს ბუხბრივი ფქტია მას
მაცდურად არ ეწევნა, მაგრამ ამ დღეს შშბ-
ლებისადმი ნდობა კი ძლიერ შეერთა.

თავიდგან ბავშვები იმ ცოდნით კმაყოფილ-
დებიან, საიდგან ჩნდებიან მათი პატია დები
და ძმები. მაგრამ ცოტა-ცოტათბით უფიქრდე-
ბიან ამ მოვლენას და იმ პირებს, რომელსაც
ენდობიან, უწევებუნ გამოკითხვას, როგორ
შეუძლიანთ ამ პატია არსებებს დედის სხეულ-
ში გაჩენა. აქ საჭიროა მოხერხებულ შემთხვე-
ვას მოუცდოთ, რომ მიღდომის პროცესი
რაც შეიძლება უბრალოდ აფუხსნათ. ქალბატო-
ნი შემიღტი მოგვითხრობს, თავის შეშვების ამ
საგნის შესახებ ახსნა როგორ შისცა. შისი
რვა წლის გაუიშვილი რო თავის უფროს დას-
თან ცხარე ბაასში იურ საქათმას შესახებ.
გოგონები მამალში მეტად ბოროტ ასებას
ჭერდავდნენ და სრულიად მეტად სთვლილნენ,
რაღანაც ის კვერცხს არა სდების. ვაჟეაცურ
სიმავეში შეურაცულფილმა, ვაჟმა მშმალი თა-
ვის მოარეველბის ქვეშ მიიღო, და განაცხა-
და, რომ მამალს უსათუოდ რაიმე სარგებლო-
ბა მოჰქოს.—თუმცა ნამდვილად არ იცის,
სახელდობრ როგორი. საკამათ საკითხი ასახ-
სნელად დედასთან იურ გადატანილი. დედაშ
გულ ახდით განუცხადა ბავშვს, რომ დედლებს,
ჭაი ჭაი, უმამლოთაც შეეჭრლოთ გეერცხების
დაღვა, მაგრამ ამისთვის კვერცხებიდგან არა-

ფური გამოდის; მამალმა კრუხებს თესლი უნდა შისცეს; მამა—მამალი თუ არ იქნებოდა არც შვილები—წიწილები იქნებოდნენ. ვაჟმა სიამაუე იგრძნოდ და უბრალო წმინდა ბავშვურ ლოდივით მაშინვე ჭერითა: უდედივო, მაშასა დაშე არც ჩვენ შეგვიძლიან ბავშვები გრძევანდეს უმამოდ?“—როდესაც დედამ, ცხადია, დამამ-ტეარებელი საბუთი შისცა. ამის შემდეგ, დაკმაყოფილებული ბავშვები, თამაშობას დაუბრუნდნენ. ამ მეორე ახსნისთვის აგრეთვე ბორტანივით (მეცნიერება მცნობელზე) და ზოა-თლოგით (შეცნიერება ცხოველებზე) შეიძლება ვისარგებლოთ; მაგრამ თვით ქ-ნი შმიდარიც ბეჭედნებია, რომ მეორის ახსნა ისე ადგილი არ არის, როგორც პირველის. გარდა ამისა იგი ფიქრობს, რომ შეიძლებოდა სკოლებში ბავშვებისთვის ადამიანთა წარმოშობა ისეები უბრალოდ აეხსნათ, როგორც მცნობელთა და ცხოველთა წარმოშობა. მართლაც, ეს საუკეთესო ხერთი იქნებოდა, თუ წარმოდგენთ, რომ მასწავლებელი ქალი ან ქაცი მოახერხებენ ამის სახსრიანად ასრულებას. დაუმატებ ამას, რომ ბავშვებისთვის სქესობრივ საკითხის ახსნა, თუ შესაძლებელია, ვაჟებისა მამამ ან მასწავლებელმა კაცმა უნდა იდოს თავზე, ქალიშვილებისა—დედები ან მასწავლებელმა ქალშა. სრულიად მართებულად შექნიშნავს ქ-ნი შმიდრი, რომ მშობლებს, მოშეტებულ შემთხვევაში, ბავშვებისთვის თავის ღრუბები სქესობრივ დამოკიდებულებათა აუსწენელობა რწმენის გამო არ ემართებათ; არა ისინი შეეცირია სქესობრივ დამოკიდებულებათა ზრდილობიან—მართებულად ახსნის სიბრუნვის სულმოკლე შიშის. ზოგიერთი ღეღები გერაფის გულისთვის გერ გაჭაბედებულებენ ამავაზე ფარავის დაწარავის დაწერებას უმეტა ბავშვთან, მაგრამ სალის დამოკიდებულებების თავის დამოკიდებულებისთვის დაწერებას უმეტა დაწერებას უმეტა ბავშვების მომადრენების სიცოდებულებების გადასაცემა არ არის დაწერებას უმეტა ბავშვების მომადრენების სიცოდებულებების გადასაცემა. არა არის შემთხვევის გადასაცემა არ არის დაწერებას უმეტა ბავშვების მომადრენების სიცოდებულებების გადასაცემა. არა არის შემთხვევის გადასაცემა არ არის დაწერებას უმეტა ბავშვების მომადრენების სიცოდებულებების გადასაცემა.

რომ იმათ ცოტად თუ ბევრად უგვიე შეჭიშენიათ ამ საგნებზე სხვებისაგან. სანინულია, რომ შედაგოგთა მხოლოდ მეტად ნაკლები რიცხვი მეცადინების ამ საკითხის გასაშუქრებლად, და რომ მშობლები სქესობრივის მხრივ თავიანთ ბავშვების გახა-თლებას შეტად ცედ წაროებს მიაწდობან: გაფეტებულ მოსამსახურებს, გათახსირებულ ამხანაგებს, ცუდ და პაროვანაფიულ წიგნებს და სხ. ამის გამო მეტად მავნებელი. ერთი ერთმნერთისადმი ნდობის მომსპობი, ჩიმშორება ხდება ერთხმისავ შშობელთა და შედაგოგთა და მეორე შხრივ ბავშვთა შორის. ნააღრეულად მოპოვებულ სქესობრივ მახინჯ საქციონელთა ან არა საღ სქესობრივ წადილის ნააღრეულად განვითარებას აგრეთვე არ შეიძლება ცრუ მორცხვობით, ბუნდოვან ზნებირივ ქადაგებით მგაცრ „თვალის ბრალით“ წინ აღუდებეთ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი რითომე შეიჩნევს მათ; ეს შეიძლება შხოლოდ გულახდილობით და სიუკარულით. თავის ძვრენით და ეგრედ წოდებულ მგაცრ ზნებირივ მხოლოდ ჩიმშორებას, სიცოდეს და ცბიერებს მიახწევენ, ეს კი ბორტებაა.

აა ქალიატონი შმიდრის მოსაზრებანი. მარტინ შემდეგ, როგორც ჩვენ, ხაზს უსვამს საჭიროებს ვამუშაოთ ხოლმე ქალწულები და შეგვასწავლოთ რამე ხელია, რომ მათ უღველებელ გვარ გაჭირვებულ პირობებში შესძლონ ცხოველების ბორლის გაძლება, ბომად არ აჭუგნენ პირველად ცოდლად თხოვნას ან რსკიდობას არ მიეცნენ, და ამითა არ იღიაქონ სიმშილის ან დაღუშვას თავი დახტიონ. ამასთანავე იგი სამართლიანად შექნიშნავს, რომ ცოდლის მუშაობა ფჯახში და ბავშვების მოვლა ისეთიგე მუშაობად უნდა ითვლებოდეს, როგორც ქრმის გარეთ ხელიათ მუშაობა.

საჭირო არ არის ჩემთვის ვიღაპარაკო, რომ სქესობრივ განათლება ვაჟებისთვის ისე-გვ საჭიროა, როგორც ქალწულებისთვის.

მართალია პირველები იშ საფრთხეში გერ ჩა-
კარდებიან თავიანთ უფიცილობის გამო, როგორც
უკნასკნელები ქორწილის ან თრისულობის გა-
მო, სამაგიროდ მით უფრო მძღვანელებია გან-
საცდელები და ცდუნებანი, რომლებსაც ვაჭები
საკლელ გზებზე ჭრდებან. სქესობრივობის
შერივ გზა ანუ უფლის, ჩინობის წალობით თუ
სხვა ილელით, ისინი სქესობრივ ავადმყოფო-
ბათა კარგშედაც კი მეტად აზრებინ თავიანთ
თავს, და სწორე გზაზე მათი სედახლად და-
უკნება მეტად ძნელია ხოლმე. აირომ მე
მივისრთავ უველა მაშებს და აღმზრდელებულებს
იმავე მოთხოვნილებებით, რომელებითაც ქ-ნი
შემიღები დედებს და აღმზრდელ ქალებს მიჰ-
მართავს: საშუალებანი თავის ღრუბე მიიღეთ,
და ნე ალთდინებთ, ვიდრე ვაჟიშვილები ცუ-
ლად იქნებან გნათლებულნი, ან ეროტიულ.
ცნობის მფლეობით უავე შეცდენილნაც-კა.
ასეთი შეცდენა ჩვეულებრივ ცუდ ამსახავების
წევალობით ხდება ხოლმე, მაგრამ არა იშვია-
თად მზრდილ ერთოულ ქალების საშუალე-
ბითაც.

ჩვენ მოვალენი გართ. აქ რამთდებიმე შნი-
შენელოვანი პედაგოგიური სედამდგანელი დე-
ბულებანი წავიმზღვაროთ.

გავის ტვინში გონება (ინტელექტი) და გრ-
ძძინანი შეიძრთ არიან დაკავშირებულნი,
და ნების გადაწყვეტილებანი პირველი და მეო-
რების შეერთებიდან აღმოცენდებან; ეს გა-
დაწყვეტილებან, სიმტკიცის და ხანგრძლი-
ვობის მიხედვით, თავის მხრივ, მძღვან უკუ-
კცევითი მოქმედებას ახდენს ტვინის ცხოვ-
რებაზე. ამიტომ ტლანქი თავის მოტეულებაა,
გიფიქრთ, რომ ადამიანის სელის ამ სამ
უმაყრეს სივერზე — გონებაზე (ინტელექტ-
ზე), გრძნობებზე და ნებაზე — უაველზე ცალ-
კე შესაძლებელია დღლაშატიურად და თეორიუ-
ლად ვიმოქმედოთ. უწინარეს უოლისა სკო-
ლის მხრივ შეცდომაა წარმოიდგინოს, რომ
მას შეღვარდ გონების განათლება შეუძლიან,

გრძნობებზე და ნებაზე ზრუნვა კი ვითოშ
მშობლებს უნდა მიანდოს. კიდევ უფრო დი-
დი უაზრობაა სურვილი გრძნობებზე, და გან-
საკუთრებით ეთიურ გრძნობებზე. სანიდასზე,
ზერბაზრივ ქადაგებებით და სასჯულებით ვი-
მოქმედოთ. არ, ეს ზნებრივი ქადაგებანი,
ას, ეს თეორეტიული სწავლება — რა მასინ
ჯა ნაბიჭვრებია ადამიანის სელის! თითქოს
განუეჩებულ (ასტრატეგიულ) დოლარულ და-
ბულებებით სინიდისის და ალტრუისტულ
გრძნობების ჩატევა შეიძლებოდეს ბავშვის
ტვინში, რომელიც მხოლოდ კასკეტეტული-
სადმია შეგრძნობიარე. თითქმის ეთგალ ფას-
ში უოგელ დღე შეიძლება შევხედეთ, მშობ-
ლების შფრთიანი, გაფავრებითი ას სალშო-
ბიერო მუდამ ერთ და იმავე შინაარსიანი და
კილოანი საუველერები. როგორ ერთ უურში
მეიშვება ბავშვებისაგან და მეორეზე გაიშვება,
ას როგორის გამტრუნულის სახით, ხანდისხან
ცრემლებით სავე თგალებით მოასმინება ხოლ-
მე; ხეირად იმავე აჭავერებულ კილოთი შევა-
ხებასაც გამოიწვევს. საერთოდ კი ბავშვების
სელის ისევე უკავალოდ ასხლტებინ ეს საუვე-
ლერები, როგორც ქარი კედელის. მთელი სცე-
ნა კარგ დამგვირვებელზე არღანის შთაბეჭდი-
ლებას ასდენს, რომლის ჭანგიც ღრთავე მხრიდ-
გან, ასე რომ ვსთხვათ, ავტომატიურად (თა-
ვისთავად უგულოდ) იგვრის. თუ ეს ზნებრია,
რომელმაც ბავშვებზე მოქმედება უნდა იქ-
ნიოს, მაშინ მისი უშედეგობა და მანებლობაც
რადა გასაკვირველია. მშობლები ჩერ ამჩნევენ
ამ დროს, რომ „ბავშვების გასწავლების“ სა-
ხით ისინი თავიანთ საკუთარ სისუსტეს და
განრისხებას აძლევენ ნებას. მით უკეთეს ამ-
ჩნევენ ამას, შეგნებით ან შეუგებლობით,
ბავშვები, — და შესაფერდისად ეწინააღმდეგებიან
ხოლმე. უველაზე უარესი ის არის, რომ ისი-
ნი თვითონაც შეითვისებენ ამ ცუდ წეველე-
ბებს და თავის მხრივ ერთი ერთმანეთს „ზნეა-
მას შეღვარდ გონების განათლება შეუძლიან,

გას” უქადაგებერ და შატარა მაიმუნებსავით თავიანთ მშობლების ჭაბაძეენ.

Սաւ Վազուց, Սաւ? ան հուտցու? առ արսեցն սամշոնան? առ արսեցն սաւ յորտու կուտեց. առու մեռլուն ցոլուա մեռլուն ցոլուա. Գրոն Վելուրո տացու Սուցլաւ Շեսրարցն տացն միշտան գորտւ լուցն, հոմելոն ու ուրացն Վամեցն է Հարցունքն, ուրդաս կո առա սկզ աջակու, հոմ կապու ծորություն ուորդան դայուարուն տցու սովարշուլն սամիուն. Օդամուն հատ Շեց Վերդատ իյենո Եցան ուրցն? մաշրամ աճամունքն առ արսեցն լուրու! առուն մեռլուն սա-մունց մեցուցն, հոմելոն ու Վելուր լուրուն պարու անշոնան իյեն սատու մեցնաս. հուցեսաւ զոմլուրուն ուորդա, ունու Վե-լուր լուրուն պարու անշոնան իյեն սոմլուրու, վսրուն իյեն դա ոմազ Վելուր լուրուն պարու ունուն իյեն ցուցքն.

Սուրունցն... Սուրունցն լութեան դա լորոցամունց ցուցքն ցաւսմուն միշտարց կուրն է մեա, զոտ սասկացուն ցոլուան պարու մենան ցուցքն.

Ցու. Ցու Վարուն Վելուրուն.



მსხვერპლი

ერთხელ ღმერთს მსხვერპლი შეჰწირეს:
 რუსმა—დიდიდი ტაძრები,
 შემკული ოქრო-ვერცხლითა,
 თან საგალობი ჰანგები;
 ურიამ—საუკეთესო
 ზვარა-ჭედილის ნაჭრები, ¹⁾
 ღრმა სასოება ღმრთისადმი,
 ფსალმუნით შემონაქშედი,
 საერთოსჯულე კლიტული ²⁾,
 ოქროთი შემონაჭედი
 და თავი თვისი მას შინა
 დამწვარი, როგორც აბედი.
 მაჰმადიანმა—იგივე,
 ცოტა რამ გარექცეული ³⁾,
 ურწმუნოებთან ომებში
 სისხლი ლვარქაფად ნთხეული,
 ქვეყნები, ნაოხარქმნილი;
 ვაება ცად აწეული;
 სომეხმა—ფული, კოლშვილის
 გასყიდვით ნაშოვარია,
 ამაზედ კარგი მის გულად
 არ იყო საბოძვარია.
 უფალმა ბრძანა: „ეს თქვენა,
 ქართველი სადღა არია?“

¹⁾ ზვარა, ანუ ზვარავი—პირველად ნაუთ-დი ჩბო ფურისა.

²⁾ კლიტული—დაკეტილი რაშე. აქ „სკუ-ლის კიდობანი“.

³⁾ გარექცეული—შეცვლილი, გადასხვაუკ-რებული.

ის გრილში იყო, არა ჰჩნდა,
 ღმერთი შუქს მიაყენებდა;
 ღარბაისელი, რაინდი
 წარჰლგა და მოახსენებდა:
 „უფალო, კარგადა ჰედავ
 ცხადსა და დაფარულსაო;
 წამიხდა ყოველიფერი
 მრავალგზის გაცარცულსაო.
 ღამრჩა-ღამა პატიოსნება,
 სიმართლე, გულთა მხილავო.
 ეს არის ჩემი სიმდიდრე,
 ამას კი შემოგწირავო“.
 ღმობიერებით მეუფებ
 უქმნა მიპყრობა ყურისო,
 უთხრა: „შენთან და შენს მსხვერპლთან,
 ქართველო, ყველა ჰტყლისო:
 თუ ბრძოლა არსებობისთვის
 არ არის ფუჭი არაკი,
 მაშინ სიმართლე—მსხვერპლია
 და შენი თავი—ზვარაკი.
 როცა სხვას ჰელობ, სხვა გიყვარს,
 მაშინ შენს თავსა ჰწირავო;
 ამიტომ ყოვლის უმეტეს
 მეც შენს მსხვერპლს შევიწირავო.
 თავკაცების მეტს მაგ მსხვერპლთან
 არც ვის უწვდება ხელიო.
 ჯვარია—მძიმე საზიდი
 და გზა, სავალიდ ძნელიო,—
 მაგრამ არ შეჰლგე და გრწამდეს—
 შენია მომავალიო.

ბაჩანა.



იგეზაუ

(ძღვნათ პატ. ალ. ჭიჭინაძეს)

ლაუხსოვარ დროთაგან, რა რომ გაჩნდა ქვეყანა,
მუდამ დაჰქრი ქარივით, მუდამ ახდენ სასწაულს,
ღარიბ ქოხში იჭრები, იქ ნახულობ დავრდომილს,
შიშველ-ტიტველს ამშვიდებ და პირდები სამკაულს...

* * *

გულ-გატეხილ მენავეს, ცხოვრების ზღვით მოქანცულს,
კვლავ აშუქებ იმედით, კვლავ პირდები გაზაფხულს;
დამარცხებულ მებრძოლსა შთაუბერიავ ამაყ სულს,
ისევ იწვევ ბრძოლაში, აძებნინებ დაკარგულს.

* * *

ძლიერი ხარ, ძლიერი, მძლეთა მძლეო, იმედო,
ციხეშიაც შიგრის შენი მძლავრი ნათელი,
გულს გაუხსნი იქა მყოფთ, გააღვიძებ ცოცხალ-მკვდრებს,
და ბნელეთის სამეფოს აინთება სანთელი.

* * *

ცრემლს შეუშრობ დაჩაგრულს, წამალს დასდებ იარას,
სიყვარულის დამკარგავს ისევ მიგვრი სიყვარულს;
გულ-მწუხარეს, უძედურს, ობოლს, სასოწარკვეთილს,
ისევ ისევ აღუძრავ იმედსა და სიხარულს.

* * *

ეჰ, იმედო, იმედო, სასწაულის მომქმედო,
ვისაც აღარ აშუქებ, მისთვის დღეც კი ბნელდება,
და ვისაც რომ მიუმღერ, ჩაეჭრები ლხენით გულს,
მისთვის ხარობს ყოველი, ღამეც კი დღეთ თენდება.

ლ. ძიძივური.



ცრემლები

(ვუძღვნის ძვირფას მასწავლებელს ბან ალექსის. ჭიჭინაძეს).

I

... მას თვალშინ წარმოუდგა სპეტაკი ჭალარა. უქმაყოფილო და მწყრომიარე სახე, ვით აჩრდილი, არ შორდებოდა მის გონებას... წყვილი კურუხალი უცებ. მოსწყდა ჭაბუკის თვალებს და წიგნის ფურცელზე დაეცა. „შენ ამის შემდეგ არ მიწოდო თავისი მასწავლებელი“— ელვასავით გაირჩინა მის გონებაში, და ჭაბუკი მოელი სხეულით აცახცახდა.

II

შემოდგომის ლამეა. გულშემზარავი ჭარი გველივით სისინებს და გატიტვლებულ ხის ტოტებს მოუბეზრებლად არწევს. ბუნება სალათას ძილს მისცემია. ირგვლივ ბნელა; მხოლოდ ერთს ფანჯარაში მკრთალი სინათლე მოსჩანს...

მასწავლებელი მაგიდასთან ზის და ორმად ჩაფიქრებულია.

„მასწავლებელი“... გაგრძელებით წარმოსთქვა მოხუცმა და ისე დაკვირდა თავის ნათქვამს, თითქოს პირველად ესმის ეს სიტყვები: „რა მძიმე ვალი აძევს იმ ადამიანს, რომელიც ამ სახელს ატარებს! რამდენი სიფრთხილე და გამჭრიახობა მართებს მას ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე, ყოველ მოქმედებაში!.. დღეს შეგირდმა

გამაბრაზა, და უოხარი—ამის შემდეგ თავისი მასწავლებელი არ მიწოდო მეთქი. ვინ იცის, როგორ იმოქმედა ამ სიტყვებმა მის სათუთ გრძნობაზე. აი მე ეხლი არ მეძინება ამის გამო,—იქნება მასაც არ დაუძინია?..

III

„წკრრრ“... გაისმა ოთახის კარებში. მასწავლებელი მსწრაფლ წამოდგა და კარი გააღო...

„ბატონო მასწავლებელო!“... ერთბაშათ წამოიძახა ჭაბუკმა და კარებთან აიტუზა. მის გაფითრებულ სახეზე სულიერი ტანჯვა იხატებოდა.

„ამ ლამე აქ რამ მოგიყვანა?“ მკაცრად ჰყითხა მას მასწავლებელმა და მღელვარე სახე მიაპყრო. ჭაბუკმა თავი დახარა და წყნარად უპასუხა: „არ დამეძინა“.

— მერე აქ რა გინდა?

„მაპ...ატ...იეთ“—წაილულლულა ჭაბუკმა და ცხარე ცრემლები გადმოღვარა. მასწავლებელს ფერი ეცვალა.

— დაშვიდლი, ჩემო მტრედო, მიპატიებია: ცრემლებმა ჩვენ კვლავ შეგვაერთა.

ალისჭრო ჩხაიძე.



ნაშევეტი

...ლამით ვიდოდა... შორი ცის შუქი მის თვალ-წინ თეთრად ეფინებოდა!..
იქ მთა-მდინარის გამოძახილი ძლევის გვირგვინად იხატებოდა;
და მხიარულად ვიდოდა იგი,—ლტოლვის ლიმილი, შვენება გედი,
მისი ხმა მთის ხმას უერთდებოდა, დიად სიმღერის წინამორბედი!..
სამშობლო მხარე უსმენდა ფრთოსანს, სამშობლო ჩემი აოხრებული, —
და იცინოდა თეთრის სიცილით ლამის სარკეზე გაბრწყინვებული!..

გვლა.

ასტრახანი.

ბ უ ლ ბ უ ლ ს

ბარიურაჟზედ, ოდეს სხივი,
თბილი სხივი გაზაფხულის
და იმ სხივით განალვივი
ბროლის ჭავლი ნააღმულის —
გულს წვდებიან ურთ-ერთს ტრფობით,
ურთ-ერთს ტრფობით ეხვევიან
და ამ ტრფობით თვის სიცოცხლეს
უკვდავებად თვითვე ქმნიან, —
ეხ, ბულბულო, მითხარ ჰაშინ
რისთვის მღერი ეგრე გზნებით;
რას მოუთხრობ ლად ბუნებას
მაგ შენს უცხო, ჭრელ ჰანგებით?
მითხარ, მითხარ, ეგ შენი ხმა
მღერა არის, თუ ტირილი,
თუ დაკარგულ საუნჯეზე
მწარე მოთქმა და ჩივილი;
თუ ჰიმნია შურის გების,
ან თუ მწარე სინანულის? —
მითხარ! იქნებ ერთი არის
საიდუმლო ჩვენის გულის!..

ილ. გოგია.

პ ნ დ ე რ ქ მ

... და თუ ბედმა უკულმართმა
არ დამინდო და გამწირა,
და მუხთალმა ცხოვრების ზღვამ
უფსკრულს შთანმთქა და ჩამძირა, —
ნავი ჩემი, ობლად მსრბოლი,
ნავთსაუფლეოს მოკლებული,
შენ მოძებნე მეგობარო, —
შიგ იქნება ჩემი სული!..

და შენც გაჲყევ, გაჲყევ იმ ნავს,
თუნდ ზღვამ შთანთქმა დაგიპიროს;
მის მსხვერპლო სულიც შეიერთე,
თუ გსურს გასვლა სანაპიროს!..

... და თუ-კი შენც კრულმა ტალლაშ
დლე გარგუნოს ჩემებრ მწარე,
სიკვდილის წინ შენც შენს მოძმეს
ეს ანდერძი დაუბარე: —

რომ გარდასულ მსხვერპლთა ჩრდილი
ხილი არის მომავლისა
და მათ სულთან შეერთება
პირობაა წინ, წინ სვლისა!..

ილ. გოგია.

ჯერ არ მენახე,
(ჯერ არ მენახე)
და არ ვიცი რაღ,
(და არ ვიცი რაღ)
სიზმრის ბალჩაში ყვავილთა გულზე
გხედავდი ხშირად.

ჯერ არ გიცნობდი,
(ჯერ არ გიცნობდი)
და არ ვიცი რაღ,
(და არ ვიცი რაღ)
ტყის პანთეონში ნატეს რვეულზე
ლექს გწერდი ხშირად.

მაგრამ, როდესაც უცაბედათ გაგიცან, გნახე,
და როს ოთახში, შენს ოთახში, მოგიველ სტუმრად,
მაშინ ის ლექსი, რომელიც მე უხმოთ, უჩუმრად
შენთვის დავწერე,
ისევ უხმოთვე გადავფხრიწე, გავაცამტვერე
და რისოვის, ნეტა, რას ვფიქრობდი? რა განვიზრახე?
ეს მოხდა მაშინ როცა უკვე გაგიცან, გნახე.

ეხლა შენც გინდა, ეხლა მეც მინდა,
იმ წუთს როგორმე ისევ მოუხმოთ,
მაგრამ ის ლექსი, რომელიც უხმოთ
მაშინ რვეულზე ათინათინდა —

არ მაგონდება მე ხელმეორედ,
არ მაგონდება წარსული ჩვენი,
არ მაგონდება, ლამაზო, სწორედ,
არ მაგონდება რა მოგიძლვენი.

შეიძლება ტყეს ახსოვდეს? — პკითხე იმ ტყის ფიჭვ-ნაძვნარებს,
სადაც შენთვის ლექსსა ვწერდი, სადაც ეში დანარნარებს;
შეიძლება ქარს ახსოვდეს? — პკითხე იმ ქარს, გეხვეწები,
ქარს, რომელსაც გავატანე იმ რვეულის ნაფხრეწები.

ი. გრიშაშვილი.



ლ Ա Ե Հ Ո Ղ

Օ մեմար ფոտոლս დავემსგავსე, შემოდგომის გამեმარ ფოთოლს,
დავსჭენი ისე, რომ ლანდს ვგავარ, ლანდს ფერდობზე გადანაწოლს!
დღეს მე ისე მოვიქანცე, დღეს მე ისე მოვიღალე,
რომ საფლავში უმოძრაოდ გდებულს მნახავ, ალბათ, მალე!

—
მე ისა ვარ, შენ რომ ერთხელ... მაგრამ დავსვამ მრავალ წერტილს,
დღიურს ჰყითხე, ჩემს დღიურსა, ამ გულიდან ამოწყვეტილს! —
და ყველაფერს შენ ის გეტყვის, ის ყველაფერს გეტყვის ისე,
როგორც მაშინ ღრმად, უსაზღვროდ შემიყვარდი, შეგითვისე!

—
თავიდანვე მე ხალხს ვსცნობდი, მის იდეალს ვაღმერთებდი,
ჩემი სულის აღტაცებას ერის სურვილს ვუერთებდი!
ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილს, მე მომწყურდა ბრძოლა ისე,
რომ სიყრმიდან მას შევწირე მთელი ჩემი სიხალისე!

—
რაც მებადა: სიმხნე, ძალა, გულადობა გამბედავი,
სიმარჯვე თუ მამაცობა, — მთლად ოხერი ჩემი თავი
ხალხს შევწირე და მის ვარამს სულერთიან ჩავექსოვე...
და შენ, ალბათ, ამიტომაც მომერიდე; მიმატოვე!?

—
დღეს მეც მჯერა, ქალი იყავ და გჭიროდა მზრუნველობა,
დღეს მეც ვიცი, შენ გინდოდა მთლად ეს სული მთლად ეს გრძნობა, —
მაგრამ მე ეს ყველაფერი მივუტანე მშობელ კერას
და დღეს, ვხედავ, შენც დაგკარგე, სამშობლოსაც ვრგებ მე ვერას!

•
—
ეხლა რა ვარ?! დავემსგავსე შემოდგომის გამემარ ფოთოლს,
დავსჭენი ისე, რომ ლანდს ვგავარ, ლანდს ფერდობზე გადანაწოლს!
და დღეს ისე მოვიქანცე და დღეს ისე მოვიღალე,
რომ უძრავად სამარეში გდებულს მნახავ, ალბათ, მალე!

ლალო გეგეჭეორი.



სიკუარულის მისტერია

ცრუმლთა ისარნი მთსისხარნი ჩვენდა არქნით,
იღმენითგუდი ჭირ ნახელნი, შეგვიწყჩარებით!
ბესიკა.

I

ქასაფლაოს განაპირას, ჯაგნარებს შორის, ვნახე ობლის საფლავი. ცხოვრებაში ავყია ბედისაგან გულ-დაკოდილს სიკუდილის სამფლობელოშიაც არ ასცდენდა ეკლები... მზაკვარი ხითხითით მოუთხრობდნენ, თუ რამდენი მისთანა გაემწარებინათ... რამდენის გულიდან ამოეფხვრათ სიკეთის ნერგი და იმის ნაცვლად ჩაერგოთ ხენი ღვარძლის ხილ მსხმონი. ქარიც თანხმობის ნიშნად ზუზუნებდა, ჩაქცეულ სამარეში ჩაიჭრებოდა და უშავდა მკერდს საცოდავსა...

არავინ იყო ცრემლის დამფრქვევი...

არსითა სჩანდა მიმგებელი მუქაფის...

მოშორებით ვარდ-ყვავილთა შორის აშართული ბრინჯაოს ქანდაკებანი ბრეშით გადმოჰყურებდნენ მწირსა სამარეს, თითქოს ეთაკილებოდათ, რომ ერთ გალავანში იყვნენ მოქცეულნი.

ანაზდად მოფრინდა ზარნაშო...

ჩამოჯდა გამხმარ ტირიფის პოწყზე და აქვითინდა...

სჩანდა ობლის ოხვრა ზარნაშოსაც კი ჰსმენოდა, ზარნაშოს, რომელსაც არა ახსოეს რა ქვეყნად, რომლისთვის გამჭისარებულია გაზაფხულის სიმშევნიერე, რომელიც ამაო დამაშერალია სატრფოს ძებნისაგან.

ზარნაშო ტკბილ-მწარ გალობით ესალბუნა მის მტირალ სულსა... ცრემლების ცვარვით მოთფონა გულ-კოდილობა...

II

მწუხრის უამს კოკორში მთვლემავი პაწაწა ია მთის ზეფირის ქაშანდიელობას გადაეშალა... გადაეკოცნა მისი ფერ-მკრთალი ნაზი ტუჩები და... ხოშ მოკლული ძირს წალკოტისკენ დაშვებულიყო ნაკადთან ერთად.

საბრალო ია! მარტოკა დაშთა მაღალ მთის კონცხე... ტყუილ ამაოდ იხშობდა სიოს, ის ახლა ნარგიზს ეფიცებოდა ერთგულებაში...

წარვლო უამშა...

შუა ღამისას ზლვით მოქროლილმა სიცოვის ღმერთმან მთებს დაუგზავნა თვისი ელჩები.

ათრთოლდა ია...

ხვეწნით, მუდარით აღმოსავლეთს მიაპურო თვალი... გლოვის ძაძებით შესუდრილიყო მისი ტატანი...

არ ჩნდებოდა შუქურ ვარსკვლავი ცისკრის კარების გასახსნელადა...

სტიროდა ია...

შოპაებნეს კვლავ მოიხმობდა...

არა სჯეროდა თუ მთის ცულლუტი ამბორთან ერთად დაუსართებდა მწარენანგასა.

სიცივეგ ერთხელ კიდევ მოსზიდა თვისი ისარი და... უხმოდ, უსიტყვრდ მოსთვლა საბრალობელი... არავინ შეწუხებულა იის სიკვდილით...

ამ სურათის მოწმე მხოლოდ ერთი ვარსკვლავი ათრთოლ-აურეოლდა, ოხვრით მოსწყდა ცას—გაეთიშა ხომლის სიმშევ-

ნეს, დაეცა ობოლ ცრემლად იას და იწყო მოთქმა: ჩემო კარგო! გაახილე თვალები, ნუ, ნუ მოჰკვდები... განთიადი ხომ არ გინახავს... წუხელ არ გაიშალე? ხმას არ იღებ. გაყინული ხარ. ვაიმე! ვით გეიმედო, სიცოცხლე ვით ჩაგიდგა? ცივი ვარ, ცივი!..

III

ცისკრის ბინუ-ბუნდისას, როდესაც ატლასის გულის პირით უნდა მორთულიყო ცის კაბადონი,—ბულბული ვარდის ტრფობით აღგზნებული შემჭევრებით უსტვენდა თურმე.

ვარდს, როგორც მეტის-მეტად მედიდურს, თავ-მომწონეს არ ეთნო მისი ტრფობა, ყურად არ ეღო მისი ვაების მატიანე. ნააზატევ მგოსანს ეს ვერ აეტანა და მისს ეკალზე წამოგებულიყო... გული გაეგმირა... მის ჩეროს ქვეშ სული გაეტევებინა... ბულბულის აღსასრული შეეტყო სუმბულს, რომელსაც, თუმცა ბულბულმა პირველად მას უმღერა თვისი ჰანგები, შემდეგ რაყიფად ვარდი გაპხდომოდა, გადაებირნა მისი აშიცი და მით სამუდამოდ შეეურვებინა ფრთოსნის პირველი სატრფიალო.

ბულბულის სიკვდილმა ისე გააპატიჟა სუმბული, რომ მისი ცოდვით ძეძვსაც კი გული აუყუჩდებოდა...

კანკალით გადაიხარა ბულბულამდის, ამოაცალა გულის გამმახველი ეკალი, თვით განიწონა გულსა და ზედ დააკვდა...

ვარდს ეს ამბავი აინუნშიაც არ მოსეულია...

აჩუ თუ სხვა ვისმეს აღმოუბოლავს წუხილის კვამლი...

მთების ტერფებზე მიმკვდარმა ღამეშ წარიოტა არ არსთა ხსოვნა...

გარიერავდა. ლალის ისრებით განალვი- ძები ყველა მიეცა ოცნებას ნეტარსა...

IV

... ვერანა კლდესავით ვდგევარ მარტოობის ხავსის ზოსტერით შემორტყმული და ვფიქრობ ჩემს ტიალ ცხოვრებისას.

ვადარებ ჩემს ყოფას ბულბულის, ის და ობოლის უბედობასა.

ახ, ვით ვიტანჯვი!

რა საშინლად მმონებს წუხილი.

მეც მათსავით გულ-მოკლული ვარ. ჩემს სულის ტრფიალს მათსავითა ჰევდა სამშობლო ქვეყნად მწირი უდაბნო.

მე ბედით-კრული თვითეულ ვარსკვლავს ცალკ-ცალკე ვეველრები მიშუამღებომლონ მასთან, ვინც მიმიღო ცნობა, სილადე. მოალბონ მისი ვოროზი გული... მოამენინონ ღაღადისი მისი აშიკის...

ეჭ სულ ამაოდ! მისმა დუმილმა გამია ბედითა იმედოვნება... მისმა დუმილმა მომიკლა ტრფობა ცრემლში აღზრდილი...

სული ჩემი მოჰყვა ოცნების მომზვლეულ კოშკთა-ქვეშ...

გემუდარები ამაო ზვაო!

უკანასკნელი სცან ჩემი ნატვრა.

მაჩუქე შენი გაძოხმაური.

მაჩუქე შენი გიშრის თვალთა წამითი მზერა...

მსურს იგი მზერა გადაექცეს კუბოდ ჩემს ტრფიალი...

აბა ვით დავისაფლაო ის უკუბოლდ...

ობოლს აღირსა სულთქმა ზარნაშომ, მომაკვდავ ის ეთვისტომა ვარსკვლავი ცისა, სუმბული ბულბულს ეჭირისუფლა, ნუ თუ ბედით კრულს ისე გამწირავ, წრომ არ აღირსებ კუბოს ჩემს ტრფობას?..

დ. თურდოსპირელი.

ცოტა რამ სოფლის მასწავლებელთა მოღვაწეობაზე

ჩვენი შატარა „ცა ფირზუ“, ხმელეთ ზურ-
შურიანი“ სამშობლო მტკიცებ და დაბა გა-
კულტურის გზას. თუ რამთდენიმე წლის
წინად ჩვენი პროგნოსტის ხალხი ალმაცრად
უურებდა სწავლა-განათლების შემთხვევას და
ერთი — ქახის შეგავის შენობა, — უფლების რივ
მოუწყობი, ხუთეჭვის და მეტ სოფლის მო-
თხოვნილებას აკმატოლებდა, დღეს ის ხარ-
ბად ეტანება უოველ კულტურულ-განმისათლე-
ბელ საქმეს და ისეთ სოფლებს გერ შეხვდე-
ბით, — უმეტესად დასავლეთ საქართველოს
ში, — თუ მეტი არა, ერთი საკმარდ მოწეო-
ბილი, საკეთესო ადგილზე წამოკრიავებული
სკოლა არ ასებობდეს; ერთსა და იმავე სო-
ფლებში ერთი სასულიერო უწევების და მურიე
შთავრობის ე. წ. წილის მომავალური და ან ქალთა
სკოლა — ხშირი მოვლენა.

თუ რომ რამთდენისამე წლის წინად მრა-
ვალურაწელი სოფლის მასწავლებელი თვითონ
უმუდარებოდა გაჯიურებულ მშობლებს ბავშვე-
ბის სკოლაში შეევანაზე, დღეს თვით მშობ-
ლები გამოდიან მომუდარეთა როდები, რომ
შვილები სკოლის გარედ არ დაურჩეთ.

წინად თქვენი ხშირად შეხვდებოდით სოფ-
ლის მოწავეებს მწევეტების როდებში, მახ-
ლობელ მინდვრებში მაშანაც-კი, როცა სკო-
ლაში სწავლა შიძლინარებდა. დღეს კი ამაბეს
არსად აქვს ადგილი; პირიქით, სოფლის მას-
წავლებელების თვით მშობლებიც ეხმარებან
ბავშვების დარიგებაში, რომ მათ გულმადგა-
ნეთ ისწავლონ.

ამ, ასეთია დღეს სწავლა-აღზრდის სურვი-
ლი იქაცევი, სადაც ხუთითდე წლის წინ წერა-

გათხვის მცდლნე გლეხს სანთლით გერ გამო-
ნისავდით რამთდენისამე სოფლებში.

მიუხედავად მატერიალური მდგრადი რეზისა,
დღეს უოველი სოფლები სამოვნებით იღებს
უოველგვარ წელის, თღონდ ის სწავლა-გა-
ნათლების საქმეს მომზადდეს.

ამის შემდეგ ცხადია, რომ ჩვენი სოფლის
საღსში მძლავრად გაღვივებულა განათლები-
სადმი სიმპატია, რომ ამ უკნასენების ცხო-
ველშეოველი სხივები ბლობად დაფრქვევია
მას და ამ სხივების ჩაქობა აწ მხოლოდ არა-
ჩვეულებრივ საერთო უბედურების შეუძლია და
ისაც დროებით.

ამის საბუთად ისიც კმარა, რომ უველა
წევები ასებულ სასწავლებებში სოფლები
მოსწავლეთა რცცხვი სჭარბობს.

უპრედის, ხალხის უოველ ასეთ ნაბიჯებს
რამე საფუძველი უდევს და ჩვენშიც ასე ცე-
ნისა — და დიდი გამოგვლევა არ დაგვიწირდება,
რომ ამ დიდებულ საქმეში ინიციატივისას
ძეველ მუშაკ — სოფლის მასწავლებლებს მიზა-
ნიდებთ, იმ სოფლის მასწავლებლებს, რომ-
ლებიც ლომებრ ებრძონენ სოფლად გამეფე-
ბულ ბნელ ბურუსს და რომელთაც გულის
სიღრმეში წვდებოდათ ხალხის ურვა-გასაჭი-
რო.

ამათი რცცხვი არც ისეოდ შცირეა, მათ
აფასებს და მომავალში უფრო დააფასებს ჩვე-
ნი საზოგადოება, მათი სახელი თქროს ასოე-
ბით ჩაწერება ჩვენი წინსელის ისტორიაში.

იმ საზოგადოებებში, სადაც მათ უხდებო-
დათ მოდეაწეობა, იმათი სახელი მარადის
შემდგარ იქნება.

აყვა კიდეც ხშირად გაიგებთ სოფლებში

ასეთ მოღვაწეების ქება-ხორბით ხსენებას. თქვენ სამოგნებით შენიშნავთ, რომ მათზე ამბის მთხოვბელი დიდი საჭირით ამბობს და თანაც ცდილობს გაამრავალუერთვნოს მათი მოღვაწეობა. არ შეიძლება ბოლოს არ დაუმატონ: „ჩვენ მაშინ არ გვესმოდა მისი გულის ნადები; თურმე ჩვენთვის ზრუნავდა“-თ და ხსევ.

დიახ, მაღლიერი საჭირი მათ არ დაივიწევებს და ეს კი ძვირფასი ძეგლია,—სანატორიუმი ურგელი შემსყისათვის; ეს უბრალი ძეგლი უძირფასესია დიდ ქალაქის შეაგულ აღმართულ დიოთნის ან მარმარილოს ძეგლზე!

დღეს მხოლოდ ასეთი ძეგლის აგება ძალუძს ჩვენი სოფლის საჭირის და ახლოა ის დროც, როცა ჩვენ სოფლის მუშა-მასწავლებლის ბევრად უკეთეს მომავალს გინილავთ.

ეს ითქმის ძეგლი დაუდალავი სოფლის მასწავლებლებზე, რომელთაც დაშეშავებული ნიადაგი დაუტოვეს და დაუზიადეს დღევანდელ მასწავლებლებს შემდეგი მოღვაწეობისათვის, მაგრამ, როგორც-გა ჩამოგარდება ლაპარაკი დღევანდელ სოფლის მასწავლებლებზე ან პრესასა ან საზოგადოებაში, მათ წინააღმდეგ მიმართულ საუედურს გაიგებთ. სამწუხაოდ ასეთ საუედურს ბევრი ანგარიშს გერ უწევს და ის თითქს გულდაწევებით გაიძახს: სატრანი მოღვაწენაა, რომ უწანდელ სამაგალითო მასწავლებელთა ადგილზე ასეთი უდირსი მასწავლებელი აღმოცენდნენ. ეს, როც გორც ბევრჯელ აღინიშნა, დიდი დანაშაულობაა, რადგანაც ამ საერთო გამოქვემდი ბევრი არამერიკალური და ლირსეული მუშაკთა სახელიც უბრალო იძლალება. ჩვენ ვერც დღეს ვიტუვით, რომ მასწავლებელთა მოღვაწეობა საზოგადოებისათვის უნაუთვა. ეს კია, რომ მათ საქმარდ რთულ და ძნელ შროშის შესაფერი ნაუთვი არ მოაქვს, რაც ისევ მათი და რამოდენიმედ საზოგადოების ბრალია. სანამ მათ შროში მტკიცებულება კამაგდება,

მათში ზოგიერთა საურადღებო გამოქახილი უურადღების ჯურლმულში შთაინთქება და ასე კი, როგორც ეს ახლა ხდება, მათი შროშა, რაც უნდ გაასევებული იყოს, შესაფერ ნაუთვის ვერ მიირანს. ამაზე, სამწუხაოდ მათ დღემდის მათივე რიცხვის აუარებლობამდე გადიდებამაც ვერ მიუთითა. შეიძლება ეს იმითაც აგხსნათ, რომ მათი ცხოვრების „შავი სანა“ ჯერ კიდევ არ გადასულა, რომ „მათგან დამოგადებული მიზეზები“ ხშირად ელობებოდენ წინ; მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ უკედა ამაებს მალე მოეღება ბოლო. აკი კიდეც მოგვევლინა წელს შირველ მერცხლად რამოდენიმე ათეულ სოფლის მასწავლებლთა ხმა, რომელიც პროცესტში გამოიხარისება. უკეტესია, ისინი უფრო მეტ ენერგიას გამოიხეხენ და როცა მათ უქან ჩვენი საზოგადოებაც ამოუღება, მაშინ დაიწევება ჩვენი სოფლის მასწავლებელთა მოღვაწეობის ახალი შერიცდი. ამისათვის კვლავ ნიადაგია საჭირო და არც ჩვენი ახალგაზრდა მუშა-მასწავლებლებს სძინავთ. ისინი, გარდა იმისა, რომ თითქმის სოფლის უკედა საზოგადო დაწესებულებებს სათავეში უდგანან, თავიანთი პირდაპირი გზითაც იმსახურებენ საზოგადოების თანაგრძნებას-ცეკვარულს და აი, სწორედ ესენი უნდა ჩავთვალოთ მათ შროში მოწინავე ელემენტებად. ესეთების რიცხვი ერთობ დოდია და ისინი დინსეულად განაგრძობენ თავიანთ წინაპირთა საქმეებს, საზოგადოებასთან დაასლოვებას. შრავალთაგან ერთ მცირე მაგალითს მოიგვან, რომ სოფლის სხვა მასწავლებლებმა მიიღონ ეს მსედველობაში.

ერთ სოფელში, სადაც ჩემი ცხოვრების უზეტესი დრო გამიტარებია, ახალგაზრდა მასწავლებელი გაღმოიყვანეს. გაცნობის შემდეგ, შემთხვევით მას რამდენიმე თვით დაფშრობი. არათელ თვის უქან კვლავ შემიხვდა ამ სოფელში დაბრუნება. შირველი საუბარი, რომელიც აქ ჩამოგდეს ნაცნობებმა, იურ

აქაური შასწავლებლის შესახებ. იმდენი ითქვა აქ მის სასარგებლოდ, რომ საწყენადაც დაშინოს მთკლე ფარით ჩამოსვლა. მეორე დღე კვირა იყო და ჩეკელებრიგად ეპლესიისაკენ წაგედი — წირვის დასასწრებლად. რომ მივედი, წირვის დაწეების დრო იყო, ეპლესიის კარებიც და იყო, მაგრამ შიგ მზედელ-დაკვნის გარდა ჯერ არვინ შესულიყო.

უკეთას თვალური იქვე ასლოს, ბალნარებობი მდგარ სკოლისკენ იყო მიპურაბილი, სადაც ზემოდებსენტებულ ახალგაზრდა მასწავლებელი მრავალრიცხოვან მოსწავლეებს აწერდა. ბოლოს ის მათ, — მწკრივ-რიგ-რიგ დაწერდილო, წინ წამოუძვა და ეპლესიისკენ გას შეუმართა. სულიად ჩატარებული მას ხშირად კითხვით მიმართავდნ და ისიც დიმით მიუგებდა. რას მოგრიახლოედა, მან უკეთას თავაზიანად თავი დაგვიგრა და თავისი ცქრიალა ჩიტუნიებით ეკლესიაში შევიდა. მას შევევით დანარჩენებიც. მოსწავლეები დაწერებულ მის დაუხმარებლადაც, ხოლო თვითონ თხეთმეტი მოწაფითურთ დაკვანთან დადგა. მე გერც-კა წარმომედგინა თუ ეს უკანასკნელი მგალობელია გუნდი იყო. წირვის დროს ამ პატიათა გუნდმა მწერალ შეასრულა უკეთას საეკლესიო საგალობლები. ბევრ გაცილებით უფრო მომზადებულ გუნდის გაღობას დაჭრებივარ, მაგრამ, უხდა გამოვტევდე, ასიად არ განმიცდია ისეთი ესთეტიკური სიტყბოება, როგორც აქ.

განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდენ ეს მგალობლები სოფლის დამსწრე საზოგადოებაზე. უნდა გენახათ, რა გახარებული შეჰქერებდენ მათ მშობლები. ან ვის

არ ესიამოვნებოდა დანარჩენების შეხედვაც? წარმოიდგინეთ ახლა მათი მშობლების სიხარული-შთაბეჭდილება!

ეპლესიაში ხშირად გაისმოდა: „იკურთხოს თქები მშობელი“, „გაიზარდეთ სასახელოდ“ და სხ.

აქიდან ცხადია, ამ ერთი შეხედვით უმნაშვნელო საქმეს რა პატივისცემა მოუპოვა ხსენებულ მასწავლებლისათვის, რომლის ეპლებიაში შესვლამდის უკეთა გარედ იცდილა.

ნაწირვებს მასწავლებლებმა მითხოვა: სანამ ამ პატარათა გუნდი არ გალობდა, წირვას დღეგანდელზე მეოთხედი ხალხი არ ესწრებოდათ.

ამ პატიათან ადამიანის თავისი შრომით და საზოგადოების მხერვალე დახმარებით მთლად გარდაუქმნია, გაუკეთებულებია თვისი სკოლა. მაღლიერი საზოგადოება უფლები მის მოთხოვნილებას უმაღ ასრულებს და გერმენია სკოლას მის ხელში კარგი მომავალი უდევს წინ.

ასეთი ჩუმი მუშავი სოფლის მასწავლებლებში არა ერთი და ორია. უმწეველია ამათ მაგალითებს სხვებიც მიბაძენ.

ბევრს ასე ჰგრძნა, საზოგადოების სამსახური ციდან იწუებათ და უიმედობას ეძლევიან, რა რომ ხალხის სიმპატიას გერ დამისახურებენ. ისინი უკეთესია ასეთებს მიბაძენ. მე ამ პატიათან მუშავის მოდგაწერების მხოლოდ პატარა მხარეს შევეხე და თუ შემთხვევა მოშეცრა, უფრო ვრცლად გავაცნობ შეკითხებებს მის მოდგაწერებას; დევ, უმელო იცოდეს, რომ ახლაც გმირებს სამაგალითო მოღვაწები სოფლების საკეთილდღეოდ.

არ. ფანცულაია.



შინაური მიმოხილვა

დედა ენის სწავლება სახალხო სკოლებში

ჩვენი სკოლების საზოგადო უკულმარს თი მიმართულება მარტო რუსული ენის უხეიროდ სწავლებაში კი არ გამოიხატება, როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ ტფილისის ქალაქის სკოლების შესახებ, არამედ იმაშიაც, რომ დედა-ენას, ამ ერთად ერთს ბურჯს ეროვნებისას, რომელიც შეაღენს ერის სულიერ სიმდიდრეს და სალი აღზრდის საუკეთესო იარაღს, ბევრგან აბუჩად იგდებენ და ზოგან სრულიად აძევებენ სკოლებიდან. ამზე უარესი დამცირება, ერის საუნჯის გათელვა, წმიდათა-წმიდის შებლალვა და სალი პედაგოგიური მოსახრებისადმი დაცინვა შეუძლებელია.

გაზეთი „ახალი ივერია“ (№ 18) გადმოგვცემს, რომ „ნაორალევის მაღალ—პირველ-დაწყებითს სასწავლებელში ქართულს ენას სრულიად არა აქვს აღიიღი და რაც შეეხება ფრანგულ-ლათინურ-ნებეცურს მათი შესასწავლად თითო მოწაფეს 10—12 მანეთს ახდევინებენ, საცოდავ ქართულს ენას ასეთი ბედიც ვერ ღირსებია: მათ სასყიდლითაც აღარ ასწალიან მოწაფებსო“. ამამართულებელი და მათი უკულმარილი უძლები, ხელქვეთი მასწავლებლები, რათა ასიამოვნონ მათს მომვლინებლებს და ბავშვებისა და საზოგადოების ინტერესები მსვევრპლად შესწირონ ბნელს ძალებს. ღირსეული და პატიოსანი მასწავლებელი არამარტო თუ დაგმობდა უდედაენო სკოლას, არამედ თუ პედაგოგიურს ატმოსფერას ვერ შეჰქმნიდა სკოლაში, მაშინვე განშორდებოდა იმ არემარეს და სულის ჯალიათის როლს მაინც არ იკისრებდა. მაგრამ აღამიანი თურმე უველაფერს ეგუება და ნაორალევის სკოლის მასწავლებლებიც შეუებიან ამგვარს სამარცხვინოსა და საზარელს მოვლენას. მერე ვინ არის ნაორალევის სკოლის ისპექტორი? გადამთიერი ვინმეა, თუ ჩვენებური კაცი? ვიღაც ლაბარტყავა ყოფილა, რომელმაც ბევრიც რომ ეცადოს მეჯღანუაშვილსავით მისი გვარის ძირი მაინც უცვლელი რჩება და სამწუხაროდ ეს ძირიც ქართველობას ღალადებს.

იმართლონ ამ სკოლის მასწავლებლებმა? ნუ თუ ამ უკულმართს მოვლენას რაიმე გასამართლებელი საბუთი ექნება! ნუ თუ ნაორალევის სკოლის მასწავლებლები ვერ გრძნობენ, რომ მათი უნაყოფო შრომა არამარტო თუ წყლის ნაყვაა, არამედ მეტად მავნებელიც არის და ასეთს ანორმალურ მოვლენასთან შერიგება შეუწყნარებელია! უმაღლეს დასაწყის სკოლებში დედა-ენის სწავლება ახლანდელი კანონის მიერაც—შეწყნარებულია, მხოლოდ არავითარ კანონს, რომელიც-კი ოდნავად მაინც იცავს პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არ დაგიღევენ ზოგიერთი ბიუროკრატი მოხელეები და მათი უკუმოჭრილი ყმები, ხელქვეთი მასწავლებლები, რათა ასიამოვნონ მათს მომვლინებლებს და ბავშვებისა და საზოგადოების ინტერესები მსვევრპლად შესწირონ ბნელს ძალებს. ღირსეული და პატიოსანი მასწავლებელი არამარტო თუ დაგმობდა უდედაენო სკოლას, არამედ თუ პედაგოგიურს ატმოსფერას ვერ შეჰქმნიდა სკოლაში, მაშინვე განშორდებოდა იმ არემარეს და სულის ჯალიათის როლს მაინც არ იკისრებდა. მაგრამ აღამიანი თურმე უველაფერს ეგუება და ნაორალევის სკოლის მასწავლებლებიც შეუებიან ამგვარს სამარცხვინოსა და საზარელს მოვლენას. მერე ვინ არის ნაორალევის სკოლის ისპექტორი? გადამთიერი ვინმეა, თუ ჩვენებური კაცი? ვიღაც ლაბარტყავა ყოფილა, რომელმაც ბევრიც რომ ეცადოს მეჯღანუაშვილსავით მისი გვარის ძირი მაინც უცვლელი რჩება და სამწუხაროდ ეს ძირიც ქართველობას ღალადებს.

საერთოდ სამეცნიელოს სკოლებში რომ ბევრგან ქართული ენა ღიძს განსაცდელ-შია, ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ არის ისეთი სკოლებიც, სადაც შეგნებული მასწავლებლობა დედა-ენას დარაჯად უდგას და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ამ ენას სათანადო ადგილი მისცეს სკოლაში. ეს მასწავლებლები პირად სიამოვნებას იქ ხედვენ, სადაც საქმე წესიერად მიმდინარეობს და არა უფროსის სიამოვნებაში. მაგრამ ვიტყვით იმასაც, რომ ასეთი მასწავლებლები ჯერ არავის დაუთხოვია სამსახურიდან და თუ ვისმე საყვედური მიუღია დედა-ენის სწავლებისათვის, ესეც მხოლოდ იმათი წყალობით, ვინც დედა-ენას აბუჩად იგდებს და ამით ცდილობს თავისი უფროსის ყურადღება და მაღლობა დაიმსახუროს. მაგრამ შეგნებული საზოგადოება და მასწავლებლები უკაველია ანგარიშს გაუწევენ ერის გადაგვარების მოტრფიალე მასწავლებლებს და საკარისს ჯილდოს მიუძღვნიან.

იგივე გაზეთი „ახალი ივერია“ გვაცნობებს, რომ ზესტაფონის ორკლასიან ნორმალურს სასწავლებელს ამ დღეებში მოუვიდა ბრძანება მეორე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორის ბ. კირეევისაგან, რომლის ძალითაც ქართული გაუქმდებულია ამ სასწავლებელში, იგი იქნება მხოლოდ როგორც საგანი და ისე კი საგნების სწავლება ქართულად ყოველ კლასში, დაწყებული პირველი განყოფილებიდან, აკრძალულია.

როგორც სჩანს ბ-ნმა კირეევმა ერთი კალმის მოსმით მოსპო უმაღლესი მთავრობის მიერ დამტკიცებული 81 წლის კანონი, რომლის ძალითაც დაბალს განყოფილებებში სწავლება დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს და ეს სწორედ იმ დროს, როცა მშობელი ბრძოლის ველზე სისხლ-

სა ღვრის და მის შვილს პირველ წელი წადასუ-კი უკრძალავენ სკოლაში დედა-ენაზე სწავლას. ნუ თუ ამით ჰუიქრობს ბ-ნი კირეევი, რომ დამყარდება სხვა და სხვა ერთა შორის თანასწორობა, მმობა, ერთობა და სიყვარული. ასეთი საქციელი ამ უამად ბ-ნის კირეევისა არ შეიძლება გამართლებული იქმნას არც პედაგოგიურის და არც პოლიტიკურის მოსაზრებით. იგი ყოველის მხრივ შეუწყნარებელია და გასაოცარი! რა კოლნა უნდა ჰქონდეს ზესტაფონელ ბავშვს, რომ მან პირველ წელიწადსვე შესძლოს უცხო ენაზე სწავლის მიღება? სრულიად არავითარი. პირი იქით, ასეთი მოთხოვნილება ბავშვის გონების გამოთაყვანებას და არა ნორმალურ განვითარებას უწყობს, ხელს. მაგრამ რა უნდა იქმნას იქ, სადაც უბრალო დაბალი ხარისხის მოხელეები თავისებური კანონებით ხელმძღვანელობს. თუ დღემდის ზესტაფონის ორკლასიან სასწავლებელში 1881 წლის სასწავლო გეგმით ასწავლი-დენ, სჩანს უკანონობა ყოფილა?! მაგრამ ეს უკანონობა დღემდის არ უცვნიათ არც კირეევის წინა მოაღვილეებს და არც მათს უფროსებს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლაბის დირექტორებს, რომელთა შორის ზოგი 1881 წლის გეგმის დარღვევის გამო სამართალშიაც-კი ყოფილან მიუმულნი.

უფროსის უგვანო საქციელი ხშირად უმცროსზედაც მოქმედებს და თუ უფროსი ძალითა და უფლებითაც აღჭურვილია და უმცროსი ხასიათით სუსტი, მაშინ ეს ზემოქმედება და გავლენა უფრო ძლიერია. სახალხო განათლების ზოგიერთმა დაბალმა მოხელეებმა ისეთი ძლიერი გავლენა მოახდინეს დაბეჩავებულს ზოგ სახალხო მასწავლებელზე, რომ ამ უკანასკნელს ასე ჰგონია, თუ დედა-ენას სკოლაში არ ას-

წავლის, ამით საღვთო საქმეს ასრულებს, ზნეობრივი დაცემა და გადაგვარება ამაზე უარესი შეიძლება? ამ გარემოებამ შექმნა ჩვენში ერთგვარი ტიპი სახალხო მასწავლებლისა, რასაკვირველია, ბევრი გამონაკლისიც არის, მაგრამ გადაგვარებულ მასწავლებლთა რიცხვიც რომ საკმაოა დღესაც, ეს ყველასთვის აშკარა უნდა იყვეს. ასეთს ტიპს მასწავლებლისას საკუთარი აზრი არ აქვს, არც საკუთარი შეგნება სკოლის სიავეკარგისა, ზოგი ავი კარგად მიაჩნია, რადგანაც სწორედ ამ ავს უწონებენ და ისინიც არხეინად გაიძახიან: „ЧТО ГОВОРЯТ НАЧАЛЬСТВО ТО И ПЕДАГОГИЧНО-“. ამ სახით დედაენის გაძევება სკოლებიდან, უდედაენოთ სწავლება, თავიდანვე უცხო ენაზე ულურტული ამ ტიპის მასწავლებლს პედაგოგიურ რამედ მიაჩნია. თუნდაც რომ ასწავლიდეს კიდევ დედა-ენას, ამ საგანს იგი განსაკრთრებულ ყურადღებას არ მიაქცივს, ძალიან კარგად იცის, რომ ამ საგანში არავინ რევიზიას არ გაუწევს და თუნდ გაუწიოს და ცუდადაც ასწავლოს, არავინ საყვედურს არ ეტყვის, და ამიტომ დედა-ენა, ეს უმთავრესი და უსაჭიროესი საგანი, სხვა საგანთა შორის მეცამეტე გოჭად გამოჰყავს, უფრო მეტს აბეჯითებს ბავშვებს იმ საგნებში, რომლის ცოდნასაც ინსპექტორი დირექტორები მოითხოვნ. და ამნაირად საცოდვი დედა-ენა მაჩანჩალასავით ხდება.

ქვემოდ ვბეჭდავთ ერთს საყურადღებო წერილს „ქართული ენა გურიის სახალხო სკოლებში“, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „თემში“. ავტორი ამ წერილისა ადასტურებს იმ ფაქტს, რომელიც მას შეუნიშნავს საზოგადოთ გურიაში. ის აზრი, რაც წერილის ავტორს, თვითონ გურულს აქვს გატარებული თავის წერილ-

ში, რასაკვირველია, საზოგადო მოვლენას არ შეადგენს და ღმერთმაც ნუ ჰქმნას ეს ასე იყოს. საზოგადოთ გურული იმას არ იტყვის, რომ „მასწავლებელმა ბავშვს კარგად უნდა მისწავლოს რუსული ენა, ქართული ხომ ისედაც არ დაავიწყდებაო“. და თუ თითო-ორთოლა მახინჯი გონების ადამიანი საზოგადოებაში გამოერევა, ეს ხომ საყოველთაო მოვლენაა. მაგრამ ვსთქვათ თითო-ორთოლა კი არა მრავალი მახინჯი გამოდგა. სკოლა და მასწავლებელი რის მაქნისია, თუ განათლების დროშა მაღლა არ დაიჭირა და გზადაბნეულს სინათლისენ წინამდებრობა არ გაუწია, ან ისე ჩამოქვეითდა, რომ გზა დაბნეულთა და მახინჯთა აზრს გაპყვა! მაგრამ იმავე წერილში იღნიშნული ფაქტები თუ საზოგადოს არა, კერძო მოვლენებს მაინც შეადგენს და ამ კერძო მოვლენებს ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქართველ ხალხის ცხოვრებაში, როგორც გურიაში, ისე სხვაგანაც.

გაშასადამე ჩვენს სკოლებში დედა-ენის უსწავლელობას, ან სუსტად სწავლებას, რთვორუ მეტად მავნე მოვლენას, ეხლავე უნდა მიექცეს საზოგადოებისა და მასწავლებლების საერთო ყურადღება, რომ დამღუბელი მოვლენა ძირიან-ფესვიანად ამოფხვრილ იქმნას და ჩვენი სკოლებიც ნორმალურს კალაპოტში ჩაღეს. ამ მოვლენას თავდაპირველად მასწავლებლები უნდა შეებრძოლნენ. ბევრგან ჩვენში თვითონ მასწავლებლებმა ძლიერ სუსტად იკიან ქართული და მათ რამდენიც უნდა ეცადნენ, რაც არ იციან, სხვას ვერ ასწავლიან. აქ თუცილებლად საჭიროა თვითონ მასწავლებელმა შეიყვაროს ქართული, შეისწავლოს ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოები, სახელმძღვანელო

წიგნები და შემდეგ მოჰკიდოს ხელი სხვის სწავლებას.

შარშან გურიის სკოლების მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა გულახდილად აღიარა თავისი სისუსტე ქართულ ენაში, ქართული მწერლობის უკოდინრობა და მოინდომა თვით-განვითარების და განათლების წრის დაარსება, ქართველი მწერლების უკეთო საუკეთესო ნაწარმოების შეძენა, მათი წაკითხვა და გარჩევა. არ ვიცით ამ წრის მოქმედება რით დასრულდა, ან რა ნაყოფი გამოიღო, მაგრამ უტყუარი ფაქტი ის არის, რომ ბევრი მასწავლებელი თავისს სისუსტეს ქართულში თვითონა ჰქონდნებს და, თუ გული გულობს, ამ ნაკლის თავიდან მოშორება ყველას შეუძლიან. საჭიროა ასეთი თვით-განვითარების წრე მოწყოს ყოველგან სოფლად, სადაც რავდენსამე მასწავლებელს

მოუყრია თავი. თუ დღემდის სახალხო მასწავლებლებს საერთო კავშირის დამყარება ვერ მოუხერხებიათ, ის მაინც ხომ ძლიერ ადვილი საქმეა, რომ ერთ დაბაში და მახლობელ სოფლებში მყოფ მასწავლებლებმა ერთობა დაიჭირონ ერთმანეთში, დაარსონ მჭიდრო კავშირი და შეერთებულის ძალლონით შეუდგნენ თვით განვითარების გზასა და ქართული ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლას. ვიმეორებ, რომ ეს საქმე ძნელი არ არის და დარწმუნებული ვარ, მასწავლებლებში გამოჩეულიან ისეთნი, რომელნიც თავისი პირადის გავლენით ითავებენ და დაარსებენ ისეთს წრეს, რომელსაც მიზნად ექნება დასახული ჩვენი მშობლიური მწერლობის, დედა-ენისა და ქართველ საუკეთესო მწერალთა ნაწარმოების საფუძვლიანად შესწავლა.

ქართული ენა გურიის სახალხო სკოლებში

ნეტავი როდის შეიძლება სთქვას ქართველმა: ლევიცკი მოკვდა და მასთან ერთად მუნჯურ მეთოდსაც აღსასრული დაუდგავო!.. ვიცით მხოლოდ, ერთხელ უკვე განიდევნა მისი მეთოდი საქართველოს სკოლებიდან, მაგრამ დრო ცვალებადია: ისევ დაუბრუნდენ მას.

განსაკუთრებით დიდ ხანს ბატონიშვილი მეთოდი დასავლეთ საქართველოს სკოლებში. კერძოდ გურიაში ამ მეთოდს დიდი სარბიელი ჰქონდა.

„მასწავლებელმა ბავშვს ქარგად უნდა მისწავლოს რუსული ენა, ქართული ხომ

ისედაც არ დავიწყდებავო“ — ეს შეხედულება, გურიაში გავრცელებულია; ასე ფიქრობს გურული მცხოვრები და ამ შეხედულებას ადასტურებს მრავალი სახალხო მასწავლებელიც, რომელნიც „რევიზიის“ შიშით ქართული ენის გაკვეთის ლებს თანდათან ამცირებენ და ბოლოს იქმდიც კი მიღიან, რომ პირველი სასწავლო წლის ენკენისთვიდან; წინამდებ 1881 წლის სასწავლო გეგმისა, ლექსიური განყოფილებისა და რუსული „გრამოტის“ შემოღებით ცდილობენ თავიანთ მომავლინებელთა გულის მოგებას.

ერთმა შემთხვევამ, რომელსაც ჰქონდა ადგილი წელს ოზურგეთის სას. სასწავლებელში მისალებ გამოცდების დროს, ნათლად დაგვანახვა, თუ რა პირობაშია ქართული ენის სწავლების საქმე გურიის სახალხო სკოლებში.

გურიის სახალხო სკოლების მასწავლებლთა კონტინგენტს ქალაქის და სასულიერო სასწავლებელებში სწავლადამთავრებული ავსებენ. აქამდის გურიის მდაბიო ხალხი სასულიერო სასწავლებელს არ ეტანებოდა, რადგან მეტად წოდებრივი ხასიათის ღაწესებულებად მიაჩნდა ის, დღეს კი სხვას ვხედავთ. მას ხალხი უკვე ეტანება, რადგან ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი ექვს-კლასიან პროგიმნაზიად უნდა გადაკეთდეს ამ მოკლე ხანში. ამას გარდა სწავლის ფული სრულიად მოსცეს და თან სწავლების საქმეშიაც არსებითი ცვლილება მოახდინეს. წლეულს ბევრი მსურველი იყო ამ სასწავლებელში შესვლისა. მარტო პირველ კლასში 44 მთხოვნელი იყო, რომელთა-გან მიიღეს მხოლოდ 8.

გამომცდელ კომისიის ქართველმა წევრებმა ერთხმად აღნიშნეს: „დიდი უმრავლესობა მთხოვნელებისა ჩაიჭრა ქართულ ენაში“. აქამდის არსად არ თხოულობდნენ, გარდა სათავადაზნაურო გომნაზიებისა, ქართულ ენის ცოდნას მისალებ გამოცდის დროს. ამ გარემოებამ ნათლად გამოაშუარავა ქართული ენის სწავლების მდგომარეობა გურიის სახალხო სკოლებში, რადგან მთხოვნელთა უმრავლესობა სახალხო სკოლების მოწაფეები იყო. სჩანს ლევიცკის მეთოდს მაგრად მოუკიდია ფეხი გურიის სახალხო სკოლებში. ქართულ სკოლების ისტორია სავსეა მრავალმნიშვნელოვანი ეპიზოდებით ლევიცკის მუნჯური მეთოდის ბატონობის

დროიდან. ერთს ასეთს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ხვარბეთის სკოლაში 1897 წელს.

პირველ განყოფილებაში მაშინდელს მასწავლებელს თანახმად მაშინდელ წესებისა, არც ერთი სიტყვა არ წამოსცდებოდა ხოლმე ქართულად. ერთს იტორიულ დღეს მან მოინდომა საღვთო სჯულის ისტორიიდან უკნობ რუსული სიტყვის ახსნა. ქართულად მან სიტყვა არ გადათარგმნა, რუსულად კი მოწაფეებმა ვერაფერი გაიგეს. მასწავლებელმა სათითაოდ სუჟყველის ჰკითხა და შემდეგ დაიწყო თითოეული მოწაფის „გაპარტყუნება“ — თითქო ასეთი ზომა საქმეს ოდნავ მაინც უშველიდა. თითონ რომ დაიღალა, სთხოვა პირველ მოწაფეს, რომ მას განეგრძო შეუსმენელ მოწაფეების „გაპერტყვა“. მაგრამ სიტყვა მაინც გაუგებარი დარჩა. ის ძლიერ გაუჯავრდა ერთ მოწაფეს, რომელსაც ყურიც კი აუწია. წამოვიდა სისხლი, შერქნა ჩოჩქოლი. მასწავლებელმა მოწაფე თახამი გაიყვანა, შეუხვია ყური და მხოლოდ ასეთი ექსპერიმენტის შემდეგ იძულებული გახდა ეთქვა: „გეტშემით ამ სიტყვას ქართულად. მხოლოდ არავის კი არ უთხრათ, რადგან ამის ნება მე არ მაქვსო.“

ჩვენ განვებ აღნიშნეთ ეს ეპიზოდი ხვარბეთის სკოლის ცხოვრებიდან, რადგან ეხლანდელი ზედამხედველი ამ სკოლისა ბ. ჯ-ძე სწორედ 1897 წლის თავის კოლეგის გზას აღგია და პირველ განყოფილების მოწაფეებთან მესამე დღიდანვე ლექსიურ განყოფილებას გადის, ამას გარდა მისი ზედამხედველობის დროს 1913/14 სასწავლო წელში პირველ განოფილების მოწაფეებს წლის ბოლოს საეჭამენო შრომაც კი დაწერინეს, საიდანაც ცხადადა სჩანს, რომ პირველ გა-

ნუოფილებაში ეგრედ წოდებული რუსული „გრამოტა“ გაუვლიათ, როდესაც, თანამდებობა 1881 წლის სასწავლო გეგმისა, ეს საგანი სავალდებულოა მხოლოდ მეორე წლის პირველ ენკენისთვიდან.

გურიის მეორე სახალხო მასწავლებელი, შემოქმედის სკოლის ზედამხედველი ბ-ნი წაქაძე „ბატუმსკია ვესტის“ ფურცლებზე ქებათა-ქებას ასხამდა ქართულ სკოლების სულთამხუთავს ბ-ნ ტერგასპარიანცს.

ასეთ მაგალითებს ბევრს მოვიყვანდით, მაგრამ საქმე სიმრავლეში ხომ არაა, საქმე იმ ფსიხიურ ატოსფერაშია, რომელიც გამეფებულია, როგორც გურიის სახალხო მასწავლებელთა წრეში, ისე თვით გურულ ხალხში. მათ არა სურთ სავსებით წარმოიდგინონ ის ტრაგიკული მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდნილია სამშობლო ენის სწავლების საქმე ჩვენში.

გურული ხალხი მოითხოვს მასწავლებელისაგან, რომ ის უპირველეს ყოვლისა ჩაბმული უნდა იყოს საზოგოდო საქმეებში, ხალხს უნდა დაუხალოვდეს მის ჭირსა და ვარამში, ასეთი მოთხოვნილება გურული ხალხის სწორ-ალლოიანობას მოასწავებს. ინტელიგენციის საზოგადოებრივი ღირებულება, სჩანს, კარგად ესმის მას, მაგრამ ხშირად ასეთი შეხედულება მრავალგვარ უწნაურობის და უსამართლობის მიზეზაა დაც ხდება. ვსთქვათ: მასწავლებელი მეტად საზოგადოებრივი კაცია. მოხდა რევიზია, მასწავლებელს მოუწონეს ნამუშევარი. ამის შემდეგ მას უკვე ყოველ მხრით გამაგრებული აქვს ნიადავი. მან ორივე მხარე ასიამოვნა. ასეთ მასწავლებელს გურიაში უთურდ „ჩინებულის“ სახელი გაუვარდება. ხალხთან და

მთავრობასთანაც კარგად არის და მეტი რა უნდა!

როგორც ვიცით, რევიზორის მიერ მოწონება უდრის იმას, რომ ბავშვმა რუსულში კითხვებზე კარგად მიუგო პასუხი. მორჩა და გათავდა. ამის იქით რევიზორის ყურადღება არ მიდის და, რომ ეს ასეა, ამას ჰმოწმობს ერთი გამოცდილი სახალხო მასწავლებლის განცხადება: ჩვენ რევიზიისათვის ვამზადებთ ბავშვებს, რევიზორს კი რუსული ენა აინტერესებსო.

შეიძლება მოხდეს აგრეთვე, რომ ხალხი აუხირდა მასწავლებელს და მისი გადაყვანა მოითხოვა. აქ უკველად საზოგადოებრივობას უწუნებენ მას და თან სარგებლობენ რევიზიის ოფიციალური დასკვნით მისი უვარებისობის შესახებ.

გურიის ერთ-ერთ სოფელში მასწავლებლის თავიდან მოშორება სურდათ. მოხდა სასოფლო ყრილობა. ბევრი ილაპარაკეს. აღნიშნეს მასწავლებლის მიერ საზოგადოების აბუჩად აგდება, ფულების გაფლანვა, მხოლოდ კრინტი არ დასძრეს სასწავლო მხარეზე. როდესაც ერთმა ინტელიგენციმა შენიშნა: მაგ მასწავლებელს სამუსწავლო მხარეც არ უვარგაო და დასახელა მშობლიური ენის სრულიად განდევნა სკოლიდან, ხალხში გაისახა: „ეს ჩვენ არ შეგვეხბა, ეს რევიზიის საქმეა“. როგორც ვხედავთ, რევიზიის და ხალხის შეხედულება მასწავლებელზე შრავალ შემთხვევაში ერთი და იგივეა. რევიზიის დასკვნა აქმაყოფილებს ხალხის მიერ მასწავლებლებისადმი წამოყენებულ მოთხოვნილებას. წინააღმდეგობა მათ შორის მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც მასწავლებელს საზოგადოებრივობას უწუნებენ. ხოლო თუ რევიზიის—მიერ დაწუნებული მასწავლებელი ამავე დროს არა საზოგადოებრივი აღამიანიცაა, მაშინ მას ვერა-

ფერი ველარ შეაჩერებს ადგილზე და სამ-
სახურიდან გასვლა მოელის.

გურულების ასეთი გულგრილობა ეროვ-
ნულ საკითხებისაღმი შეიძლება მრავალ
საყურადღებო შენიშვნების ლირსიც იყოს,

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერე-
სებდა მხოლოდ ის, თუ ეს გულგრილობა
რამდენად გამოიხატა ქართული ენის სწავ-
ლების საქმეში. („თემი“)

დ. ა—ძე.

მცირე შენიშვნა

პ-ნი „ტიტო“ გაზეთ „თემ“-ში (№ 192) რიხიანად ბრძანებს:

„სთვლის ვითომდა ჰატრანად, ვითომდა მარილად
ითვლებიან მდვდელი და მასწავლებელი, მაგრამ არც
ერთი და არც მეორე თავის დად დნიშნულებას პირნათ-
ლალ არ ასრულებს, საქვეუნო საქმე, ხალხის ზნეობრივ-
ქონებრივი ამაღლება არაფრად მიაჩნიათ. თავის სიცოც-
ხლის მიზნად მხთლიდ პირადი სარგებლობა და სიამოვ-
ნება დაუსახავთ და ამისთვის არაუთარ საშუალებას არ
ერიდებიან!..“

საკვირველებაა ღმერთმანი! ღილი თუ
ჰარარა, საქმიანი თუ უსაქმური—დღეს
ყველა უკიუინებს სახალხო მასწავლებელს:
შენ ეროვნულად გარკვეული ფიზიონო-
მია ალარ გაქვს, ისიც დაკარგე, რაც გქონ-
და, პოლიტიკურად დასწავლებული დას-
წავლდი ზნეობრივად და გონებრივადაც,
ღალატობს ხალხს და მოვალეობასო.

თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ
ასეთს ბრალდებას სახალხო სასწავლებლის
მიმართ წამოისვრის მხოლოდ ის, ვინც
თვითონ არაფრეს აკეთებს, ვინც სრუ-
ლიად არ იცნობს სახალხო მასწავლებლის
მდგომარეობას, შრომას, აზრისა და სუ-
ლის კვეთებს, ვინც ყოველ საქმეს მხო-
ლოდ დაავადებული ფანტაზიის ჰაერში
აშენებს და პ-ნ „ტიტო“-სავით უაზროდ
გაიძახის „უიმედობაშ და ცხოვრების უა-
ზრობაშ (?!“) დასერა ჩემი გული“-ო. თუ
ადამიანი ღრმად ჩაკვირვებია ჩვენი ერის

ბედ-ილბალს და ცხოვრებას სახალხო მას-
წავლებელს ასე არ შეხედავს.

რა არის დღევანდელი ჩვენი სახალხო
მასწავლებელი?

უუფლებო-უპიროვნო არსება, რომე-
ლიც დღე-ლამეს ატარებს მძიმე შრომაში;
თან სიმშილით კვდება, სიცივით სხეული
უუფლება, სხვა და სხვა კულტურულ
დაწესებულებებს დაშორებით გონება ერთს
წერტილზე გაყინვია და მაინც ხმა ვერ
ამოულია: მიხედვით ჩემს მდგომარეობას,
ვშრომობ, სისხლს ვიშრობ და პური მო-
მეცით, ადამიანის ლირსებაუფლება და-
მიბრუნეთო!

ოცნების მოტივიალე ადამიანი, ვიცი,
წამოიძახებს—„იბრძოლონ და მოიპონო!“

თქმა ადვილია.

როდესაც მთელი ორგანიზმი დაავადე-
ბულია—მისი შემადგენელი ნაწილებიც
უძლურია. ვიდრე ქართველი ერის დღე-

ვანდელს მის მდგომარეობას და უბედობას თავს არ დააღწევს, არა სასურველ მდგომარეობაში იქნებიან სკოლაცა და მასწავლებელიც, ეკლესიაცა და მღვდელი...

მუხედვებად ამისა ჩეენი სახალხო მასწავლებელთა უმრევლესობას თავისი დიალი მოვალეობისთვის არ უღლატნია. გაახილოს თვალი ბ-ნმა „ტიტო“-მ და დაინახავს ბევრს სახალხო მასწავლებელს მხნედ მომუშავეს სკოლაში და მის გარეთაც: კოოპერატიულ დაწესებულებებში, პრესაში, ხალხში და სხვაგან... აშკარაა— ჩეენს სახალხო მასწავლებელს თავისი წმინდა დროშა ჯერ ძირს არ დაუწევია; ის, თუმცა მძიმედ, მაგრამ მაინც მხნედ ეწევა მას მაღლა და შორს არ არის ის

ღრრო, რიადესაც თავისუფლად ააფრიალებს მას...

უბრალო შეგნება მოითხოვს სხვის (მით უმეტეს სხვების) შრომა აღამიანმა ასწონის და დააფასოს არა თავისი პირადი განცდა-შეგეღულებით, არამედ საზოგადო თვალსაზრისით, რომელსაც თან უნდა ახლდეს საქმის ღრმად ცოდნა და გავება.

და არ გაუკვირდეს ბ-ნ „ტიტოს“-ს, თუ მისი სიტყვები (?) სახალხო მასწავლებლის შესახებ მოვაგონებს კრილოვის ერთს „გმირს“, რომელმაც ძვირფასისა და ფრიად სასარგებლო საგნის შესახებ თავის უვიკობის გამო ბრძანა—

„... კუდა ინი?

Какая вещь пустая!“

გ. ა—ნი.

უცხოეთი

რამდენი ეძლევათ მასწავლებლებს მეომარ სახელმწიფოებში

საყურადღებო ცნობებს გაღმოგვცემს უურნალი „Har. ყცით.“-ი მის შესახებ, თუ როგორ ფასდება მასწავლებელთა შრომია დღევანდელ მეგრძოლ სახელმწიფოებში:

1. გერმანია.

უმთავრეს სახელმწიფოებში ეძლევათ ჯამაგირი წლოვანობის შესაფერისად; მოყვნილ ჯამებში არ შედის არც დამატებითი ჯამაგირი და არც ბინის ფული. ჯამები მოყვანილია მარკებით (ერთი მარკა უდრის=46, 25 კაპიკს).

21 წლის ილებს 1000—1120-მდე მარკას, 25 წ.—1100—1400-მდე, 30 წ.—1600—1700-მდე, 35 წ.=2000—2100-მდე, 40 წ.=2350—2500-მდე, 50 წ.—

3200—3300-მდე, 60 წ.=3200—3300-მდე. როგორც ხედავთ საშუალო რიცხვით გერმანიის სახელმწიფოებში ეძლევა მასწავლებელს 500—1500 მანეთამდე დამატებითი და ბინის ფულებს გარდა.

2. ინგლისი.

აქ არ არსებობს საზოგადო გადაკვეთილი ჯამაგირი; სკოლის მთავრობას აქვს დადგენილი თითოეული ქალაქისათვის საკუთარი ჯამაგირი. „მასწავლებელთა ნაციონალურმა კავშირმა“ შემოიღო ჯამაგირების შემდეგი ნორმები, თუმცა ჯერ კიდევ ვერ გაახერხა ყველგან ასეთი ნორმების გატარება:

სკოლის გამკე მასწავლებელს 1387 კ. 50 კ. მასწავლებელ ქალს 1110 მან.

მასწავლებელთა თანაშემწევებს პროფინ-
ციებში 832 მან. 50 კ.—1665 მანეთამ-
დე და ორჯერ ყოველწლიური დამატება
92 მან. 50 კ.; თანაშემწე ქალებს 740—
1340 მანეთამდე, შვიდჯერ ყოველწლიუ-
რი დამატება 46 მან. 25 კ. და სამჯერ
92 მან. 50 კ.

მასწავლებელთა თანაშემწევებს სატახტო
ქალაქებში:—925—1850 მანეთამდე; ორ-
ჯერ დამატება 46 მან. 25 კ. და ცხრა-
ჯერ ყოველწლიური 92 მან. 50 კ., თა-
ნაშემწე ქალებს—832 გ. 50 კ. 1618 გ.
75 კ.-მდე, ყოველწლიური დამატება
შვიდჯერ 46 გ. 25 კ. და ხუთჯერ 92 გ.
50 კაპ.

3. ავსტრია.

ავსტრიის თითოეულ სახელმწიფოს აქვს
სეიმის შიერ დადგენილი გადაჭრილი ჯა-
მაგირი. მასწავლებელი ქალებიც იღებენ
იმდენს, რამდენსაც კაცები.

სკოლების გამგეებს ჯამაგირის გარდა
ეძლევათ 1—2 კლასის გამგეობისათვის
78 მან., 3 კლასისა 96 მან., 4 კლასი-
სა 116 გ. 50 კ., 5 კლასისს 155 მან.
40 კაპ.

სოფლებში ეძლევათ ყოველი ხუთი
წლის შემდეგ ხუთჯერ დამატებითი ჯა-
მაგირით 466—1200 მანეთამდე, ამას
გარდა ბინის ფულიც.

4. ბელგია.

აქ მასწავლებლებს ეძლევათ ჯამაგირი
სოფლებში მცხოვრებთა რიცხვის შესაფე-
რისად მასწავლებელ კაცებს დამატებით
საშუალო რიცხვით 889—1110 მან. და
444—740 მანეთამდე. მასწავლებელ ქა-

ლებს კი 314—1026 მან. და 444—703
მანეთამდე.

5. საფრანგეთი.

საფრანგეთში მასწავლებლებს ეძლევათ
საკუთრად ჯამაგირი და სხვა და სხვა გვა-
რი დამატებანი. პირველ-დაწყებით სკო-
ლებში მასწავლებელთა თანამდებობის აღ-
მასრულებელთ 407 მან., შტატის მასწავ-
ლებლებს, რომლებიც იყოფებიან ხუთ კა-
ტეგორიათ 440—556—666—740—814
მან. მასწ. ქალებს კი 444—518—592—
666—740 მან., აღმატება სამსახურში
მოხდება ამორჩევით და წელთა რიცხვის
ნამსახურობით. ჯამაგირიდან მასწავლე-
ბელთ უკავებენ 5% საპენსიო თანხისა-
თვის; ჯამაგირებს გარდა მათ ეძლევათ
ბინის ფული პატარა სოფლებში 27 მან.
—46 მანეთამდე, ქალაქებში 111—148
მან. და თვითონ პარიზში კი 222—259
მან. გამგეთათვის და ოჯახიან მასწავლე-
ბელთათვის ეს ჯამი უფრო გადიდებულია.
ამავე დროს იღებენ კიდევ დამატებას ქა-
ლაქებში მცხოვრებთა რიცხვის რაოდე-
ნობის შესაფერისად 18—148 მან. პარიზ-
ში კი 370 მან., ეძლევათ აგრეთვე სკო-
ლების გამგეობისათვის ცალკე 74—148
მანეთამდე.

უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლებში
განკუთხება ჯამაგირი ხუთ კატეგორიად:
592—703—814—888—962 მასწავლე-
ბელთათვის, დამატებით კლასში 1110 გ.;
მასწავლებელ ქალთათვის—592—666—
740—814—888 მან. და დამატებით
კლასში 1106 მან. ამასთანავე დამატები-
თი ჯამაგირები მცხოვრებთა რაოდენობის
შესაფერისად.

ლადო ბზგანელი.

ჩემი განმარტება

0 ხუთმეტი წელია, რაც სახალხო განათლების ასპარეზზე შეძლებისა და გვარად გმუშაბად. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ჩემს სააქტები კარგიც მინახავს და ცუდიც. უკანასკნელი, რასაკეირველია, სჭაობობდა... უკელამ უწევის, თუ რა პირობებში უძღვა დღეს მუშაბადა იმ მასწავლებლების, რომლებისაც ბედმა, მათ უნებლივთ, არგენა მთავრობის სასწავლებლებში მოდგაწეობა. ეს შდგომარეობა ტრაგიკულია მათთვის, ვისაც შეუძლიან შეგნებულად ფიქრი ჩვენი ცხოვრების წან მსვლელობაზე...

შე დიდი სანია ვცდილობდი რამე გზით, მიუხდავათ იმ დახშულ პირობებისა, რომელშეც მე მიხდებოდა მუშაბადა, მომეტანა შეტი სარგებლობა ბავშვების სწავლა-ადზრდისათვის. ბევრი გებმა შევიმუშავე, რომლებიც, საუბრუოდ, გეგმებად და დამრჩენ... ბოლოს, ტემში სკოლის დაარსების იდეაზე ფაქტს შევუდექი. რა წლის ფიქრს საქმეც მოჰქვა, და გასულ ზაფხულს წარვერის ფიჭვინარში ჯანით სუსტი უმაწვილებისათვის სკოლა და ვარსე. ამ გვარ დაწესებულებას შედაგოგები მსერვალე თანაგრძნობით შევებენ და საჭირო სასარგებლოთ თავისი აზრიც გამოსთვეს ადგილობრივ პრესაში.

ქართულ თრგანოები უფრო ვრცლად და მიუდოვომლად შექმნა სკოლის ღირსეულ-ნაკრებას ბ-ნი სანგანიძე და მ. კაგაბაძე. ხოლ უკანასკნელმა, როგორც ჩვენი საზოგადოების გულშემატებიარმა მოდგაწემ, ჩემს სკოლას ერთვნული თვალით შეხდა. „განათლების“ ღვიძლინობისთვის ნომერში იგი სწერს: „არ შემიძლია დასასრულ სკოლის ერთ და და საკლი არ შევხათ, რომელიც იმავე დროს ჩვენი საზოგადოების სამარცხინო ნაკლიაც შეადგინს... ბ-ნ არჯევანიძეს სკოლის შრო-

გრამაში ქართული ენა სრულებით არ აქვს შოთა სენებული. საზოგადო დაპარაკები და ახსნა-განმარტება ბავშვებთან უმთავრესად უცხო ენაზე, სწარმოებს“... და სხვა.

სამარცხინო ნაკლი ჩვენი საზოგადოებისა მხრით მეტად სამწერაო. ხოლო ჩემი სკოლის ამგვარ ნაკლი დაპარაკები ზედმეტია.

სკოლის უმთავრესი მიზანია ჯანით სუსტი ბავშვი ზაფხულის თვეებში სუთია ჭარის, კარგი საჭმლის და ზომიერი მოძრავი გასართებების საშუალებით გამოკეთდეს იმდენად, რომ ჩვეულებრივ სკოლაში დაბრუნების ან მიღების შემდეგ არ ჩამორჩეს ამხანაგებს სწავლაში ფიზიკური სისუსტის გამო. ტონებით საგნებს სკოლაში მეორე ხარისხის ალაგი უჭირავს და უკელასათვის არ არას სავალდებული. მეცადნეობა სწარმოებს იმ საგნებში, რომელშიაც უმაწვილს განმეორებითი გამოცდა აქვს დანიშნული. ამიტომ ქართულ ენაშიაც მოთხოვნილებისა დაგვარად სწარმოებს შეცადინეობა.

მთავრობისათვის წარდგენილ სკოლის წესდებაში შარტო საღმრთო სჯული, რესული ენა და ანგარიშია მთხელებული, როგორც სავალდებულო საგნები უკელა ერთგენბათა ბავშვებისათვის დღევანდელ პირებებში..... მამაკალში კი მსურს, თუ გარემოება სელს შემიწეობის, შემოგადო ერთვნული განუთვილებები და მით ჩემი სკოლის საქმე უფრო სასურველ ნიადაგზე დავუექნო *).

წაღვერის ტემში სკოლის დამარსებული ჰ. არჯევანიძე.

*) რედაქტორი სრულიად ეთანხმება მ. კაკაბაძის აზრს წაღვერის სკოლის შესახებ, რასაც არც ბ-ნი არჯევანიძე ჰყოფს უარს. განა დედა ენა სავალდებულო საგანი არ არის ყველა რიგიანი სკოლისა?

ბიბლიოგრაფია

ალექსანდრე ფრონტელი. ღილებული მესხეთი. იასონ კერძესელიძის გამოცემა. ფასი ცხრა შაური. ქ. გორი 1914 წ.

შესხეთის შესახებ იშვიათად დაწერილა ისეთი გრძნობითა და მრავალ ცნობებით სავსე წიგნი, როგორიც არის ბ-ნის აჭ. ფრონტელის „დიდებული მესხეთი“. ავტორის თქმისა არ იყოს მესხეთი მართლა ნატგრის თვალია, თბილი შარგალიტია საქართველოსა. ამ დიდებული კუთხის გაცნობა, შესწავლა და ავ-გარე მართლა ბევრ რასმე საგულისხმიერის შესძენის მკითხველის. ავტორისაგრ ჩვეულებრივად ისე გრძნობიერად აქვს აწერილი ეს მხარე, რომ მკითხველი თვალს ვერ აშორებს, სანამ ბოლომდის არ ჩაიკითხავს და სავსებით არ განიცდის იმ მდებარებას, რასაც თვითონ მწერალი განიცდიდა თვითონეულის სტრიქნის წერის დროს.

სოფლის მასწავლებელთათვის ეს წიგნი სომ მისწრებაა, ერთად ერთი საუკეთესო საუნჯეა, საიდანაც შეუძლიან უტრეული ცნობების ამჟრეფა და გადაწერა მთზარდ თანაბისადმი. ბევრი, მეტად ბევრი საგულისხმიერო ცნობებია ამ წიგნში მესხეთის შესახებ. ვურჩევთ უკეთეს შეიძინონ ეს ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები, გულდასმით გადაიკითხონ და შეისწავლონ ეს დიდებულაც მართლა დიდებული მხარე ჩვენი სამთბოლო ქვეყნისა.

დიმიტრი ჭავაშვილი. ისტორიულ სურათები: 1. ქართველი ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან, 2. ქართველი ქალები. გამოცემა იასონ კერძესელიძისა.

ფასი თხუთმეტი შაური.

ეს საქართველო მთზრდილი წიგნი, რომელიც შეიცის 300 გვერდს, ეხება თას ისტორი-

ულს მხარეს ქართველთა ცხოვებისას. ერთ-ში მთხოვრიბილია საქართველოს ეკლესიის გამოყოფის აშპავი საბერძნეთის ეკლესიიდნ, ხოლო მეთები და ხასიათებულია ქართველი ქალი ისტორიულად. ამ წიგნის ეს უკანასკნელი ნაწილი მეტის-მეტად საუკადებოა. აქ დანმდგარებით შეიტენის, თუ ქართველ ქალებს რა გავლენა ჰქონიათ საქართველოში ერთს განათლებაზე მოლიტვისა და სამოქალაქო ცხოვრებაზე, როგორ უშეშეანიათ მამაკაცებთან ერთად ქალებისაც, როგორ უშენიათ მტერთან და როგორ დაუშესექებიათ თანამდებობა და პატივი შემაკაცებთან ერთად და საზოგადო რა საკეთილო უფლებითა ქართველი ქალის გავლენა საზოგადოებაზე.

ეს კარგი წიგნიც დირსია შეიძინოს თვითოველმა ავტორი და გაეცნოს მისი წარსული ცხოვრების ავ-გარეს. მკითხველი იხიბლება იმ დიდებული სულით, რომელთაც აღწერვინი უოფილან ნეტარნი ქართველი დედები, რომელთაც სულის სიძლიერეს სამართლიანად დასტირდა დიდებული მთეტი ნ. ბარათაშვილი.

წინაპართა აჩრდილნი, ისტორიული ამბავი—ნიკო ლომილისა. გორი, ფასი ორი შაური.

ეს პატარა წიგნაკი, რომელიც ეკუთვნის ჩემის ნიჭიერ მწერალს ნ. ლომილის, წარმოდგენის შემებელ სახალხო და საუმაწვილო საჭიროების. თვალწინ გადგათ ახალგაზრდა გმირი ერეკლე მეფე და სხვა მამულისათვის თავდადებული თავადნი და გლეხნი. აწერილი არა ამა თუ იმ მთშენტისა უგელგნ მშენებიან, მაგრამ უგელაზე უფრო მკითხველს

იტაცებს ის მომენტი, როცა ერკელე ქვემო მაჩვანეში მივა გლეხის გაბრიელ ბოსტაშვილისას, რომელმაც შევე გადაარჩინა ხითას. შევე ვერ ისვეუბნს, ვაი თუ მისი გადამრჩენელი გაბრიელ ბოსტაშვილი მტერმა იმს სვერ-ზლისთ. ერკელეს შინ ბერიკაცი დახვდება, რომლის სულის სიძლიერე მკითხველსაც ხი-

ბლაგს. როცა ბოსტაშვილი მშვიდობით ბრუნ-დება სახლში, ერკელე სისარელით აღიგსება, აფილდებს გლეხს ბოსტაშვილს აზნაურის ხარისხით და თან მიჰყავს ჭარში.

წიგნაკი სიამოვნებით იკითხება და სასუ-ველიც არის მისი ფართდღი გავრცელება ხალხში და მოზარდ თაობაში.

წერილები რედაქციის მიმართ

I

გულმრჩევალებ ვუერთდებით „განთლების“ უკნასენელ ნომერში ბ-ნ ლადო ბზგა-ნელის მოწადებას და ვუგანით ჩვენს რე-დაქციას ოთხ მანეთს ქართული ერთს ერთვ-ნელი (ტარის - ქართული თეატრის ახალი შენობის ასაგებ ფონდისათვის. *)

სახალხო მასწავლებლები { გ. ა—ნო.
ი. რუხაძე.

*) რედაქტორმ მიიღო ოთხი მანეთი ბ.ბ. გ. ა—ნისაგან და ი. რუხაძისაგან, რომელსაც და-ნიშნულებისამებრ გადასცემის.

რედ.

II

ბ-ნო რედაქტორო!

ამასთანავე გაახდებოთ ჩემდამი რწმუნებულ ახალდაბის თრენასიან სასწავლებლის მასწავლებლთა და მეხუთე და მეექვსე გნეულფილების მოსწავლებისაგან შეწირულ ფულს ქართული თეატრის ფონდის გასაძლიერებლად. მშედას ტადასცემთ დანიშნულებისამებრ.

სია შემომწირეველთა: თითო მანეთი შემთხვირეს მასწავლებლებმა — ნოე დევიძემ,

თაქთაქიშვილმა თინათინაშ და გიორგაძე ნი-ნამ.

თრ-თრი შეური შემდეგმა მოწავეებმა:

გონიაძე დავით, ბლიაძე ეგბენი, სებისკვე-რაძე ნადა, აბრამაშვილი შარიაში, ბლიაძე დარია, ჭავაევა ელენა, ფატარიძე ლეონტი, ქველაძე ვლადიმერი, ქუმბურიძე შუშანა, ბლია-ძე ირაელი, უურაშვილი ტატიანა, ბლიაძე რომანოზ, ფატარიძე ივანე, ბლიაძე მიხაილ, ფატარიძე ელისაბედ, ბლიაძე შალვა.

ქვალაძე ახნაშ სამი შეური, ლომიძე ვლა-დიმერ ექვსი შეური, ბლიაძე ნატალია და არეგაძე გიორგი თითო შეური, ბურნიკაშვილი პავლე აბაზი. სულ 5 35 კ.*)

სკოლის ზედამხედველი
ნოე დევიძე.

*) რედაქტორმ მიიღო ნოე დევიძისაგან 5 მან. და შეიღი შაური, რომელსაც გადაცემს დანიშნუ-ლებისამებრ. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. გ. ბოცვაძე.

ნება დართულია სამხედრო ცენტორისაგან.

ცხოვრისი

ქ. მ. წერა-პიონერის გამავრცელება.
ცაზოგადობის მოქმედების.

ხონის განუთვილების 1913 წლის ანგარიში.

(დასასრული)

წლიური კრების ოქმი.

კრება გაიხსნა შუადღეზე დ საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგის ექ. ვ. ბახტაძის თავმჯდომარეობით, მდივანი იყო მ. დ. ჭელიძე. კრებას დაესწრო 22 წევრი (60 წევრიდგან). კრების გახსნისათანავე თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სუა განსვენებულთ: 1) საზოგადო მოღვაწის და განყოფილების ყოფილი თავმჯდომარის ამხანაგის ივანე სიმონის ძის შარაშიძისა და 2) გამოჩენილი პუბლიცისტის და საუკეთესო მამულიშვილის, უდროვოდ დაკარგულის არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას. შემდეგ თავმჯდომარე შეკითხა კრებას, ინგებს იგი წლიური ანგარიშის წაკითხვას თუ არა? რადგანაც ანგარიში წინდაწინ და რიგებული ჰქონდათ საზოგადოების წევრებს, კრებამ მისი წაკითხვა საჭიროდ არა სცნო. წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ემელიანე ივ. ცაგარეიშვილი: სარევიზიო კომისია მოვალეობის სოლიდარული მუშაობისთვის, მე კი ვერ ვხედავ სოლიდარობას გამგეობაში; განხეთქილება მოხდა და, როგორც ანგარიშში არის მოხსენებული, ხუთი წევრი გამგეობისა (თავმჯდომარითურთ) სამსახურიდგან გასულა. თუმცა მე, როგორც გამგეობის წევრი, მთლად კი არ გამოვსულვარ გამგეობიდგან, როგორც ვაცნობე კიდეც წერილით გამგეობას, არამედ დროებით დავსტოვე მუშაობა. სანამდის გამგეობა არ გამოარკვევდა, რისთვის გააშავეს 29 აგვისტოს საგანგებო კრებაზედ ერთი გამგეობის წევრთაგანი. ამ წერილის მოწერამდის მე მოვითხოვე გამგეობის სხდომაზედ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრების მოწვევა ახალ არჩევნებისთვის, მაგრამ გამგეობა არ დამეთანხმა, კრება არ მოიწვია და ჩემს წერილზედაც პასუხი არ გამ

ცა ახლა მე თქვენთან შემომაჟვს საჩივარი გამგეობაზედ: კრება უნდა მოწვია ახა-
ლი არჩევნებისთვის და არ მოიწვია.

ალექსი ბ. ჭიჭინაძე: არც მე ვარ კმაყოფილი 29 აგვისტოს საგანგებო კრე-
ბის არჩევნებისა; ჩემის აზრით სამართლიანი იქნებოდა უკეთესად დაბოლოვებუ-
ლიყო არჩევნები, გაზეთ „კოლხიდას“ და გამგეობას შორის მომხდარ კამათში თუ
ვისმე მიუძღვილა დანაშაული გამგეობის მხრით, არა მარტო ერთ წევრს გამგეობის
სას, რომელიც ალარ იქნა არჩეული, არამედ მთელს გამგეობას და მეც, როგორც
თავმჯდომარეს. გააშავეს, ანუ უკეთ რომ ვსოქვათ, ალარ აირჩიეს შემდგომის ვა-
დისათვის კი ერთი წევრი გამგეობისა. ამ გარემოებისთვის მე ანგარიში უნდა გას
მეწია და ამისთვის დავანებებ თავი გამგეობის თავმჯდომარეობას, გამგეობის სხვა
წევრთ კი ვურჩიე მუშაობა არ შეწყვიტათ, საგანგებო კრების მოწვევა არჩევნე-
ბისთვის მეც უხერხულად მიმაჩნდა, რადგანაც ისედაც გამწვავებული დამოკიდებუ-
ლება ჯგუფთა შორის უფრო გამწვავდებოდა, და ეს საზოგადო საქმეს ავნებდა.

მათე ბ. ბახთაძე: ბ. ემელიანე ცაგარეიშვილი სცდება, როდესაც ამცობს
განხეთქილება გამგეობაში მოხდა და ამისთვის გავიდა ხუთი წევრიო. განხეთქილება
მოხდა არა გამგეობაში, არამედ 29 აგვისტოს საზოგადო საგანგებო კრებაზედ,
როდესაც გაშავდა ერთი წევრი გამგეობისა, მიზეზად გამგეობიდგან გასვლისა თით-
ქმის უველა წევრები, რომელთაც თავი დაანებეს გამგეობას, ასახელებლნენ ამ გა-
რემოებას, ბ. ემელიანე ცაგარეიშვილი ამას გარდა, მოითხოვდა გამგეობისაგან
გამორკვევას, რისთვის გააშავეს საგანგებო საზოგადო კრებაზედ ზემო ხსენებული
გამგეობის წევრიო. გამგე-ბას არ შეუძლიან და უფლებაც არ აქვს განსაჯოს სა-
ზოგადო კრების მოქმედება; პირიქით საზოგადო კრება კონტროლს უწევს და
სჯის გამგეობის ყოველ მოქმედებას; ამ მიზეზით წერილები ქ. ლუბა პ. სანოძისა
და ბ. ემელიანე ცაგარეიშვილისა გამგეობამ იცნო უადგილოთ, მათი მოთხოვნის
ასრულება შეუძლებლად და, რადგანაც ისინი მთელი წლის განმავლობაში გამ-
გეობის სხდომებს არ დასწრებიან, გამგეობამ ჩასთვალა იგინი სამსახურიდგან გა-
სულებად. რაც შეეხება საზოგადო საგანგებო კრების მოწვევას ახალი არჩევნების-
თვის, გამგეობამ არ მოიწვია შემდეგის მოსაზრებით: როდესაც რამდენიმე წევრი
გავიდა გამგეობიდგან, მათ მაგიერ მოწვეულ იქნენ მათი მოადგილენი და გამგეო-
ბის მუშაობა არ შეფერხებულა, რომ ფაქტიურად მუშაობა გამგეობაში შეუძლე-
ბელი ყოფილიყო წევრთა სიკოტავის გამო, მაშინ მ-კ-წევევდით საზოგადო კრე-
ბას ახალი არჩევნებისთვის; მაგრამ გამგეობის სხდომაზედ ესწრებოდა საქმაო როც-
ხვი წევრებისა და რა საჭირო იყო ახალი არჩევნები. რამდენიმე წევრის შენიშვნის
შემდეგ თავმჯდომარემ გამორკვეულად სცნო საკია.ხი და დასვა შემდეგი კითხვა:
საჭირო იყო თუ არა საგანგებო კრების მოწვევა ახალი არჩევნებისთვის? 19 ხმით
წინააღმდეგ სამისა კრებამ საჭიროთ არ სცნო საგანგებო კრება მოწვეულიყო ახა-
ლი არჩევნებისთვის. ამის შემდგომ მ. ვ. ბახთაძემ პასუხი გასცა სარევიზიო კომი-
სის შენიშვნებს და კრებად დაამტკიცა 1912 წლის ანგარიში.

მოხსენება გამგეობისა წიგნის მაღაზიაზე:

როდესაც გამგეობა აარსებდა. მაღაზის, უნდოდა გაეჩინა ახალი წყარო შემოსავლისა და შეენახა ბიბლიოთეკა-სამკითხველო. პირველ ორ წელიწადს გამგეობის მოსაზრება თითქოს გამართლდა და ცოტა მოგება დარჩა წიგნის მაღაზის; მაგრამ უკანასკნელ ორ წელიწადს წაგების მეტი არაფერია, შრომა კი დიდი, რისთვის დატრიალდა საქმე ასე, ძნელი გამოსარკვევია, ვიტყვით მხოლოდ, რომ საკანცელარიო ნივთები, რომელსაც დიდი მოგება აქვს, იყიდება ხონის ყოველ დიდს თუ პატარა მაღაზიაში და, სანამდი ჩვენს მაღაზიაში მოვიდოდეს მყიდველი, უნდა გამოიაროს ოცი თუ მეტი მაღაზია, სადაც შეუძლია იყიდოს იგივე ნივთი, მყიდველიც შედის პირველსავე მაღაზიაში და იძენს საჭირო ნივთს. წიგნებს კი იმდენი მოგება არ აქვს, ხშირად ხმარებილგან გამოდის და ზარალს იძლევა; სააზოგადოთ კი იმდენი აღებმიცემობა არ არის, რომ მოსამსახურეთა ჯამაგირი და სხვა ხარჯი დაფაროს, ამისთვის გამგეობა სთხოვს კრებას: 1. წიგნის მაღაზია მოიშოროს, 2. არჩეულ იქნეს ვაჭართაგან კომისია და მიენდოს ამ კომისიას და გამგეობის შეერთებულ კრებას გადაუწყვიტოს, როგორ და რა სახით მოიშოროს მაღაზია. კრებამ დაადგინა: ა) მოიშოროს წიგნის მაღაზია და ბ) მიენდოს გამგეობას მოიწვიოს მცირებულ პირნი და მათთან ერთად გადასწყვიტონ, როგორ მოიშორონ წიგნის მაღაზია.

მოხსენება გამგეობისა თეატრზე:

როდესაც თეატრის ხეზმძღვანელობა იყისრა ჩვენმა გამგეობამ, მაშინ თეატრის საქმეს აწარმოებდნენ სცენის მოყვარენი ერთი გამოცდილი მსახიობის ხელმძღვინელობით; ხარჯი ცოტა იყო და გვპირდებოდნენ, რაც დაგვრჩება თქვენ გადმოგცემთ სახალხო სახლის ფონდისთვისთვის. რაც დრო გადიოდა, სცენის მოყვარეთა ჯგუფი მცირდებოდა და საჭირო შეიქმნა მსახიობთა მოწვევა, ამან კი ხარჯი გაადიდა, დეფიციტი გამოიწვია, ჩვენი ღარიბი კასიდგან დახმარება გაუწიეთ 75 მანეთით. ახლაც ბევრი საყვედლური. არ გვეწევითო, ჩვენ კი სახსარი ცოტა გვაქვს, პირდაპირ ჩვენს დანიშნულებას—ბიბლიოთეკა-სამქითხველოებს და შკოლებს ვერ ვუწევთ ჯეროვან დახმარებას. ჩვენს გამგეობას ჰყავდა სათეატრო სექტიაში სამი კაცი. თეატრის საქმეს განაგებდა სცენის მოყვარეთაგან არჩეული გამგეობა, თორმეტი კაცისაგან შემდგარი. ამ გამგეობის სხდომებს ესწრებოდა ერთი ან ორი სექტიის წევრი და მათ ხმებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ასე რომ ფაქტიურ რად ჩვენ თეატრის ხელმძღვანელი და გამგე არ ვიყავით და, რაც უნდოდათ სცენის მოყვარეთ, იმას არდგენდნენ. ხარჯთ-აღრიცხვას არ გვკითხავდნენ და მსახიობსაც თვითონ იწვევდენ. ამისთვის გამგეობის აზრია: ჩამოშორდეს ჩვენს განყოფილებას თეატრის საქმე და შესდგეს თეატრის მოსაწყობად დრამატიული საზოგადოება.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ჩამოშორდეს ჩვენს განყოფილებას თეატრის საქმე. შემდეგ საზოგადო კრებამ დაადგინა შემცირდეს გამგეობის

წევრთა რიცხვი ექვსამდის, თავმჯდომარის გარდა, და ფარული კენჭის ყრით აირჩია თავმჯდომარეთ ალექსი ბ. ჭიჭინაძე 21 ხმით, გამგეობის წევრად ვლ. ზ. ნადარეიშვილი 17 ხმით. სარევიზიო კომისიის წევრებმა: ალ. ს. ნიუარაძემ და მიხ. ივ. ქუთათელაძემ უარი განაცხადეს სარევიზიო კომისიის წევრობაზე; კრებამ მაღლობა გადაუხადა მათ სამსახურისთვის და მათ მაგიერ აირჩია ემ. ივ. ცაგარეიშვილი და ან. დ. ბახთაძე თექვსმეტ-თექვსმეტი ხმით.

დასასრულ კრებამ მიიღო შემდეგი ახალი წევრნი: 1) სიმონ ივანეს ქ ჯორგენაძე, 2) მარიამ პავლეს ასული ქუთათელაძე, 3) შალვა დიმიტრის ქ ჩხიცევიშვილი, 4) მღვ. ივანე რუხაძე, 5) სილბისტრო სიმონის ქ სალარაძე, 6) კონსტანტინე ათანასის ქ კაკაბაძე, 7) ბესარიონ კიმოთეს ქ კაკაბაძე, 8) სარდიონ იესეს ქ გოროზია, 9) ლუპა კონსტანტინეს ასული ჩხერიმელის მეულლე, 10) ლუკა დავითის ქ სანოძე და 11) პავლე ივანეს ქ ჩხინიშვილი.

კრება დასრულდა ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათის შემდეგ.

—
—
—

გამგეობის მოქმედების დახასიათება:

ვამგეობას ჰქონდა განზრაზული განეხორციელებია მთავარი მიზანი, ე. ი. ევრულებია წერა-კითხვა და კულტურული განვითარება ქართველთა შორის მისამართი. ამ მიზნის მისაღწევათ ის შემდეგ ღონისძიებას ხმაობდა: ზრუნავდა ასებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისათვის, დახმარებას უწევდა მათ. მოაწყო თავის ხელქვეით მყოფ ბიბლიოთეკა-სამკითხველოია მეთვალყურეობა; აგრეთვე სამინისტრო და კერძო სკოლები უწევდა დახმარებას უზრნალ-გაზეთების გამოწერით და წიგნების შეწირვით. მეცადინეობდა ახალ ადგილებში ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნისათვის; შეიძინა ხონის განყოფილების სახელზე განსვენებულის ივანე ს. შარაბიძის ეზოს ერთი ნაჭერი ზედ მდგომ სახლითურთ, რომელშიდაც ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მიჩნილი აქვს ორი სრული ოთახი სრულს მის განკარგულებაში, რითაც განახორციელა დიდი ხნის წადილი ვანყოფილებისა — მოპოება ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის საკუთარის ბინისა. მართალია, ნაყიდ მამულს ადვეს ბანკის ვალი, მაგრამ გამგეობას დაბა ხონის ყველა საკრედიტო დაწესებულებათ, და აგრეთვე კერძო პირთ მიჰმართა თხოვნით აღმოეჩინათ: შემწეობა შეძენილ მამულზე ვალის დასაფარავად; შეძენილ შენობის ერთი ნაწილისგან განყოფილებას აქვს შემოსავალი თვიურად ოცი განერი, რომლითაც შეუძლია ცოტ-ცოტათ დაფაროს ზემოხსენებული ვალი. გამგეობა ცდილობდა თავის განყოფილების წევრთა რიცხვის გადიდებისათვის. გამგეობას აქვს მობარებული განსვენებულის საზოგადო მოღვაწის, ივანე შარაშიძის სახელობაზე დაარსებული ფონდი 466 მან. რომლის სარგებლიდგან საანგარიშო წელს განთავისუფლებული იქნა სწავლის ფასისაგან ხონის ორკლასიანის სასწავლებლის 8 ლარიბი მოსწავლე.

დასასრულ გამგეობას, სამწუხაროდ, არ შეუძლია არ აღნიშნოს ის გარემოება, რომ მეფის მოადგილემ არ შეიწყნარა გამგეობის ოხოვნა, რომელიც გაეგზავნა მას ჩვენგან რომანოვთა გვარის სამასი წლის იუბილეს გამო და რომლითაც ვთხოულობდით ნებართვას შეგვეგროვებია კავკასიაში ნება-ყოფლობითი შემოწირულება დაბა ხონში სახალხო სახლის ასაგებად.

1913 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

შემოსავალი:

1 იანვარს 1913 წლის იყო კასაში	63—70
საწევრო ხონის საურთიერთო ბანკში	200—
სათეატრო სექტიაზე	75—
წიგნის მაღაზიაზე	555—77
	894—47

შემოვალი:

საწევრო ფული	150—
შემოწირულება	21—48
სეირნობილგან	100—
	271—48
სულ	1165—95

გასავალი:

ხონის ბიბლიოთეკის შენახვა	348—52
მათხოვის სამკითხველოს შემწეობა	10—
ჩხოროწყუს, აბედათის და ხონის პროფესიონალურ სკოლებს შემწეობა	15—31
დელეგატის გაგზავნა ტფილისში	24—40
გზის ხარჯი—გუბში, სამკითხველოს დასათაღ.	2—50
ანგარიშის დაბეჭდვა და საკანცულარიო ხარჯები	52—22
გაიწერა ზარალში სათეატრო სექტიაზე დარჩენ.	75—
წვრილმანი ხარჯები	02—19
	530—14

1 იანვარს 1914 წ. არის კასაში	21—60
საწევრო ხონის საურთიერთო ბანკში	200—
წიგნის მაღაზიაზე	414—21
	635—81
სულ	1165—95

წიგნის მაღაზიის ანგარიში.

1 იანვარს 1913 წელს მაღაზიაში იყო საქონელი 2864 მან. 76 კაპ., 1913 წლის 26 ივნისამდის შეძინა მაღაზიაშ საქონელი 1269 მან. 04 კაპ. (გაზეთების ანგარიშებიანათ); სულ 4133 მან. 80 კაპ. წლის განმავლობაში გაყიდული საქონელი (გაზეთებიანა) 2271 მან. 42 კაპ.; 26 ივნის 1913 წელს უნდა ყოფილი ყო საქონელი მაღაზიაში 1862 მან. 38 კაპ.; ნამდვილად კი 27 ივნის 1913 წლის აღწერილობით საქონელი აღმოჩნდა 2086 მან. 83 კაპ.; მაშასადამე მაღაზიას მოუგია ერთიანად 224 მან. 45 კაპ.; რაიცა შეადგენს მთელი გადაბრუნებული თანხის $5\frac{1}{4}\%$.

მაღაზიას ხარჯი ჰქონდა: ა) დუქნის ქირა 63 მან., ბ) ნასესხი ფულის სარგებელი 76 მან. 02 კაპ., გ) მაღაზიის გამგეს და კასირს 161 მან., დ) განათება, გათბობა და ბაზრის ხარჯები 20 მან. 15 კაპ., ე) წვრილი ხარჯები 5 მან. 95 კ. სულ 326 მან. 12 კაპ.; მაშასადამე მაღაზიას უზარაონია 101 მან. 67 კაპ.; ნამდვილათ კი მაღაზიის ანგარიშის ბალანსი გვიჩვენებს ზარალს 596 მან. 63 კაპ.; ამაში შარშანდელი ზარალია 236 მან. 29 კაპ., დანარჩენი 360 მან. 35 კაპ. ეს თვენის წლევანდელ წელს.

შენიშვნა: თანახმად 21 ივნის 1913 წლის საზოგადო კრების დადგენილებისა წიგნის მაღაზიის საქონელი გადაეცა მინა ივანეს ძე ჭავჭავაძეს.

წიგნის მაღაზიის 93 წლის ანგარიში.

აქტიფი:

კასა	137—56
ავეჯეულობა	15—05
ნისიები	206—46
საქონელი მინა ჭავჭავაძესთან	287—71
ზარალი	<u>596—63</u>
						<u>1243—41</u>

შასსივი:

მთავარ გამგეობის	529—20
3. ივ. ჩხიკვიშვილის კრედიტის	300—
ხონის განყოფილების	<u>414—21</u>
					<u>1243—41</u>

—
—
—

ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ანგარიში

ხონის განყოფილების ხელმძღვანელობით საანგარიშო წელს სწარმოებდა ხუ-
თი ბიბლიოთეკა-სამკითხველო: ხონის, მათხოვის, ნაოლალევის, გუბის და გორ-
დის. ხონის ბიბლიოთეკის გამგეობა ჩაბარებული აქვს გამგეობის წევრს ეკატერინე
ბახთაძისას: თითქმის მთელი ხარჯი (348 მან. 52 კაპ.) საანგარიშო წელში ბიბ-
ლიოთეკის შესანახავად გაიღო ადგილობრივ ჭ. უ. ს. განყოფილებამ; არის საკუ-
თარს ბინაზე, რისთვისაც ხონის განყოფილებამ შეიძინა ივანე შარაშიძის სახლი
და ამ საქმეს მოახმარა სხვა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში ბიბლიოთეკის
ბინის ასაშენებლად გადადებული თანხა 55 მ. 66 კაპ.

ხონის ბიბლიოთეკა მოთავსებულია საკუთარ შენობაში და შესდგება ორი
ოთახისაგან. სამკითხველოს მოსდიოდა შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: 1) „სახალხო
გაზეთი“, 2) „იმერეთი“, 3) „სიმართლის ხმა“, 4) „ბათუმის გაზეთი“, 5) „თემი“,
6) „ზაკ. რეჩ“, 7) „ზაკავკაზიე“, 8) „რუსსკია ველომოსტი“, 9) „ნაკადული“,
10) „ჯეჯილი“ და 11) „სასოფლო გაზეთი“. სამკითხველოში შემოსულა 4019
მკითხველი, 1913 წ. 1 იანვრამდის პერიოდი 610 ქართული და 885 რუს. წიგნი
და შეუძენია მიმდინარე წლის განმავლობაში 164 ქარ. და 148 რუს. წიგნი.

წლის ბოლოს პერიოდი 773 ქარ. 1033 რუს. სულ 1906 წიგნი, ამ წიგნებში
არის 230 სასულიერო შინაარსისაა, 1090 სასოფლო მეურნეობისა და 457 ჟურ-
ნალები. ხელის მომწერი იყო 40.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შემოსავალ-გასავალი.

შემოსავალი:

ხონის განყოფილების დახმარება	348—52
საწევრო და სხ.	9—
იყო კასაში	<u>8—10</u>
	სულ . 365—62

გასავალი:

წიგნების და ჟურნალ გაზეთების ფასი	100—06
ინვენტარის ხარჯი	11—41
სადგომის ქირა და რემონტი	108—
განათება და გათბობა	13—40
ბიბლიოთეკარის ჯამაგირი	120—
სხვა და სხვა ხარჯი	<u>4—50</u>
	სულ . 357—37

დარჩა 8 მან. და 70 კაპ.

სთხის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე
ეკატერინე ბახთაძისა.



უძრავი ქონების ანგარიში.

ପ୍ରମତ୍ସାଙ୍କରଣ:

1.	ვისესხეთ „ხონის საურ. ნდობის საზოგ.“	1500—
2.	მივიღეთ „ხონის საურ. ნდობის საზოგა- ლოებისაგან“ ბიბლიოთეკასთვის შენობის ასაკებად გადადებული თანხა	277—66
3.	მივიღე „ხონის შემნ.-გამსესხებელ ამხანა- გობისაგან“ გადადებული	108 —
4.	მივიღე „ხონის მასწავლებელთა შემნახ. გამსესხ. კასისაგან	100 —
5.	მივიღე ხონის შემნახ. გამსესხ. ამხანაგო- ბის „სარგებლობისაგან“	100 —
6.	მივიღე ბინის ქირა	20 —
		<hr/> <u>2105 — 66</u>

၂၁၃

1.	შევიტანეთ ბანკში	1920—
2.	ადგილის ნასყიდობის გადას. ხაზინაში	.				78—59
3.	შემომატებული ადგილ. სამედიატ. ხარ.					12—50
4.	ბოგირის და კიბის გაკვთება	.	.	.		18—30
5.	სახლის რემონტი	.	.	.		8—25
6.	ქვიშა ქუჩაზე და ბოგირის წინ	.	.	.		7—35
7.	ფულის სარგებელი ბანკში	.	.	.		53—75
						2098—74
არის კასაში	6—92
						2105—66

თავმჯდომარე გამგეობისა: ა. ჭიჭინაძე.

‘ ଶ୍ରୀବର୍ଣ୍ଣଦିଃ । { ୧. ଦାତତାଦୀନେବ.
୨. ମନ୍ତ୍ରେ ଦାତତାଦେ.
୩. କିବିଦୁଷ୍ଟିଶ୍ଵରିଲ୍ଲା.
୪. କିମ୍ବଳିନୀ.

ମରିଯାନ୍ତି: ଶ୍ରୀ. ନାନ୍ଦାରୂପିଶ୍ଵିଲୀ.

**საანგარიშო წელს ქ. შ. ჭ.-კ. გ. ს. ხონის განუოფილების
წევრებად ითვლებოდნენ:**

აბაშიძე ვლადიმერ მიხეილის ძე, ანჯაფარიძე ანტონ პავლეს ძე, ბალავაძე სევერიანე პავლეს ძე, ბახთაძე ალექსანდრე ოქროპირის ძე, ბახთაძე ანდრია დავითის ძე, ბახთაძე ვარდენ გიორგის ძე, ბახთაძე იოსებ გიორგის ძე, ბახთაძე შათე ვასილის ძე, ბახთაძე გრიგოლ თომას ძე, ბახთაძისა ეკატერინე ვასილის ასული, ბერიძე გიორგი მიხეილის ძე, ბერიძე ილარიონ დავითის ძე, ბერძენიშვილი ირაკლი მიხეილის ძე, გლუშაკოვი დავით ვასილის ძე, ელიგულაშვილი სიმონ რაფიელის ძე, კაკაბაძე ალექსანდრე პეტრეს ძე, კარტოზია ისლამ ოტიას ძე, კიშმარიზევილი ერმალო პეტრეს ძე, კოხჩეიძე გიორგი პავლეს ძე, მამალაძე სერგი თავითის ძე, მამალაძისა ანატასია ივანეს ასული, მაჭარაძე ალექსანდრე თომას ძე, მაჭარაძე გიორგი პავლეს ძე, მაჭარაძე ვლადიმერ თომას ძე, მებუკე ილია ნიკოს ძე, მებუკისა ანერა ალექსის ასული, მებუკისა ნადეჟდა გიორგის ასული, მესხი იოსებ სიმონის ძე, მესხისა მარიამ ლევანის ასული, ნადარეიშვილი ბესარიონ კონსტანტინეს ძე, ნადარეიშვილი ვლადიმერ ზაალის ძე, სანოძე ერისთო თედორეს ძე, სანოძე ლუბა პეტრეს ასული, სანოძე მიხეილ ივანეს ძე, ლვინუაძე ილარიონ დავითის ძე, ჩიმაკაძე ლავრენტი ანტონის ძე, ჩიმაკაძე პოლიკარპე ივანეს ძე, ცაგარეიშვილი ემელიანე ივანეს ძე, ცაგარეიშვილი პლატონ მლედელი, ჭავჭანიძე ერისთო ივანეს ძე, ჭელიძე მოსიქო დიმიტრის ძე, ჭიჭინაძე ალექსი ბესარიონის ძე, ჭიჭინაძისა ეფროსინე იაკობის ასული, ხაჭაპურიძე ილარიონ პეტრეს ძე, საღარაძე ივანე მაქსიმეს ძე, სულაბერიძე როსტომ მინას ძე, უგულავა კონსტანტინე პეტრეს ძე, ჭუთათელაძე ბიქტორ ათანასის ძე, ჭუთათელაძე ივანე ივანეს ძე, ჭუთათელაძე კოსტა ბერენის ძე, ჭუთათელაძე კოსტა ბერენის ძე, ჭუთათელაძე კონსტანტინე მლედელი, ჭუთათელაძე მიხეილ ივანეს ძე, ჯორბენაძე სიმონ ივანეს ძე, ჭუთათელაძე მარიამ პავლეს ასული, ჩხიყვიშვილი შალვა დიმიტრის ძე, რუხაძე ივანე მლედელი, საღარაძე სილიბისტრო სიმონის ძე, კაკაბაძე კონსტანტინე ათანასის ძე, კაკაბაძე ბესარიონ კიმოთეს ძე, გოროზია სარდიონ იოსეს ძე, ჩხერიმელისა ლუბა კონსტანტინეს ასული, სანოძე ლუკა დავითის ძე, ჩხერიმელი პავლე ივანეს ძე. (სულ 63 წევ.)

თავმჯდომარე განუოფილების გამგეობისა ა. ბ. ჭიჭინაძე.

მდივანი ვლ. ნადარეიშვილი.

საზინადარი მ. ვ. ბახთაძე.



ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების კრებისადმი

სარევიზო კომისიის მოხსენება.

„საზოგადოების“ წესდების მე-15 მუხლის თანახმად არჩეულმა სარევიზო კომისიამ განიხილა „საზოგადოების“ გამგეობის მიერ შეკვენილი ანგარიში ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა 1913 წლ. და მოახსენებს კრებას: ა) ეს ანგარიში სწორედ არის შედგენილი და იქ გამოცხადებული ბალანსი, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ნუსხაც, „საზოგადოების“ დავთრებისა და საბუთების თანხმა-და გამოყვანილი და ბ) გამგეობის მიერ ნაანგარიშევი „საზოგადოების“ ნალდი ფული და სარგებლიანი ქაღალდები უკლებრივ ინახება ბანკში.

1) **სკოლები** (68—81) განმეორებით უნდა ვსოდვათ, რომ სკოლები ისე არაა მოწყობილი, როგორც ამას თვით საჭიროება მოითხოვს, 16 სკოლა აქვს საზოგა-დოებას და ამათგან საანგარიშო წელს გამგეობას დაუთვალიერებია მხოლოდ 6, ამათგან ქალაქს გარედ მხოლოდ 4; დანარჩენი სკოლების შესახებ ანგარიშში არ არის ნათქვამი, რომ სკოლები დაუთვალიერებიათ. შედარებით რიგზე დაყენებუ-ლია სწავლის საქმე სოხუმისა, ქუთაისისა და ბაქოს სკოლებში. რა ბოლო მოჰყვა კავკავის სკოლაში ატენილ უთანხმოებას, დღეს ყველაზ კარგად ვიცით, თუმცა ჩვენი შენიშვნების გამო შარშან გვიმტკიცებდნენ, ეს სკოლა „არ არის ისეთ მდგომარეობაში, როგორადაც ბატონი დ. და ა. ღულაძე ფიქრობენ“.

საგურამოს სკოლას ხომ 1908 წლიდან—დღიდან დაარსებისა, არ ელირსა გაუმჯობესება, ამიტომ მას მოსწავლეები არ ეტანებიან (17 მოსწავლე იყო) და მასწავლებლებიც გაურბიან რადგან სწავლა-აღზრდის საქმე აქ მოსაწონი არ არის, როგორც ამას თვით გამგეობა ამტკიცებს (გვ. 79). ნურც იმას დაივიწყებთ, რომ გამგეობა ეს რამდენიმე წელიწადია ერთსა და იმავეს გაიძახის: „გამგეობას გან-ზრახული აქვს სკოლა ხალხს დაუახლოვოს“. კარგს მოლოდინს უნდა ჩეარი ბო-ლო ჰქონდეს.

2) **ბიბლიოთეკები** (გვ. 95) ანგარიში აღნიშნავს: „განსაკუთრებით ნაყო-ფიერად მუშაობდა ქუთაისის განყოფილება, რომელმაც მრავალი სამკითხვალოები გახსნა“. ეს ნაყოფიერება უეჭველად იმით აიხსნება, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხვე-ლოებს საკუთარი მეთვალყურე ჰყოლია მიჩნილი. რა თქმა უნდა. ჩვენს საზოგა-დოებას რომ ყველა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისათვის ასეთი განსაკუთრებული მეთვალყურე ჰყავდეს, გაცილებით მეტ ნაყოფიერებას მოიტანდნენ ეს ფრიად სა-ჭირო დაწესებულებები ჩვენში.

3) **წიგნთ-საცავი და მუზეუმი** (გვ. 104) მას შემდეგ, რაც ეს ორი დაწე-სებულება სათავად-აზნაურო გიმნაზიის სახლში მოათავსეს და გამგებლებმაც იმათ მოწყობა-დალაგებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს, წიგნთ-საცავსაც და მუზეუმ-საც სიმშვერიერის ელფერიც მიეცა.

შარშანდელ ჩვენს ანგარიშში აღნიშნული სივიწროვე ორსავე დაწესებულებისა დიდად ხელს უშლის საქმის განვითარებას, ამიტომ ჩვენ სრულიად ვეთანხმებით გამგეობის განცხადებას, „რაც შეიძლება მალე აშენდეს მუზეუმისათვის საკუთარი შენობა“, თუმცა ძლიერ კარგი იქნებოდა ამასთანავე თავისი მოსაზრებაც ზედ დაეყოლებინა გამგეობას შესახებ იმისა, თუ რა გზით შეიძლება ამ საქმის განსახორციელებლად ნივთიერი წყაროს გამოძებნა.

4) **საგურამოს მამული** (გვ. 107) ამ მამულისადმი ყურადღების მიქცევას ჩვენ მესამე წელიწადია მოვითხოვთ. შარშან საზოგადო კრებამ მოისურვა ჩვენი მოთხოვნილების შესრულება და აირჩია განსაკუთრებული კომისია ადგილობრივად საქმეთა გასაცნობლად, მაგრამ, როგორც ჩვენში ხშირადა ხდება, ამ კომისიაში ისეთები მოხვდნენ, რომელთაც დავალებული საქმის შესწავლისათვის სრულებით დრო-მოცულეობა არა აქვთ. ამით თუ აიხსნება, რომ კომისიას დღემდე არ მოუცლია და არც წასულა ილიასეული მამულის მდგომარეობის გამოსაკვლევად საგურამოში.

ყველაზე უფრო საგულისხმიერო ამ საქმის შესახებ ისაა ანგარიშში აღსანიშნავი, რომ გამგეობა თვითონ აღიარებს მამულის უნუგეშობას და თითქმის განადგურებასაც-კი. ჯერ იყო და წინანდელ მოიჯარადრეთ მამული ააოხრეს (გვ. 109), „ახლებიც იჯარას პირიანად ვერ იხდიან“ ვინაიდგან „მამულის გამობრუნებას დიდი თანხა უნდოდა, და მოიჯარადრენი იძულებულნი არიან დიდი ნაწილი შემოსავლისა ხარჯონ მამულის გასაკეთებლად“. გარნა რომ მოიჯარადრენი მოვალენი იყვნენ, პირობის ძალით, მამულში ყოველისავე გაუმჯობესობის შეტანისა, მაგრამ გამგეობა მაინც შესაძლებლად სცნობს მოიჯარადრეთ „ხელი შევუწყოთ, რომ პირობაში აღნიშნული“ მოვალეობა შეასრულონ.

დაუჯერებელი საქმეა, მაგრამ გულ ახდილად, უნდა გამოვაცხადოთ, რომ ილიასეული მამულის მოვლა-შენახვისა და იმის გაუმჯობესობისათვის გამგეობას არა ულონია რა, პირიქით თავისის წინდაუხედაობით და დაუდევრობით იგი უკიდურესობამდე მიიყვანა; ახალ მოიჯარადრეთ „აოხრებული დახვდათ“ ამას; იქით სად უნდა წავიდეს უყურადღებობა!..

ერთის თვალის გადავლებით საგურამოს ილიასეული მამულის შესწავლა ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, ისეთი მცოდნენი აირჩიოთ ამ საქმის გამოსარკვევად, რომელთაც შეეძლებათ რამდენიმე ხანი დაჰყონ მამულში დაგულდასმით, დაწვრილებითის გამოკვლევით მამულის ნამდვილი მდგომარეობა შეისწივლონ, შეიგნონ და ამის უტყუარი ცნობები კრებას მოახსენონ. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებლად შეიქნება მამულის გამოკეთების შესახებ ბაასი და საშუალების აღვილად გამოძებნაც“.

5) **სტიპენდიების შესახებ** ჩვენ ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა „ქვეყნისათვის“ და უფრო სასარგებლოც, თუ ამ დახმარებას სპეციალ ცოდნის მიმდევარ მოსწავლეთ მოვახმართ, განსაკუთრებით სამეურნეოსა, სამრეწველოსა, თუ სატეხნიკოსას, ამასთანავე უთუოდ იმ პირობით, რომ მიცემული ფული საზოგადოებას

აუცილებლად უკანვე დაუბრუნდეს სწავლა-დამთავრებულ ახალგაზღობისაგან პირ-ველისავე შეძლებისას.

6) წიგნის მაღაზია დასაწყობი წესიერად აღმოჩნდნენ, მხოლოდ მაღაზიაში ძალიან სივიწროვეა. კიდევ მოვახსენებთ, კრებას, რომ წიგნით ვაჭრობა უფრო მოხდენილს სხვა ადგილის უნდა მოთავსდეს, ამის შესახებ შარშანდელ კრების მიერ არჩეულმა კომისიამ წელს თავისი მოხსენება უნდა წარმოუდგინოს საზოგადოებას.

ახირებული საქმე დამართნია გამგეობას სახელმძღვანელოებით ვაჭრობაში: წიგნები ბლობად დაუმზადებიათ, მყიდველებიც ბლობად ყოფილან საანგარიშო წელს, მაგრამ იმდენი მანც ვერ გაუყიდნიათ, რამდენიც სასურველი და მოსალო-დნელი იყო. მერე რა მიზეზით — არ იკითხავთ? — „სამწუხაროდ ყველას დაკმაყოფილებას მაღაზია ვერ ასწრობდა — ასეა ნათქვამი ანგარიშში — რაფგანაც ამკინდავმა ღროზე დაკაზმვა წიგნებისა ვერ მოასწრო“.

დაუჯერებელია ასეთი თავის მართლება და მიზეზების დასაბუთება წიგნების ცოტა გაყიდვაში, მაგრამ გადაშალეთ ანგარიშის მე-118 გვერდი და დარწმუნდებით, რომ გამგეობას ქალაქში იმ ერთი ძაბუნი ამკინდველის მეტი სხვა ვერ უპოვნია...

7) ილიას ძეგლის შესახებ ანგარიშში ჩვენ მხოლოდ ის ვნახეთ, რომ გასულ წელში ამაზე დახარჯულა 70 თუმანი. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ შენობამ საზოგადოების მოლოდინი ვერ გაამართლა. დღე-დღეზე ძეგლი ფუჭ-დება და საზოგადოებისათვის ეს ძვირად ღირებული ქონება შესაძლებელია ერთ ღროს კიდეც გაჰქრეს, რადგან მთის კალთებიდან წამოსული წვიმა და თიხა-ქვა ერთიანად თავს გადმოეფაროს ამ ძეგლს. ეს მეორეც: თვითონ კედლები ძეგლისა სქდება და აქა-იქ ჰქონავს წყალი.

დასასრულ ერთი ჯარებაც გვინდა აღვნიშნოთ: გამგეობის ოქმებშიი ხშირად წააწყდებით, რომ ერთი და იგივე საკითხი, ზოგჯერ დიდად საყურადღებოც კი, რამდენჯერმე ინიშნება ხოლმე განსახილველად, ხშირად, ბერეჯელაც, იმიტომ რომ გამგეობის წევრნი კრებაზე დასასწრებლად არ მოღიან. ანგარიშში მოყვანილი ცნობები (გვ. 49), მართლაც აღნიშნავენ, რომ გამგეობის წევრთა უმეტესობა ნახევარჯელაც კი არ დასწრებია კრებებს; დანარჩენებიც — ორის გარდა გაცილებით ცოტაჯერ გამოცხადებულან. იმდენად მოუკლელნი არიან, რომ ჩვენთვის ამისთანა ძვირფას საქმისათვის თავისუფალ ღროს ვერ ჰპოულობენ...

სარევიზიო კომისიის წევრნი:	ანდრია ლულაძე.
	დიმ ტრი ლუმბაძე.

4—11 ივნისი 1913 წ.

თბილისი.

30 სექტემბერი.



სარეგისტრით კომისიის მოხსენების გამო გამგეობა საჭიროდ სთვლის
მოასენოს საზოგადოების წევრთა საერთო კრებას შემდეგი:

1) სკოლები. გამგეობას კარგად აქვს გათვალისწინებული, რომ საზოგადოების სკო-
ლები ისე არის მოწიფებილი, როგორც ამას ნამდვილი საჭიროება მოთხოვოს და რო-
გორც ეს შეეფერება ნამდვილ პედაგოგიურ და ღილაქტიურ მთხოვნილებებს. შაგრაშ იმის
თქმა, რომ გამგეობა არ სცდილობს სკოლების გაუმჯობესებისათვის, რასავირველია, ის-
თანხმის რაოდენობის ფარგლებში, რომელიც საზოგადოების განცარგულებაშია, შეუფერებუ-
ლი ბრალდება.

გამგეობა შეძლებისამებრ შეცადინებიდა და შეცადინების გააუმჯობესოს როგორც ნივ-
თერი მდგრმარება, ისე სწავლა დაზრდის სექტემბერი უკოლებელია ეპრედ წოდე-
ბული პერიოდული დამატება ძირითად ჯამაგირზე: უზებელ საშის წლის შემდეგ, თორმეტი
წლის განმავლობაში, ემატება ექანეუქის თუმანი, ვიდრე ჯამაგირის რაოდენობა 600 მა-
ნეთად არ შესრულდება. ამ ქამად გამგეობასთან არსებული სასკოლო სექტია შეუდგა საპუნ-
სით კასის მოწიფების საქმეს, რათა სიბერის ჟამს უზრუნველ ჰქონდეს დამსახურებული მას-
წავლებულები.

გამგეობა ეთანხმება სარეგიზოდ კომისიას, რომ სკოლების რევიზია-დათვალიერების
საქმე საახარიშმ წევლის არ იყო რიგიანად მოწიფებილი, რადგან გამგეობის წევრთ დროს
უქალათებისა გამო არ ჰქონდათ შეძლება უკვლევ სკოლებში მოქედინათ რევიზია. ამ ნაკლის
გასასწორებლად გამგეობამ საჭიროდ დაინახა სკოლების და ბიძლითოებების საკუთარი მე-
თვალუროს მოწიფება, რის ნებაც გამოსთხოვა წასკლის წლის საზოგადო კრებას. შიმდი-
ნარე წლის პირველ იანვრიდან მოწიფეულ იქმნა განსაკუთრებული პირი სენიებულ თანამდე-
ბობაზედ და აშატომ ადგილი აღარ ექნება იმ ნაკლს, რომელზედაც სამართლიანად მიუ-
თხოვთ სარეგიზოდ კომისია თავის შესტენებაში.

გამგეობა საჭიროდ სცნობს აგრეთვე, რომ ჩეკინი სკოლების ნამდვილ ჰაციონალურ
ნიადაგზე დასაუკუპლად აუცილებლად საჭიროა გაუმჯობესებულ იქმნას საზოგადოების
სკოლების მასწავლებელთათვის სტეციალურ საგანში მომზადების სკეპტი, რისთვისაც სას-
კოლო სკეპტის დავალებული აქვს შეიძინებას ვრცელი დასტურებული გეგმა, თუ რა პი-
რობებში და როგორ შეეწიოს მასწავლებელთათვის საზოგადო განათლების და პედაგო-
გიური სისტემატიური ხსნათის კურსები ან დაანსელეს სტეციალური სასწავლებელი ჩეკინ
სკოლებისათვის რიგიანი მასწავლებლების მოსამზადებლად.

1913 წლის ანგარიშში სრულიადაც არ არის ნაჩენები უარეთოითი მდგრმარება
სწავლა-აღზრდის საქმისა კავკავის ქართულ სკოლაში; სახალხო სკოლების დარკეტორის
მიერ რესული ენის სწავლების დაწუნება სრულიადაც არ იძლევა საბუთს, უარეთოით მო-
გოხსენით სწავლა-აღზრდის საქმე მოხსენებულ სკოლაში, სადაც მასწავლებები სელმდვას
ნელობდნენ საზოგადოების მიერ მიცემულ სანიშვნო პროგრამებით და ამ პროგრამების
მიხედვით უკვლევ საგანს სამშობლო ენაზე ასწავლიდნენ. როგორც საანგარიშო წლის საეგ-
ზამენო უწევებიდან სჩანს, სკოლაში კურსი დაუმთავრებია 100%, წლის განმავლობაში მას-
წავლებების გაუმართავთ სამი საბაკმურ სადიოტერატურო სადამო, მოუწევით საგანმანა-
ლებელო სამეცნიერო მაზნით მოწაფეთა ექსკურსიები, გაუმართავთ სისტემატიური სადა-
მოს კურსები და სხვ. უკვლევ ზემოხსენებულის ასრულება შეუძლებელი იქნებოდა, რომ
ასწავლებელთ სკოლაში თანხმისათვის არ ემუშავათ.

გამგეობას დიდი ხანია სურვალი აქვს, რომ საგურამოს სკოლა დაუსტუროს ხალხს, გადაიტანოს შიგ სოფელში, მაგრამ ამ სურვილის განხორციელებას აბრკოლებადა მუდაშ ის გარემოება, რომ სკოლისთვის შესაფერი ბინა არ მოიძებნებოდა სოფელში. ამ შამად მინდობილი აქვს სკოლების მეთვალეურეს მოედაპარაკაცის მცხოვრებლების და მასწავლებლის დახმარებით ამინირჩიოს სოფელში ერთი ან თრი თახა, რომ დროებით მაინც შესაძლებელი იქნის სკოლის მოთავსება. შემდეგში გაშეეთავს განზრახული აქვს საკუთარი შენობა ააგთს სკოლისთვის.

2) ბიბლიოთეკები. საკუთარი ბიბლიოთეკების მეთვალეურის მოწევისა და გამგეობასთან ბიბლიოთეკების მოწეობის სექციის დაარსების შემდეგ, ეჭვი არ უნდა, ბიბლიოთეკების საქმე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდება და იმ ნაცის, რომელსაც თვით გამგეობა ადარებს სარევიზიო კმიისათან ერთად, ამიერიდან აღითლი აღარ ექნება.

3) საგურამოს მამული. (მე-4 შეხლი სარ. კომ. მთხს.) საგურამოს მამულის საქმე რომ რაგიასად ვერ შიდითდა, სანამ ხაკაშიერ და მაღალაშევილი აიღებდნენ იჯარით სსენებულ მამულს, ამის უარს არც გმიგეობა ჰყოფს, მაგრამ რომ დღეს მამულის გაუმჯობესობის საქმე თან და თან წინ მიდის ახალი მოიჯარადრების მეტადინებით და მხედით, ამას ეჭვი არ უნდა: ახალი მოიჯარადრენი ენერგიულად შეუდგნენ პირდას ასრულებას: გაასწორეს და დატახტეს საფურტერის ადგილი (დახარჯეს 42 მან.) შეიძინეს 38 ახალი სკა, (დახარ. 152 მან.) შეიძინეს უუტერებისათვის ხელოვნური ფიჭა (დახ. 44 მან.), მთამზადეს მიწა ხეხილისა და გაზის სანერგიისათვის, შეიძინეს ამერიკული ვაზი (დახარ. 110 მან.), შეიძინეს სანაშეუნოდ 7000 მეტრი ამერიკული ვაზი (დახარ. 105 მან.), 2500 ნამეუნი ვაზი (დახარ. 125 მან.), მთამზადეს ნამეუნი ვაზის დასარგავად ერთი დესერინა ადგილი (დახარ. 360 მან.) და სხვა. გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში მოიჯარადრების ასეთი მუქამითობა და ის ხარჯი, რომელიც გასწიეს მამულის გასაუმჯობესებად, შედაგათი მისცა მათ გადასახადის შემცირებით.

საზოგადო კრების დაგალებით საგურამოს მამული უნდა დაეთვალიერებინა განსაკუთრებულ კომისიას და თავისი მოხსენება წარმოედგინა გამგეობისათვის. მაგრამ სსენებული კომისია დღემდის არ შესძგომია ნაკისრი მოვალეობის შესრულებას.

4) სტიპენდიები. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქოვდა 20 სტიპენდიატი, ამ თაობებით 7 სხვა და სხვა უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობდა. ასე რომ გამგეობა სტიპენდიების განხილვის დროს არ სტოკებდა უეურადღებოდ სპეციალურ ცოდნის მიმღევართ. უველა სტიპენდიები, რომ მარტო სპეციალური ცოდნის მიმღევართ მოხარეეს, ეს როგორც გმიგეობის, ისე სტიპენდიების დამარსებლების შეხედულებითა იმდენად სასარგებლო არ იქნება, როგორც ამას სარევიზით კამისია ფიქრობს. ჩვენთვის უფლებარი ცოდნას საჭირო და ჭარბად არც ერთი არა გვაქს. რაიცა შეეხება სტიპენდიის სახით მიცემულის ფულის დაბრუნებას, ეს ახალი ამბავი არ არის. უველა სტიპენდიატს წელწერილი ერთმევა, რომ მიღებულს ფულს დაუბრუნებს საზოგადოებას.

5) წიგნის მაღაზია და საწყობი. გამგეობის ანგარიშში მოთავსებული ცნობა სახელმძღვანელო წიგნების გაჭრობის შესახებ (გვ. 118) ეხება არა უგელა სახელმძღვანელო წიგნებს, არმედ მარტო რუს. სლოვ. მეორე ნაწილს ეს სახელმძღვანელო სხვა და სხვა საპატიო მიზეზებისა გამო ცოტა გვიან დაბუჭდა, ამის გამოც გვიან ჩაბარდა ამჟინძავს.

ეს შეიქმნა იმის მიზეზი, რომ ამჟანძავი გერ ასწრებდა ხსენებული წიგნების დროულ ჩაბარებას მაღაზიისათვის. ვისია სიძაბუნე აქ არაფერს შეაშა.

6) **ილიას ძეგლი.** ილიას ძეგლის შესახებ რასაც სარევიზით კომისია აშპობს, საჭირო კონსერვაცია გამოიწვეობა. ძეგლი იმისთვის ადგილზე არის აგებული, რომ მუდამ მზურნებულობა და სარწის გაწევა იქნება საჭირო მის დასაცავად სტიქიური მოვლენათა ცუდის გაფლენისაგან.

7) უკანასკნელ შენიშვნაზე გამგეობას შეუძლებლად მიაჩნია რამე პასუხის თქმა, გამგეობაშ აღნიშვნა დაუფარავად ის, რაც იყო და არის, უფლები წევრი აკეთებდა მას, რაც შეეძლო და ესწრობთდა სხდომებს იმდენჯერ, რამდენჯერაც მასზე დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას აძლევდნენ.

საზოგადოების თავმჯდომარე გ. ნ. უაზბეგი.

გამგეობის წევრინი: დ. გ. კარაქევილი, ალ. თ. უიფელე, ფ. გ. გოგიჩაშვილი,
ლ. გ. ბოცვაძე, გრ. ს. რცხილაძე, შ. ზ. დედაბრიშვილი,
შ. შიქელაძე, ს. გორგაძე, არ. ჯაჭანაშვილი, იშ. გართაგავა.



განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცვლებელი საზოგადოება
აცხადებს, რომ წელს, 6. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარ-
გებელდან დანიშნულია პრემიათ 300 მანეთი.

1. პრემია მიეცება იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წილისული ცხოვრებისა ან რომლი-

სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიკური ისტორია, სრული ანუ რომელისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოებრივი ისტორია, როგორც სრული, ისე რომელისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს:

ა) ქართული მწერლობის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, გ) რომელისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომელისამე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს:

ა) ეთნოგრაფიული ოღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენას სხვა და სხვა კილოკვებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, კრუმორწმუნოებიდგან, %ნებულებიდგან, ფიზიკურ აგებულებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკაში ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1915 ჯლისა.

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იქვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1911 წელზე აღრე გამოცემული.



უოკელა-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„კალი კინი“

(წელიწადი მეორე)

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვით—2 მ. 50 კ.
თვიურად თბილისში—4 აბაზი. თბილის გარედ—90 კაპ. საზღვარ გარედ 14 მან.

თითო ნოვერი რჩით შაში

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობა 60 კ., მოსწავლე ახალგაზ-
ლობას კი 50 კაპეიკათ.

რედაქცია იმყოფება: ორბელიანის ქუჩა № 36.

ფულის გამოსაზაფნი შისმართი: **თიფლისი, Օრბელიანская უ. № 36.**

Георијо Григорьевичу Бежианишили.

უოკელა-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

„კალი კი ცურცელი“

(წელიწადი პირველი)

უოკელოლიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეულ

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით, ორგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს
8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკა.
აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის
2 მან. და 1 ივნისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1914 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ სამ წიგნს: 1) „ქართველი მწერლე-
ბი“, 2) „უცხოეთის მწერლები“. 3) „სამეცნიერო კრებული“.

სამი აბაზი უნდა გადაიხდოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჭერის მიიღოს
ფოსტით სამი საპრემია წიგნი.

თიფლის, რедакція „Сахалхо газети“.

გამოვა 1914 წ. საყიდვილო შურალი

ნაპარალი

(წელიწადი მეორე)

ხელის მოწერა მიიღება უურნალ „ნაპარალის“ რედაქციაში.

გთლოვინის პროცესებზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერაკითხევის გამავრც. საზო-
გოგადოების მაღაზიაში, თავ. აზ. ქარგასლა)

1914 წლის 1-ლ იანვრიდან 1915 წლის 1-ლ იანვრამდე წლიური ხელის-მოძ-
წერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგ-
ნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

საჩუქრად თრივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი: „მიწის ძვრა და
ცეცხლის მფრქვეველი მთები“, (მრავალი სურათით) გიორგი ანთელიძისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა. გამოცემული თ. პ. ი. თუმანიშვილი.

სამეცნიერო-პუბლიკური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

(წელიწადი შერვე)

1915 წელში უურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. უურნალში იძეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური უურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაცემების იდებენ უკეთა ჩვენი საუკეთესო შეცნიერები, შეწყდები, ჰედაგოგები და ჰოეტები.

წლიური ფასი უურნალისა არის რთხელი მანეთი (4 მან.). მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს უურნალი დაეთმოთ წლიურად სამ მანეთად, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლის წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: „მრავალუამიერ“ მუ-სიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალვაჟთა გუნდისათვის. პესტალოცის, პერბერტ სპენსერის, რუსსოს და კომენსკის სურათებს, რომელთა მაგიერ 1914 წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს აღბომი ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლისა“ და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვი-ლის მიერ.

უურნალში არის ცალკე განუოფილება, სადაც იბეჭდება უოველ-გვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განუოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება ფულისში ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რე-დაკუიაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან და წიგნის მაღაზია „Новая рѣчь“ კოენაძესთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთილში“, სამტრედიაში წ. საზოგადოების კიოსკში მ. კოპალეიშვილთან, ამ სამ ადგილს იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს სეფის მოწერულებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია უოველგვარ ღონისძიებას ხმარობს უურნალის
თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: თიფლისი, დვორის გვარის გრიგორი ლ. გ. ბოცვაძე.

რედაქტორ-გამოცემები ლ. გ. ბოცვაძე.